დემიკო ლოლაძე

იმედი ჭაკაძე

დემიკო ლოლაძე

იმედო ფხაკაძე

ხელბურთის გარინჩა

თბილისი 2023

საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

იბეჭდება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ხელშეწყობით

დიზაინერი კახა ბახტაძე

„იმედო ფხაკაძის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ხელბურთელთა ნაკრების არაერთი წარმატება. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ახლობლებს და ქართული ხელბურთის გულშემატკივრებს ამ დიდ დანაკლისს“.

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

„ეს კარგი და ნათელი კაცი გარდაიცვალა! ქართული ხელბურთის ლეგენდა იმედო ფხაკაძე. მადლიერი ვარ, რომ მიმეგობრა ჯერ კიდევ იმ დღეებიდან, როცა ნახალოვკაში მძიმე 2012 წლის აგვისტო-სექტემბერი იდგა. მას შემდეგაც, წლები გადიოდა და ის არ იღლებოდა ჩემი გამხნევებით. მადლობა ამ ურთიერთობისათვის! ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ბატონო იმედო“,

თეა წულუკიანი
საქართველოს ვიცე-პრემიერი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი

ავტორისაგან

2021 წელს „ხელბურთის პელეზე“ - ჯემალ ცერცვაძეზე გამოცემული კრებულის შემდეგ სურვილი გამიჩნდა ასევე გამომეხატა ჩვენი თაობის გულშემატკივართა სამადლობელი თბილისის „ბურევესტნიკის“ ოქროს გუნდის წევრის იმედო ფხაკაძისათვის. მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ნამდვილად ვჩქარობდი, მინდოდა მისი მონაყოლი წიგნში გამომეყენებინა, რითაც გამოცემა უფრო საინტერესო იქნებოდა. სამწუხაროდ, იმედო ისე გარდაიცვალა, რომ, ვგონებ ჯ. ცერცვაძის წიგნსაც თვალი ვერ გადაავლო.

ჩემი ეს სურვილი გავაცანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელიც დამპირდა დახმარებას და როგორც მას სჩვევია, სიტყვა საქმედ აქცია.

2022 წლის ოქტომბერში სამინისტროდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, შეგიძლიათ წიგნზე დაიწყოთ მუშაობა. მეც მეტი რა მინდოდა, ფოტოების სიმცირის გამო დავიწყე ოჯახებში ვიზიტები, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა იმედო ფხაკაძე ქართულ საზოგადოებაში.

ჩვენი იმედო, ეს გამოჩენილი ხელბურთელი ისეთი სპორტული ხასიათის პიროვნება გახლდათ, რომელიც ყოველთვის გამარჯვებისკენ ისწრაფვოდა.

იმედო ფხაკაძე ხელბურთელ ვაჟთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავისი დროის საუკეთესო გარემარბი იყო. წლების განმავლობაში იგი თბილისის „ბურევესტნიკისა“ და სსრკ ნაკრების ღირსებას იცავდა. ორჯერ იყო სსრკ ჩემპიონი, სამგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიო ორი ჩემპიონატის მონაწილე და მსოფლიო სტუდენტური თამაშების ჩემპიონი.

ხელბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ იყო თბილისის „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი, მისი აღზრდილია ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი (თუმცა სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება, ვგონებ სხვამ მიიღო). წვრთნიდა იორდანიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

იმედომ სპორტული კარიერა ჭიდაობით დაიწყო. 17 წლამდე არაერთ ტურნირში ისახელა თავი, დიდ ხელბურთს მეგობრების რჩევით ეზიარა და მაშინვე იპოვა თავისი ადგილი. 1960 წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში თანატოლთა შორის სსრკ ჩემპიონი გახდა. „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ იგი გუნდში მიიწვია.

ი.ფხაკაძე იხსენებდა: „ხელბურთი მაშინ ახალი ხილი იყო, სსრკ პირველი ჩემპიონატი 1962 წელს გაიმართა. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებამდე თბილისის სპორტის სასახლე გაიხსნა. მის თაღებქვეშ პირველი სპორტული შეჯიბრება საქართველო - უნგრეთის ხელბურთელთა შეხვედრა იყო 1961 წლის 19 მაისს, რომელიც ჩვენებმა 17:15 მოიგეს. მეორე დღეს კი იმავე მეტოქეს 14:13 სძლიეს. თითოეულ ამ პაექრობას 10 ათასი მაყურებელი დაესწრო.

1962 წლის პირველ ჩემპიონატში ოთხი მოგებითა და სამი ფრეთი პირველ ადგილზე ვიყავით. ბოლო შეხვედრა კაუნასის „სპორტჰალეში“ მასპინძელთა გუნდს, რომელიც მოგების შემთხვევაში თავად ხდებოდა

ჩემპიონი, დავუზავდით - 17:17 და ოქროს მედლები მოვიპოვეთ. მომდევნო წელს მესამეზე გავედით. 1964 წელს კი მეორედ გავხდით ჩემპიონები. ბოლო ტურის წინ აქაც წაუგებლები ვიყავით (9 მოგება, 1 ფრე), ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ ერთი ქულით ჩამოგვრჩებოდა. ბოლო ტურში კონკურენტს 25:17 ვაჯობეთ“.

გიორგი შარაშიძეს მართლაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა: ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე, იმედო ფხაკაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი, ილია შელეგია, არტურ რატიანიძე, ალექსანდრე ხუციშვილი.

1972 წელს ი. ფხაკაძე კარგ სპორტულ ფორმაში იყო, მაგრამ სსრკ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე არ წაიყვანა. სამართლიანად განაწყენებულს ხელბურთიდან წასვლა უნდოდა, თუმცა „ბურევესტნიკის“ ახალი მწვრთნელის ჯანო ბაგრატიონის ხათრით კიდევ ორი სეზონი ითამაშა.

ი. ფხაკაძე „ბურევესტნიკიდან“ წამოსვლის შემდეგაც ხელბურთში დარჩა. 1976 წელს რამდენიმე თვით იორდანიაში მიავლინეს. ამ ქვეყნის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით არაბულ თამაშებში მესამე ადგილი დაიკავა. შემდეგ ორი წელი მალიში იყო. ერთხანს საქართველოს სპორტის სამინისტროში ეკონომისტად, შემდეგ სასპორტო სკოლის დირექტორად იმუშავა, 2008 წელს ცოტა ხნით საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და იმ პერიოდში ჩელენჯ ტროფი მოიგო. შემდეგ კი საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. მოკლედ, იმედო ფხაკაძე მთელი ცხოვრება ხელბურთში იყო, რადგან მის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო.

თქვენს წინაშეა კრებული იმ ლამაზ პიროვნებაზე, დიდ სპორტსმენზე, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ხელბურთის პოპულარიზაციას უძღვნა.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელიც მხარში ამომიდგა.

სპორტულ ჟურნალისტიკაში პირველი ნათლობა ჩვენი თაობისთვის საყვარელ გაზეთ „ლელოში“ მივიღე. 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ილია ვეკუას თანადგომით მოვხვდი იმ ოცდაათკაციან ჯგუფში, რომელსაც პრაქტიკა უნდა გაევლო პრაჰის უნივერსიტეტში.

სწორედ ევროპის შუაგულის ამ ულამაზეს ქალაქში შევხვდი ლეგენდარულ ჩეხ მეკარეს პრანტიშეკ პლანიჩკას და თბილისში დაბრუნებისთანავე ინტერვიუ მივიტანე „ლელოს“ მთავარ რედაქტორ, შესანიშნავ პიროვნება მიხეილ კაკაბაძესთან. მასალა დაიბეჭდა და არ დავმალავ, 22 წლის ჭაბუკისთვის ეს დღე დაუვიწყარი გახლდათ. ცხოვრებაში პირველი ინტერვიუ და თანაც ვისთან.

თანდათან გაზეთის ხშირი სტუმარი გავხდი, ვაქვეყნებდი მასალებს, ძირითადად ფეხბურთის შესახებ და ყოველთვის მადლიერი ვიყავი იმ ადამიანების, ვისთანაც მქონდა შეხება. ესენი გახლდნენ, რასაკვირველია მიხეილ კაკაბაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ნოდარ გუგუშვილი, ოთარ ნოზაძე, აჩიკო მხეიძე, უშანგ ჭიჭინაძე, ოთარ გელაშვილი, მოგვიანებით, არჩილ გოგელია, თენგიზ გაჩეჩილაძე, ელგუჯა ბერიშვილი, ვანდი სანდამიშვილი. ეს ხალხი ყოველთვის გვერდით მედგა და თავისი საქმიანი რჩევებით ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შემდეგი სტუმრობისას უფრო მომზადებული მივსულიყავი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ისინი ხომ ყოველთვის ღიმილით მეგებებოდნენ.

ჩამოთვლისას სპეციალურად შემოვინახე ბატონი ჯიმშერ ენუქიძე, ვისთანაც მის სიცოცხლის ბოლომდე ახლო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. შეგნებულად არ შევჩერდები მისი ოჯახის ტრაგიკულ ბედზე, ირინა ენუქიძე მისი ქალიშვილი გახლდათ, ხოლო სანდრო გვირგვლიანი კი შვილიშვილი.

ბატონი ჯიმშერი სულით და ხორცით ინტელიგენტი ადამიანი ბრძანდებოდა, მაღალი დონის ჟურნალისტი, ბევრი კარგი რჩევა მოუცია და ხელბურთის შესახებ თუ ცოტაოდენი გამეგება, ეს პირადად მისი დამსახურებაა. სწორედ ბატონი ჯიმშერის წიგნის „ნაკიანი წლის ოქროს წვიმა“ შესავლით მსურს დავიწყო: „ხელბურთის დაბადების თარიღად 1898 წელს თვლიან, მამად კი - რეალური სასწავლებლის პედაგოგს დანიელ ჰილმარ ნილსენს, თამაშის ნათლიაც ნილსენია. სწორედ მან უწოდა „ჰანდბოლი“, მართალია ეს სახელი ხელბურთს მხოლოდ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შემორჩა, მაგრამ თამაშს ამით არაფერი დაუკარგავს, უბრალოდ, ქართველები მას „ხელბურთს“ უწოდებენ, რუსები - „რუჩნოი მიაჩ“-ს, ჩეხები - „ჰაზენა“-ს და ა.შ.

არის ორნაირი ხელბურთი -11:11 და 7:7. პირველს თამაშობენ დიდ მინდორზე (ფეხბურთის მოედანზე), ხოლო მეორეს უფრო მცირე მოედანი სჭირდება. პირველმა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ნელ-ნელა დაკარგა პოპულარობა, მეორემ კი მტკიცედ გაიდგა ფესვები. თავდაპირველად ეგრეთ წოდებულ „მცირე ხელბურთს“ მხოლოდ ქალები თამაშობდნენ, მაგრამ ბოლოს მას ვაჟებმაც „გაუგეს გემო“, განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაშის წესებმა შედარებით სრულყოფილი სახე მიიღო. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ თუ დანიელები ხელბურთის თამაშის პირველ მერცხლებად გვევლინებიან, შვედები ამ თამაშის სრულყოფილი წესების პირველი დამკანონებლები არიან.

ხელბურთმა თანდათან დაიპყრო ევროპის სხვა ქვეყნებიც: 1905 წელს ჩეხეთში გამოჩნდა „ჰაზენა“, 1909 წელს უკრაინაშიც დაიწყეს სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობა, ხოლო 1917 წელს გერმანელმა ჰაიზერმა გამოიგონა ხელბურთის ახალი ნაირსახეობა - 11:11. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სახეობამ ფართო გზა თავის უფროს, მაგრამ უფრო „ტანმორჩილ“ ძმას - „მცირე ხელბურთს“ დაუთმო.

ხელბურთის პირველი მოედანი ხარკოვში მოეწყო 1909 წელს, ხოლო პირველი ოფიციალური შეხვედრები 1913 წელს გაიმართა.

1922 წელს უკრაინელ სპორტსმენებს მხარში ამოუდგნენ მოსკოვის, პეტერბურგის, ტომსკის, თბილისის, ტაშკენტის და სხვა ქალაქების ხელბურთელები. ოციან წლებშივე გამოიცა ხელბურთის თამაშის პირველი წესები. გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა გერმანიისა და ავსტრიის სპორტსმენებთან. ხელბურთი უფრო პოპულარული ხდებოდა, 1928 წელს იგი შეტანილ იქნა სრულიად საკავშირო პირველი სპარტაკიადის პროგრამაში, მაგრამ შემდეგ ხელბურთი თანდათან და დაუმსახურებლად მიივიწყეს.

და აი, 1954 წელს უკრაინაში, რუსეთში, მოსკოვში, ლიტვაში, ლატვიაში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში კვლავ დაიწყეს ხელბურთის თამაში. ენთუზიასტთა წყალობით ეს თამაში ჩვენში მეორედ დაიბადა. 1956 - 1961 წლებში ჩატარდა სსრკ ექვსი ჩემპიონატი „დიდ ხელბურთში“ (11:11). ამის შემდეგ მისი ადგილი „მცირე ხელბურთმა“ დაიკავა. პირველ ოფიციალურ ჩემპიონატებს წინ უსწრებდა უძლიერეს ხელბურთელთა კოლექტივების საკავშირო შეჯიბრებები: 1959 წელს - ხარკოვში, 1960 წელს - ლენინგრადში, ხოლო 1961 წელს - თბილისში. ამის შემდეგ კი დაიწყო ოფიციალური ჩემპიონატები“.

ხელბურთთან დამაკავშირეს ჩემმა თანაკლასელებმა ალიკო კიკაბიძემ და ნუგზარ პერონიძემ, რომლებიც პლეხანოვზე „განთიადის“ მოედანზე ვარჯიშობდნენ, მათთან ერთად გოგონათა გუნდში გამოდიოდა კიდევ ერთი თანაკლასელი სულიკო ხურცილავა. თავისუფალ დროს თანაკლასელები მათ ვარჯიშებსა და შეხვედრებს ვესწრებოდით. ერთხელ, ბათუმშიც გამიყოლეს. საქართველოს პირველობის შეხვედრები ამ ულამაზეს ქალაქში ტარდებოდა.

ნელ-ნელა თითქმის ყველა ხელბურთელი ახლოს გავიცანი, ვამაყობდით, რომ ჯემალ ცერცვაძესა და ანზორ ექსეულიძეს ჩვენი სკოლა ჰქონდათ დამთავრებული.

ზამთრის არდადეგების პრიზის გათამაშება თბილისში ჩატარდა 1962 წლის თებერვალში. მასში მონაწილეობდნენ სსრკ იმდროინდელი უძლიერესი ქალთა და ვაჟთა გუნდები. რამოდენიმე დღის განმავლობაში ვესწრებოდი შეხვედრებს სპორტის სასახლეში, დღეს კი ბატონ ჯიმშერ ენუქიძის რეპორტაჟებით „ჰაერშია პატარა ბურთი“ გავაცოცხლებ 60 წლის წინანდელ სპორტულ პერიპეტიებს:

„თბილისისა და ლენინგრადის ვაჟთა გუნდების შეხვედრას გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს კიევის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. ივახინი. იგი გასული წლის ბოლოს თბილისში ამხანაგურ შეხვედრაში ქართველ ხელბურთელებთან წაგებას შემთხვევითობად თვლიდა და ახლა სურდა, რომ ამაში დარწმუნებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა. თბილისელებმა მატჩში ტექნიკური და ტაქტიკური მრავალფეროვნება აჩვენეს. მათ არათუ ე.ივახინი



მოიყვანეს აღტაცებაში, არამედ თვით ლენინგრადელთა მწვრთნელიც, რომელმაც მატჩის მსვლელობისას აღნიშნა, რომ თბილისელთა კაპიტანს თ.ანთაძეს დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის. მახსოვს, მან ჯერ კიდევ 1958 წელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი გუნდი „დაანგრია“, იგი მგონი ახლაც ამას აპირებს. ჩემის აზრით, ანთაძე გუნდის სული და გულია, რომ არაფერი ვთქვათ ცერცვაძეზე“.

ახლა მივყვეთ თამაშს. მატჩის დასაწყისი თბილისელებს თითქმის კარგს არაფერს უქადდა: ლენინგრადელებმა თამაში წაიყვანეს - 2:0. სსრკ ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი ფომენკო ლანდივით დასდევდა ჯ.ცერცვაძეს და მისი ერთხანს უვნებელყოფაც კი მოახერხა. თანდათან თამაში გათანაბრდა - 4:4. შემდეგ კი თბილისელებმა კარგად აგებულ ტაქტიკურ სქემაზე განახორციელეს იერიშები და გუნდი გაიყვანეს წინ - 9:4. ტაიმის დასასრულს სტუმრებმა მოახერხეს 3 ბურთის გაქვითვა და თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 9:7.

სხვათა შორის ჩვენ გავეცანით ე.ივახინის კომენტარების რვეულს, რომელშიც დახასიათებულია თბილისელ ხელბურთელთა თამაში. „ლენინგრადელები კარგად იცავენ საჯარიმო წრეს... კარგია, თ. ანთაძემ ბლოკის

შემდეგ მოახერხა ბურთის ხელში ჩაგდება და შესანიშნავი გოლი გაიტანა. ეს ხშირად არ ხდება... ლენინგრადელებმა ტემპს მოუკლეს, რაც მათთვის კარგის მომასწავებელი არაა... სტუმრებს ცვლა არა ჰყავთ... თბილისელებიდან ყველა ერთნაირად ფლობს ძლიერ დარტყმებს...

მატჩის მეორე ნახევარში ცერცვაძის ილეთების სისწრაფესა და ოსტატურად შესრულებულ ცრუ მოძრაობებს, მისმა მეურვემ ვ.ფომენკომ ვეღარაფერი დაუხვედრა და ბოლოს და ბოლოს მოეშვა მას. რამდენიმე წუთი და თბილისელებმა 15:9-მდე გაზარდეს ანგარიში. კარგად ითამაშა ფხაკაძემ, რომელმაც ფლანგებიდან ოსტატურად გასვლით რამდენიმე ბურთი მოათავსა მეტოქეთა კარში. თბილისელებმა საბოლოოდ გატეხეს ძლიერ მეტოქეთა წინააღმდეგობა და მატჩი მოიგეს ანგარიშით 23:15. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ცერცვაძემ (8), ანთაძემ და ფხაკაძემ (4-4). მეტოქეთაგან ფომენკომ 4 ბურთი გაიტანა. კიდევ რა შეიძლება ითქვას ჩვენი გუნდის წევრებზე? მთელი კოლექტივი მოქმედებდა ენერგიულად და თავდადებით. რაც მთავარია, თავდასხმასა და დაცვაში ყველა თითქმის თანაბარი სიძლიერით თამაშობდა: ეს იქნებოდა ფხაკაძე თუ ცერცვაძე, კარტოზია თუ კოპალეიშვილი... გუნდის წარმატება ნათლად ლაპარაკობს მისი მწვრთნელის გ.შარაშიძის ნაყოფიერ მუშაობაზე. დავუბრუნდეთ ე.ივახინის კომენტარებს: „მიუხედავად მსაჯის (ულიავიჩუსი) რამდენიმე უხეში შეცდომისა, მან თავის საქმეს თავი კარგად გაართვა. მის რამდენიმე შეცდომას თამაშის საერთო მსვლელობაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. ლენინგრადელთა მეკარემ კარგად ითამაშა, თბილისელთა მეკარე კი რიგ შემთხვევებში სცოდავდა... ჩემის აზრით, გასული წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „ტრუდი“ რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს, მას თბილისის „ბურევესტნიკთან“ დამარცხება არ ასცდებოდა. თბილისელთა რიგებში ვერ გამოვყოფ ვინ არის ძირითადი და ვინ სათადარიგო - ისინი თანაბრად ძლიერები არიან“...

ხელბურთელ ვაჟთა ასპარეზობის მესამე ტურში თბილისელებმა მორიგი მატჩი ჩაატარეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენებთან. მოსკოველთა გუნდის შემადგენლობაში 12 წევრიდან 10 სსრ კავშირის სპორტის ოსტატია. ოსტატობის საპატიო წოდება მათ 1960 წელს ხელბურთელთა (11:11) საკავშირო პირველობაზე ჩემპიონთა ტიტულის მოპოვების შემდეგ მიიღეს. როგორც ცნობილია, ხელბურთი - 11:11 მოთამაშეთაგან უფრო მეტ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს და მოსკოველი სტუდენტები სწორედ ამ ფიზიკურ მონაცემებზე ამყარებდნენ დიდ იმედებს, როცა თბილისელებთან მატჩის ჩასატარებლად გამოვიდნენ. მათმა მწვრთნელმა სპორტის ოსტატმა ა.ევტუშენკომ თამაშის წინ განაცხადა კიდეც: „ჩვენ ადრე 11:11-ს ვთამაშობდით, 1961 წლიდან კი 7:7-ის სახეობაში ვოსტატდებით, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენი დაცვა თბილისელთა შესანიშნავ თავდასხმას გაუძლებს“. მწვრთნელის პროგნოზი მხოლოდ რამდენადმე გამოდგა სწორი. თბილისელებს თავდაპირველად უჭირდათ მათი დაცვის გარღვევა, მაგრამ შემდგომ, მეტადრე მეორე ტაიმში მოსკოველთა „ბეტონი“ არც თუ ისე მყარად შედუღაბებული აღმოჩნდა.

თამაშის პირველ ნახევარში ანგარიში ყოველთვის თბილისელებს მიჰყავდათ - 3:0, 5:3, 7:4, 9:6. მოსკოველმა სტუდენტებმა ტაიმის ბოლო წუთებში გაათანაბრეს ანგარიში - 9:9.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ანგარიში თავის სასარგებლოდ წაიყვანეს - 11:10. ჯ.ცერცვაძემ თითქმის იმავე წუთს გაათანაბრა ანგარიში 11:11. ორიოდე წუთის შემდეგ ანგარიში კვლავ თანაბარი იყო - 12:12. მთელი მატჩის მანძილზე სამჯერ აღინიშნა ფრე, მაგრამ ყოველთვის თბილისელები ახერხებდნენ წინ გასვლას. ამის

შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა მეთოდურად გაზარდეს ანგარიში - 13:12, 18:14, 20:14. ბოლო წუთებში სტუმრებმა მხოლოდ 2 ბურთის გაქვითვა მოახერხეს და მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 20:16. ამ შეხვედრაში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს თ.ანთაძემ (9) და ჯ.ცერცვაძემ (8). მატჩის შემდეგ მეტოქეთა მწვრთნელმა განაცხადა: „მე აღარაფერი მაქვს სათქმელი გარდა იმისა, რომ ქართველ სპორტსმენებს გამარჯვება მივულოცო. ჩემი პროგნოზი არ გამართლდა, თქვენმა თავდამსხმელებმა ჩვენს დაცვაში სულ მცირე შეცდომები თავის სასარგებლოდ გამოიყენეს". იქვე მდგომმა ლენინგრადელთა მწვრთნელმა კი შენიშნა: „მე კვლავ ანთაძით ვარ მოხიბლული. იგი გუნდის სული და გულია, ყველაზე შავ სამუშაოს ის ასრულებს. არ იქნებოდა ანთაძე, არ იქნებოდა მოგება". ჩვენ ვერ დავეთანხმებით ლენინგრადელი მწვრთნელის ასეთ გაზვიადებულ განცხადებას. გუნდის ორი წევრი მთელი კოლექტივის საქმეს ვერასოდეს გაჯაკეთებს. ეს კარგად იციან ცერცვაძემაც, ანთაძემაც და გუნდის სხვა წევრებმაც.

მეოთხე ტურში თბილისელთა მეტოქე იყო სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მეტოქე დიდ ძალას არ წარმოადგენდა და ამიტომ მწვრთნელი გ.შარაშიძე სწორად მოიქცა, როცა თავისი გუნდის ლიდერებს მოედანზე მცირე ხნით უშვებდა ხოლმე . თამაში თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 33:16 (17:9, 16:7) და გათამაშების ცხრილში კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს. ამ მატჩში გუნდის საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ ჯ.ცერცვაძე და ბ.კოპალეიშვილი(7-7 ბურთი). კარტოზიამ გაიტანა 6 ბურთი.

ბოლოსწინა ტურში თბილისელებს მინსკის საკმაოდ ძლიერ გუნდთან ჰქონდათ საქმე. როგორც ყოველთვის, ჩვენმა გუნდმა თამაში სწრაფ ტემპზე და მოულოდნელ გარღვევებზე ააგო, მინსკელები კი მთელი მატჩის მსვლელობაში ცდილობდნენ როგორმე დაეგდოთ თამაშის ტემპი და თბილისელებისთვის კარის აღების საშუალება არ მიეცათ. დასაწყისში მინსკელთა ტაქტიკამ თითქოს გაამართლა და 15 წუთის მანძილზე ანგარიში „საფეხბურთო" იყო - 1:1,2:2, 3:3. თბილისელები თამაშობდნენ შეჯგუფულად და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ფლანგებიდან შეტევას. ცერცვაძისა და ანთაძის დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. საბოლოოდ, მასპინძლები გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და თანდათან გაზარდეს ანგარიში - 5:3, 6:4. ტაიმის ბოლოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და მასპინძლებმა პირველი ნახევარი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს - 9:4.

მეორე ტაიმში თბილისელთა შეტევების უვნებელყოფა მინსკელებმა დროის გაყვანითაც ვერ მოახერხეს და თავის კარში დამატებით 13 ბურთი მიიღეს, თუმცა მათაც მოახერხეს მასპინძელთა კარში 9 ბურთის გატანა. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით - 22:13. თბილისელებიდან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ცერცვაძემ (6), ანთაძემ და კოპალეიშვილმა (5:5).

გათამაშების ბოლო ტურამდე კიეველები და თბილისელები დაუმარცხებლად მივიდნენ. სწორედ მათ შეხვედრაში უნდა გამოვლენილიყო „ზამთრის არდადეგების" პრიზის მფლობელი. მატჩი მიმდინარეობდა მეტად დაძაბულად. დასაწყისში ორივე გუნდის მოთამაშეები ნერვიულობდნენ, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა. შემდეგ გუნდებმა თითოეული ბურთის გატანისათვის თავგამოდებული ბრძოლა დაიწყეს. კიეველები დაცვაში იყენებენ ტაქტიკურ სქემას - 4 მოთამაშე ხაზზე, 2 წინ. თავდაპირველად ამ ხერხმა გასჭრა, მაგრამ შემდეგ თბილისელებმა მრავალჯერ მოახერხეს ამ დაცვითი სისტემის გარღვევა და მინიმალური ანგარიშით მოიგეს პირველი ტაიმი - 10:9. ანთაძეს და ცერცვაძეს ლანდივით აკრულები ჰყავდათ კიეველი მოთამაშეები კობზარი და ივახინი. ამ უკანასკნელებმა ერთხანს მოახერხეს კიდეც მათი შებორკვა. მაგრამ გუნდის დანარჩენმა წევრებმა ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს და მეთოდურად დაიწყეს ანგარიშის

გაზრდა. თამაშის მე-40 წუთზე თბილისელებმა ანგარიში საგრძნობლად გაზარდეს - 14:10. ოდნავი შეფერხება და კიეველებმა ანგარიშში განსხვავება მინიმუმამდე დაიყვანეს - 14:13 თბილისელთა სასარგებლოდ. შემდეგ თბილისელებმა 4 ბურთი გაიტანეს, რაზეც 2 საპასუხო მიიღეს და ეს მეტად დაძაბული მატჩი მოიგეს ანგარიშით 18:!5. ამგვარად თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოიპოვა პირველი ადგილი და დედაქალაქში დაატოვებინა კიეველებს „ზამთრის არდადეგების“ გარდამავალი პრიზი. აღნიშნულ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 9 ბურთი, 3 - კოპალეიშვილმა, 2-2 ანთაძემ, ფხაკაძემ და ექსეულიძემ.

სამწუხაროდ, აღსანიშნავია, კიეველთა არასპორტული საქციელი, თბილისელებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ კიეველთა კაპიტანმა არსებული წესის მიხედვით ხელი არ ჩამოართვა არც მსაჯებსა და არც თბილისელთა კაპიტანს.

საუკეთესო ტექნიკისათვის მასპინძელთა კაპიტანმა თ.ანთაძემ მიიღო პრიზი - ბროლის თასი.

რა გვიჩვენა განვლილმა ტურნირმა? „ბურევესტნიკის“ უმრავლეს გუნდებში, გარდა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბაქოს კოლექტივისა, საგრძნობლად ამაღლდა თამაშის კლასი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თბილისის „ბურევესტნიკი“.

ზურაბ გაბუნიას ნახატი (ქვეყნდება პირველად)

ტურნირზე ნათელი იყო ჩვენი გუნდის წევრების კარგი ფიზიკური მომზადება. ისინი თამაშს იგებდნენ სწრაფ ტემპზე. მრავალფეროვანი იყო თავდასხმითი ტაქტიკა საჯარიმო წრიდან და შორი პოზიციებიდან. ჩვენი გუნდი ეფექტურად და ლამაზად ამთავრებდა შეტევითს „ოპერაციებს“ ფლანგებიდან. დაცვაში ძლიერი იყო მარცხენა ფლანგი.

განვლილი ტურნირი ხელბურთელთა ოსტატობის კარგი გამოცდა და შემოწმება იყო მომავალი საკავშირო ჩემპიონატის წინ, რომელიც მიმდინარე წლის მარტის თვეში დაიწყება.

სსრკ პირველი ჩემპიონატი
1962 წლის აპრილი, კაუნასი

კაუნასელ სპორტის გულშემატკივართა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მათ ქალაქში საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა (7:7) გუნდების ჩემპიონატის ფინალური მატჩების ჩატარებამ.

უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებლები განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ შეჯიბრების პირველ დღეს თბილისელ ხელბურთელთა გამოჩენას მოედანზე, რადგან ამ უკანასკნელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბოლო ხანებში და სწორედ მათგან ელოდნენ მაღალი კლასის ხელბურთელთა თამაშის ნახვას.

იმ დღეს თბილისის ბურევესტნიკელები კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ და უნდა ითქვას, რომ თამაშის პირველ ნახევარში ქართველმა სპორტსმენებმა გაამართლეს კიდეც მაყურებელთა იმედები. ჩვენი ხელბურთელები თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ ყველა რგოლში. ურთიერშეთანხმებულმა თამაშმა, ტაქტიკურმა და ტექნიკურმა უპირატესობამ მოწინააღმდეგეებზე და მეკარე აბაიშვილის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა თბილისელთა დამაჯერებელი გამარჯვება პირველ ტაიმში - 13:9.

თამაშის მეორე ნახევრის დასაწყისი კვლავ თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა, რამაც თავისი გამოხატულება ანგარიშშიც ჰპოვა (16:12), მაგრამ დაცვაში დაშვებულმა შეცდომებმა, რამდენიმე მიწოდების დაკარგვამ კიეველებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა - 16:16. შემდეგ თბილისელებს დაეტყოთ ნერვიულობა და თამაშიც ცვალებადი უპირატესობით წარიმართა - 17:16, 17:17, 17:19.

კიეველების გააქტიურებას ხელი შეუწყო ვოლჩანსკისა და ზდორენკოს აშკარად უხეშმა თამაშმა, რაც ბოლო წუთებამდე „შეუმჩნეველი“ რჩებოდა მსაჯისათვის, ანგარიში უკვე უკრაინელთა სასარგებლოდ იყო 21:19, როცა მსაჯმა გადამწყვეტი ღონისძიება იხმარა და მოედნიდან ხუთი წუთით გააძევა ზდორენკო. ამხანაგს გვერდი „დაუმშვენა“ ვოლჩანსკიმაც და თბილისელებს ანგარიშის გაქვითვის საშუალება მიეცათ - 21:21. ამაზე მეტის გაკეთება ვერც ერთმა გუნდმა ვეღარ შეძლო და მატჩი, რომლის მოგება შეიძლებოდა, ფრედ დამთავრდა.

მოსკოვის „ტრუდმა“ ამ დღეს დაამარცხა მინსკის „ბურევესტნიკი“ – 35:15, ხოლო ტირასპოლის სკამ - ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ – 24:23. კაუნასის „ატლეტასის“ და მვტუ-ს შეხვედრა პირველის გამარჯვებით დამთავრდა 28:18.

მესამე ტურში თბილისელები ეთამაშებოდნენ მინსკელ თანაკლუბელებს. პირველ ტაიმში მოწინააღმდეგეებმა სცადეს „მეურვეობის“ ქვეშ აეყვანათ ცერცვაძე, რამაც თბილისელებს საშუალება მისცა სხვა ადგილას მოეძებნათ „ხვრელი“ და მეთოდური თავდასხმებით პირველ ხუთ წუთში მშრალი ანგარიშით (9:0) წაეყვანათ თამაში. პირველი ნახევარი თბილისელთა დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა - 17:9. მეორე ნახევარში გუნდმა საგრძნობლად მოადუნა თამაში და მატჩის საბოლოო ანგარიში (31:25) უკვე არც თუ ისე დიდი სხვაობით დამთავრდა ქართველ ხელბურთელთა სასარგებლოდ.

განვლილ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 8 გოლი, ერთით ნაკლები ჰქონდა ანთაძეს. უნდა აღინიშნოს, რომ ორი ტურის შემდეგ ყველაზე შედეგიან მოთამაშედ ცერცვაძე ითვლებოდა - 16 ბურთი.

საქართველოს ხელბურთელებმა კარგად ჩაატარეს საკავშირო პირველობის ფინალური შეხვედრების მეოთხე ტური. ამ დღეს მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ძლიერი

კოლექტივი. მოსკოველებმა მოინდომეს თამაშიდან ცერცვაძის გამოთიშვა, მაგრამ ახლა ლიდერობა თავის თავზე აიღო ანთაძემ, რომელმაც შესანიშნავად გაათამაშა გუნდი და წარმატებასაც მიაღწია. მათ სამჯერ ზედიზედ აიღეს მოწინააღმდეგის კარი, ხოლო თავისაში ერთი ბურთი მიიღეს. პირველი ნახევრის დამთავრებამდე, როცა ანგარიში იყო 8:4 თბილისის „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ, ჩვენებმა სწრაფ ტემპში ახალი კომბინაციები წამოიწყეს და ანთაძემ, მაჭავარიანმა და ცერცვაძემ კიდევ სამი გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით კარგი იყო ცერცვაძის მიერ ოსტატურად შესრულებული შვიდმეტრიანი საჯარიმო - 11:4.

მაყურებლები გულთბილი ტაშით აცილებდნენ მოედნიდან შესვენებაზე მიმავალ თბილისელ ხელბურთელებს, რომლებმაც ლამაზი, კომბინაციებით აღსავსე თამაში აჩვენეს.

მაგრამ მეორე ტაიმში, უკვე ეს მერამდენედ, თბილისელებმა დათმეს პოზიციები. მოსკოველებმა ისარგებლეს თბილისელთა დაბალი ტემპით და თამაში ჯერ გაათანაბრეს, ხოლო შემდეგ დაეუფლნენ ინიციატივას და მოიგეს მეორე ნახევარი - 10:9. მართალია, ერთი ბურთით უპირატესობას მოსკოველებისათვის საერთო გამარჯვება არ მოუტანია (შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა - 20:14). მაგრამ ამგვარი ტაქტიკის უარყოფითი გავლენა თავს იჩენს საპრიზო ადგილების საბოლოო განაწილებაში, როცა დღის წესრიგში დადგება ბურთების შეფარდება.

მას შემდეგ, რაც თბილისელმა ხელბურთელებმა მეოთხე ტურში გატეხეს მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივის წინააღმდეგობა, პირველი ადგილისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა მათ შეხვედრის შედეგს ტირასპოლის გუნდთან. საქართველოს ხელბურთელები ამ საპასუხისმგებლო მატჩში ორივე ტაიმის განმავლობაში თამაშობდნენ უცვლელი შემადგენლობით: ანთაძე, ცერცვაძე, აბაიშვილი, ექსეულიძე, კოპალეიშვილი, მაჭავარიანი, ფხაკაძე. ეს გასაგებიცაა, გუნდის ძირითად შემადგენლობას თავის მხრებზე უნდა გადაეტანა შეხვედრის მთელი სიმძიმე.

მატჩი დაიწყო ტირასპოლელ ხელბურთელთა იერიშებით და ანგარიშიც მათვე გახსნეს, შემდეგ მათ მიერ გატანილ ყოველ ბურთს გოლით პასუხობდნენ თბილისელი ხელბურთელები და მე-20 წუთისათვის იყო 6:5

ტირასპოლის კოლექტივის სასარგებლოდ. განსაკუთრებით სახიფათოდ მოქმედებდა სსრკ ნაკრების წევრი პრედეხა. თბილისელთა დაცვას უმნელდებოდა მისი თამაშიდან გამოთიშვა. ერთ-ერთი იერიშის დროს ცერცვაძემ გაათანაბრა ანგარიში, რამაც გარდატეხა შეიტანა მატჩში. ტირასპოლელები დაიბნენ. ეს მდგომარეობა კარგად გამოიყენა ფხაკაძემ, გაიტანა გოლი და თავის გუნდს საშუალება მისცა არა მარტო დაწინაურებულიყო, არამედ მთლიანად ხელთ ეგდო ინიციატივა. შესვენებამდე 5 გოლი გაიტანეს, ხოლო მათმა მოწინააღმდეგეებმა - 3 და ტაიმი დამთავრდა (12:9) „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელბურთელები დიდი აღმავლობით, მოფიქრებულად, მრავალფეროვნად მოქმედებდნენ მთელი შეხვედრის განმავლობაში და ხელიდან არ უშვებდნენ მოპოვებულ ინიციატივას. მხოლოდ ერთხელ, როცა ანგარიში იყო 18:11, მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს 4 ბურთის გატანა, ხოლო თბილისელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს და სხვაობა ანგარიშში ოთხ ბურთამდე დავიდა, მაგრამ ამ მატჩის დამთავრებამდე კოპალეიშვილმა კარგად გამოიყენა თანაგუნდელთა მიერ წამოწყებული კომბინაციები და კიდევ ორი ბურთი გაიტანა.

შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა 21:15. წარმატება მოპოვებულ იქნა მეორე ტაიმის ბოლოდან, სწორედ იმის გამო, რომ ბურევესტნიკელებმა ბოლოს და ბოლოს მოახერხეს პრედეხას იზოლირება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თუ წინა შეხვედრებში საქართველოს ხელბურთელები ყოველთვის აგებდნენ მეორე ტაიმს, ამ შემთხვევაში მათ „ტრადიციას უღალატეს“ და გამარჯვების სასწორი მთლიანად თავიანთ მხარეს გადახარეს.

საინტერესო მოვლენებს ჰქონდა ადგილი ამ დღის სხვა შეხვედრებშიც, შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანში „წყალი ჩვენს წისქვილზე ესხმებოდა“. შეჯიბრების ლიდერი - მოსკოვის „ტრუდი“ ამ დღეს თამაშობდა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ წინააღმდეგ და ვერაფერი მოუხერხეს მათ დაცვას - 18:18, რითაც ლიდერმა დაკარგა ერთი ქულა. კაუნასის „ატლეტასმა“ დამარცხება განიცადა კიევის „ბურევესტნიკთან“ შეხვედრაში - 20:21, ხოლო მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ხელბურთელებმა უპირატესობა დაუთმეს მინსკის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს - 13:18.

ამრიგად, უკანასკნელი ორი ტურის წინ შეჯიბრებას ჰყავდა ორი ლიდერი - მოსკოვის „ტრუდი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“, რომლებსაც 8-8 ქულა ჰქონდათ. მათ 2-2 ქულით ჩამორჩებოდა კაუნასის „ატლეტასი“ და ტირასპოლის გუნდი.

ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმა არნახული ინტერესი გამოიწვია კაუნასელ სპორტის მოყვარულებში. „სპორტჰალეს“ დარბაზი სავსე იყო გულშემატკივრებით. ეს გასაგებიც იყო. ამ დღეს კაუნასის „ატლეტასი“, რომელიც ერთ-ერთი ლიდერი იყო ტურნირში, თამაშობდა მოსკოვის „ტრუდის“ წინააღმდეგ და გამარჯვების შემთხვევაში ინაღდებდა საპრიზო ადგილს.

ამ დღეს მთლიანად გამართლდა კაუნასელთა ვარაუდი. მათმა ფავორიტმა - „ატლეტასმა“ ძლიერად ჩაატარა შეხვედრის ორივე ნახევარი და პირველი დამარცხება მიაყენა მოსკოველთა კოლექტივს - 18:14.

ჩვენი ხელბურთელები გულმოდგინედ მოემზადნენ „ალუმინსტროისთან“ შეხვედრისათვის, მაგრამ, როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, არც ზაპოროჟიელებს დაუკარგავთ უქმად დრო. მათ პირველი 10 წუთის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს თბილისელთა კარისაკენ თავისუფალი მისასვლელების ძიებაში და ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. კარგა ხანს ანგარიში საყაიმო იყო - 1:1, 2:2, 3:3.

შემდეგ თბილისელებმა მოუმატეს ტემპს. კომბინაცია კომბინაციას ცვლიდა, თანდათან გამოიკვეთა ჩვენი ხელბურთელების ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა. ზაპოროჟიელებმა თბილისელთა ლიდერს, ცერცვაძეს პერსონალური დარაჯი არ მიუჩინეს, რაც მათ ძვირად დაუჯდათ. სწორედ ცერცვაძემ გაიტანა ხუთი გოლი მათს კარში და დააწინაურა გუნდი - 8:5.

შემდეგ მოწინააღმდეგეებმა 2-2 ბურთი გაიტანეს და ბრძოლა თითქმის ისევ გათანაბრდა, მაგრამ შესვენებამდე ჩვენმა წარგზავნილებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 14:8 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარი დიდად არ განსხვავდებოდა პირველისაგან. საქართველოს ხელბურთელები კვლავ ბატონობდნენ მოედანზე და როცა თბილისელთა მიერ გატანილი ოთხი გოლის წინააღმდეგ ზაპოროჟიელებმა მხოლოდ ერთის გათანაბრება შეძლეს, მათ თითქმის მთლიანად დაყარეს ფარ-ხმალი. მოპოვებულ იქნა გადამწყვეტი უპირატესობა, რაზეც ნათლად მეტყველებს ანგარიში - 18:9.

შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ახალი ენერგიით შეუტიეს მეტოქის კარს ცერცვაძემ და ანთაძემ. კვლავ სწრაფად იზრდება ანგარიში - 27:14. უკანასკნელ წუთზე ცერცვაძემ კიდევ ორჯერ აიძულა მოწინააღმდეგე თამაში ცენტრიდან დაეწყო და საბოლოოდ მატჩი ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მოგებულ იქნა ანგარიშით - 29:14. ამ შეხვედრაში ცერცვაძემ გაიტანა 12 გოლი, მაგრამ არც სხვა ხელბურთელები დარჩენილან ვალში, ყოველი მათგანის ანგარიშზე მოდიოდა 2-3 გატანილი გოლი.

და აი შედგა გადამწყვეტი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ კაუნასის „ატლეტასი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ - 17:17. თბილისელებმა მოიპოვეს 11 ქულა, დაუმარცხებლად დაამთავრეს შეჯიბრება და ხელბურთელთა პირველ საკავშირო ტურნირში დამსახურებულად გაიმარჯვეს - მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი და ოქროს მედლები.

თბილისის „ბურევესტნიკი“ სსრკ პირველი ჩემპიონატის გმირი გახდა. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენმა ხელბურთელებმა გადამწყვეტ მატჩში კაუნასის „ატლეტასთან“ წარმატებით განახორციელეს ამოცანა.

წინა დღეს განცდილი მარცხის შემდეგ მოსკოვის „ტრუდის“ ვაჟთა გუნდი ამ დღეს დემორალიზებული გამოვიდა მოედანზე და პირველი ადგილისათვის მებრძოლმა კოლექტივმა დაკარგა მესამე საპრიზო ადგილიც. სამაგიეროდ, ტირასპოლის კოლექტივმა მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას და მეორე ადგილზე გამოვიდა (9 ქულა), მასპინძლებს დარჩათ მესამე ადგილი.

გარდა იმისა, რომ თბილისის კოლექტივმა მოიპოვა პირველი ადგილი და მთავარი პრიზი, არც სხვა ჯილდოები დაუთმიათ მათ. გუნდმა მოიპოვა მეორე ჯილდოც - კორექტული თამაშისათვის. ტურნირის დასაწყისში დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი მოთამაშეებისათვის. ვინც ჯ.ცერცვაძის თამაშს იცნობდა, სწორედ მას უწინასწარმეტყველებდნენ საუკეთესო ბომბარდირის პრიზს. ფინალური თამაშების მესამე ტურის შემდეგ ცერცვაძე მხოლოდ მესამე ადგილზე იყო და პროგნოზები საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ შემდეგ მან მთლიანად გაამართლა გულშემატკივართა იმედები და არამარტო შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, არამედ 45 გოლის გატანით მოიპოვა სპეციალური პრიზიც.

ქების ღირსი გახლდათ მეკარე ჯ.აბაიშვილიც. იგი მთელი ტურნირის მანძილზე შეუდარებელი იყო და ჟიურიმ ერთხმად მიაკუთვნა მას საუკეთესო მეკარისათვის დაწესებული ჯილდო.

საქართველოს ხელბურთელები ფინალურ ტურნირზე წავიდნენ მხოლოდ ერთი ოსტატით (ჯ. ცერცვაძე), ახლა კი დაბრუნდნენ მთლიანად ოსტატთა შემადგენლობით და ჩემპიონის ალისფერი მაისურებით.

კაუნასში მაყურებელთათვის გამართული კონკურსისათვის განკუთვნილ ანკეტაში იყო ერთი კითხვა „ვის თვლით ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ"? კონკურსში ათასობით მაყურებელმა მიიღო მონაწილეობა, ყველა თბილისელთა მეკარის გვარს იწერდა, რადგანაც სამართლიანად მხოლოდ მას თვლიდნენ საუკეთესოდ.

1962 წლის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	7	4	3	0	11
სკა (ტირასპოლი)	7	4	1	2	9
„ატლეტასი" (კაუნასი)	7	4	1	2	9
„ტრუდი" (მოსკოვი)	7	3	2	2	8
„ბურევესტნიკი" (კიევი)	7	3	1	3	7
„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე)	7	2	2	3	6
„ბურევესტნიკი" (მინსკი)	7	1	1	5	3
მვტუ (მოსკოვი)	7	1	1	5	3

154 ბურთის ავტორები

თბილისის ზონაში მოსკოვის „ტრუდთან" და კაუნასში ჩატარებულ ფინალურ მატჩებში ბურთები გაიტანეს:

ჯემალ ცერცვაძემ - 51
თამაზ ანთაძემ - 28
ბორის კოპალეიშვილმა - 22
ანზორ ექსეულიძემ - 17
გარი მაჭავარიანმა - 13
იმედო ფხაკაძემ - 12
თეიმურაზ ზარდალიშვილმა - 5
ლერი კარტოზიამ - 4
ილია შელეგიამ - 2

1962 წ. სსრკ ჩემპიონი - თბილისის „ბურევესტნიკი“.

თეიმურაზ ზარდალიშვილი, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, არტურ რატიანიძე, ლერი კარტოზია; დგანან: თამაზ ანთაძე, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, ანზორ ექსეულიძე, ილია შელეგია, გარი მაჭავარიანი, ბორის კოპალეიშვილი.

სიტყვა ეძლევა ჩემპიონთა მწვრთნელს გიორგი შარაშიძეს

სსრკ 1962 წლის ჩემპიონთა გარდამავალი პრიზი გუნდს კორექტული თამაშისათვის, პრიზები - ცერცვაძეს ტურნირში ყველაზე მეტი ბურთის გატანისათვის და აბაიშვილს - კარის საუკეთესოდ დაცვისათვის: ოქროს მედლები, სპორტის ოსტატობის წოდება და მოთამაშეთა უმრავლესობის საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობებში შეყვანა. აი ის დიდი ნადავლი, რომელიც ჩვენს გუნდს ჩამოჰყვა თბილისში. ეს პატარა წარმატება არაა, მაგრამ ეს სრულიად არ გვაძლევს უფლებას მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. მიმდინარე წლის ნოემბრიდან სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოგვიხდება - საქმე იმაშია, რომ ჩვენ, როგორც ჩემპიონები, მონაწილეობას მივიღებთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. მე, როგორც გუნდის მწვრთნელი, ვთვლი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ოსტატობის სრულყოფა - აი, ჩვენი ამოცანა. ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ კვლავაც გამარჯვებულთა რიგებში ვიდგეთ.

დასასრულს, მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს, ვინც ჩვენი გუნდის წარმატებისათვის იღვწოდა, გვეხმარებოდა, გვამხნევებდა და წარმატება მოგვილოცა.

ლაპარაკობენ ჩემპიონები

თამაზ ანთაძე (გუნდის კაპიტანი): ტურნირი მეტად დაძაბული და საინტერესო იყო. ყოველმა მოთამაშემ გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. განსაკუთრებით გაგვიჭირდა პირველი და ბოლო თამაშის ჩატარება. პირველ მატჩს ვიგებდით, მაგრამ საბოლოოდ ფრეს მივაღწიეთ. გუნდის საბრძოლო თვისებები ნათლად გამომჟღავნდა ბოლო შეხვედრაში. განუწყვეტელი ხმაურის ქვეშ შევძელით თამაშში გარდატეხის შეტანა და დავჯერდით ფრეს, რომელმაც ჩემპიონების მედლები მოგვიტანა. ამაზე ჩვენ მხოლოდ ვოცნებობდით, რეალურად კი სამეულში მოხვედრა მიგვაჩნდა. მაგრამ ვიგონებ რა განვლილ ტურნირს, ვრწმუნდები, რომ შემთხვევითობას ადგილი არ ჰქონდა. გუნდს შეუძლია კიდევ უკეთ თამაში. ამისათვის გვჭირდება კიდევ ბევრი მუშაობა, მით უფრო, რომ უფლება მოგვეცა ვიბრძოლოთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისათვის. ეს დიდი და რთული ამოცანაა. თითოეული ჩვენგანი მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს ყოველ ვარჯიშს, ყოველ მომავალ შეხვედრას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი მეკარის საუკეთესო თამაში, რომელმაც ბევრჯერ გვიხსნა აშკარა გოლისაგან, ხოლო კიეველებთან - წაგებისაგანაც კი.

ჯემალ აბაიშვილი: მოხარული ვარ, რომ გავამართლეთ გულშემატკივართა იმედები. ტურნირმა დაძაბულად ჩაიარა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა თამაში კაუნასის „ატლეტასთან“. ვეცდებით მომავალში უფრო უკეთესად ვითამაშოთ, არ შევირცხვინოთ თავი საერთაშორისო არენაზე.

ჯემალ ცერცვაძე: ამისრულდა პირველი ნატვრა - გავმხდარიყავით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. დიდი გზა გაგვეხსნა. ახლო მომავალში ჩავებმებით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ვეცდებით მოვიპოვოთ ევროპაში უძლიერესი კლუბის სახელი.

ანზორ ექსეულიძე: როგორ გამოვთქვა ჩემი სიხარული არ ვიცი. იმედია მომავალშიც არ შევარცხვენთ საქართველოს სახელს.

ბორის კოპალეიშვილი: ოცნება სინამდვილედ იქცა. ეს ჩვენი მეგობრული კოლექტივის კარგი თამაშის ლოგიკური შედეგი იყო.

გარი მაჭავარიანი: ყველა მოთამაშე კეთილსინდისიერად იბრძოდა პირველობისათვის. ისინი ყოველ თამაშს დიდი პასუხისმგებლობით ატარებდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა - ჩვენ პირველი ჩემპიონები ვართ.

იმედო ფხაკაძე: განვლილი ტურნირი დიდი გამოცდა იყო, მან ბევრი რამ შეგვძინა. ახლა თითოეულმა ჩვენთაგანმა შემდგომ დაოსტატებაზე უნდა იზრუნოს.

ლერი კარტოზია: დიდი სიხარულის მომგვრელი წუთები განვიცადეთ. ასე ყოფილიყოს მომავალ ჩემპიონატებზეც.

თეიმურაზ ზარდალიშვილი: სასიხარულო მარტო ჩემპიონობის მოპოვება როდია, სასიხარულოა ისიც, რომ სპორტის ოსტატობის წოდებაც მოგვანიჭეს. ვეცდებით მომავალშიც ოსტატთა მაღალ დონეზე ჩავატაროთ ჩვენი შეხვედრები.

ილია შელეგია: შესრულდა ჩვენი პირველი ჩანაფიქრი. ვეცდებით მომავალშიც გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

არტურ რატიანიძე: ახალი წარმატებისათვის ჩვენს კოლექტივში ყველა პირობაა შექმნილი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ავიმაღლებთ ოსტატობას.

ჩემს სპორტულ არქივში ინახება კაუნასში ჩატარებულ შეხვედრებთან დაკავშირებით 1962 წლის 18 აპრილს „ლელოში“ გამოქვეყნებული ბატონ **ჯიმშერ ენუქიძის** ვრცელი წერილი. იგი ხომ უშუალო მოწმე გახლდათ თბილისის „ბურევესტნიკის“ ისტორიული გამარჯვების, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში გაზეთის მკითხველებს ცხელ ამბებს აცნობდა.

როცა ალამი დაეშვა

ხელბურთელთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი ახლა უკვე საბჭოთა სპორტის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები, გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი ოსტატი და სწორედ ახლა, როცა ალამი დაეშვა, უფრო ადვილია ანალიზი გაუკეთოთ განვლილ შეჯიბრებათა შედეგებს.

დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელთა კოლექტივს. გუნდმა, რომელმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა, ოქროს 11 მედლით დაამშვენა ქართული სპორტის სახელოვანი გზა. კაუნასში გამართულ ტურნირზე წარმოდგენილი 8 გუნდიდან სულ ცოტა 6-ს მაინც ჰქონდა პრეტენზია უძლიერესის სახელის მოპოვებაზე. ჩემპიონატის ბოლო დღემდე არც ერთხელ არ ყოფილა ნათელი, თუ ვინ მოიპოვებდა წოდებას, ვინ გაივლიდა სპორტული მარშის ჰანგებქვეშ საპატიო წრეზე. ამაზე ოცნებობდა ყველა გუნდი, ამაზე ოცნებობდნენ ქართველი ხელბურთელებიც. მაგრამ ოცნება და მიზანი ერთია, შესრულება კი - ძალზე ძნელი. ფაქტი იყო, რომ ვინც ყველაზე თანაბრად ჩაატარებდა ტურნირს, გამოავლენდა საუკეთესო ფიზიკურ თვისებებს და რაც მთავარია - ტექნიკურ და ტაქტიკურ ოსტატობას, ის იქნებოდა გამარჯვებული. სწორედ ყველა ის მონაცემი აღმოაჩნდა ჩვენს გუნდს, რომელმაც მძიმე და დაძაბული ტურნირის ფინიშზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია.

თბილისის ზონაში გამარჯვების შემდეგ ქართველი ხელბურთელები კაუნასის ტურნირზე დაკარგული ქულით წარსდგნენ, იმ დროს, როცა კაუნასელები და ტირასპოლელები ეტაპის დასაწყისშივე 2-2 ქულით ლიდერობდნენ. საჭირო იყო დაკარგულის აღდგენა და,რაც მთავარია, დაწინაურება.

მაგრამ პირველი მატჩი თბილისელთათვის არც თუ სასიამოვნოდ წარიმართა. კიეველი თანაკლუბელები თბილისელებთან ორი თვის წინათ განცდილი დამარცხებების შემდეგ მოედანზე გამარჯვების მტკიცე სურვილით გამოვიდნენ. თუმცა მიზნის მიღწევისათვის მათ ცუდი გზა აირჩიეს - ძალისმიერი და აშკარა უხეშობამდე გადასული თამაში. ქართველი ხელბურთელები არ აყვნენ ამ გზას. „ტემპერამენტიანი სამხრეთელები“ კორექტული, ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობის მოპოვებაზე ფიქრობდნენ და როცა მატჩის მე-40 წუთზე წინ გავიდნენ (16:12), კიეველთა უხეშობამ ზენიტს მიაღწია. ამან ჩვენს ბიჭებს საბოლოოდ მხოლოდ ფრე მოუტანა 21:21. მაყურებელთა სიმპათიები ქართველი ხელბურთელებისაკენ იყო. რაც შეეხება კიეველებს, მათ როგორც მაყურებელთა, ისე სპეციალისტთა შორის ძალზე უსიამო მოგონება დატოვეს. შემდეგ ტურებში მომავალმა ჩემპიონებმა ზედიზედ 4 მატჩი მოიგეს მინსკის „ბურევესტნიკთან“ (31:25), მვტუ-სთან

_20:14), ტირასპოლის გუნდთან (21:15) და ზაპოროჟიელ ხელბურთელებთან (29:15). ჩვენი ხელბურთელები მხოლოდ ტირასპოლის ძალზე ძლიერ და აგრესიულ გუნდთან მოგების შემდეგ ჩადგნენ ლიდერთა ჯგუფში მოსკოვის „ტრუდთან“ ერთად (8-8 ქულა). ზაპოროჟიელებთან მოგებამ კი გუნდი დაგროვილი 10 ქულით ერთპიროვნულ ლიდერად აქცია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საბოლოო გამარჯვებას არ ნიშნავდა. ბოლო მატჩში „ატლეტასთან“ წაგების შემთხვევაში გუნდი შეიძლებოდა საპრიზო სამეულის ყველაზე დაბალ საფეხურზე აღმოჩენილიყო. ოქროს მედლების დათმობა კი არც მოთამაშეებს, არც მათს მწვრთნელს, არც საქართველოდან ამ ტურნირზე „აკრედიტებულ“ კორესპონდენტსა და არც ხუთიოდე ქართველ გულშემატკივარს არ აწყობდათ. რა თქმა უნდა, არ აწყობდათ ეს ამბავი გულშემატკივრებს თბილისში, ფოთში, სოხუმსა და ყველგან - საქართველოს ყოველ კუთხეში, საიდანაც ჩვენ გამამხნევებელი წერილები და დეპეშები მოგვდიოდა. ბოლო მატჩის წინ ყველა ღელავდა, მაგრამ წარმატების მოპოვების რწმენა დიდი იყო.

თუმცა ზოგიერთი ძალზე ერიდებოდა „ავბედით ნიშანს“ - ერთნი გზაზედ გამოჩენილ შავ კატას გაურბოდნენ, მეორენი კი ყველა მატჩზე ერთი და იგივე ტანსაცმლით გამოწყობილნი დადიოდნენ. ქართველ ხელბურთელთა ოსტატობამ ეს „დაბრკოლებები“ გადალახა და ბოლო მატჩში პირველი ჩემპიონის ტიტულისათვის საჭირო ქულა მოიპოვა. საყაიმო სტარტით აღნიშნული ტურნირი საყაიმო ფინიშით აღინიშნა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა პირველი ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის. „სპორტ-ჰალეში“ თავმოყრილი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ქართველ ხელბურთელებს.

შეიძლებოდა თუ არა „ატლეტასთან“ მატჩის მოგება? შეიძლებოდა, მაგრამ ბოლო 15 წუთი ორივე გუნდმა ძალზე ნერვიულად ჩაატარა. საკმარისი იყო ჩვენებს ოდნავ უყურადღებოდ დაეტოვებინათ მოწინააღმდეგეთა თავდამსხმელები და შედეგიც საბედისწერო აღმოჩნდებოდა. მოგება შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ბ. კოპალეიშვილის მიერ კარისკენ ათჯერ გაგზავნილი ბურთი ზედიზედ ძელს რომ არ მოხვედროდა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სასტარტო შვიდეული: თ.ანთაძე, ჯ.აბაიშვილი, ჯ.ცერცვაძე, ა.ექსეულიძე, გ.მაჭავარიანი, ბ.კოპალეიშვილი და ი.ფხაკაძე ხელბურთის სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით ამჟამად ყველაზე სტაბილური და ფიზიკურად ძალზე ძლიერი შემადგენლობაა. ტირასპოლის გუნდთან მატჩში ეს

თბილისის „ბურევესტნიკის“ ამ შემადგენლობამ ენით აუწერელი სიხარული მიანიჭა გულშემატკივრებს

გიორგი შარაშიძე

თამაზ ანთაძე

ჯემალ აბაიშვილი

ჯემალ ცერცვაძე

ანზორ ექსეულიძე

თეიმურაზ ზარდალიშვილი

იმედო ფხაკაძე

გარი მაჭავარიანი

ბორის კოპალეიშვილი

ილია შელეგია

ლერი კარტოზია

არტურ რატიანიძე

1962 წ. კაუნასი. თბილისის „ბურევესტნიკი“. ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, გარი მაჭავარიანი, ილია შელეგია, ლერი კარტოზია, იმედო ფხაკაძე, არტურ რატიანიძე, ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე.

შვიდეული მთელი 60 წუთის მანძილზე უცვლელად იყო მოედანზე. საერთო გამარჯვების მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თ.ზარდალიშვილმა, ლ.კარტოზიამ, ი.შელეგიამ და ა.რატიანიძემ. სწორედ ამიტომაა, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (I და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში) მარტო ცერცვაძეს კი არ ვიხილავთ, არამედ აბაიშვილს, ანთაძეს, ექსეულიძეს, კოპალეიშვილს, ფხაკაძეს და ზარდალიშვილსაც. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მეკარის - ჯ. აბაიშვილის შესანიშნავი გაბედული და უაღრესად ყურადღებიანი თამაში. ჯ. ცერცვაძემ საუკეთესო ბომბარდირის სახელი კიდევ ერთხელ ბრწყინვალედ დაამტკიცა, ანთაძემ შეუპოვარი მებრძოლის სახელი მოიპოვა, ფხაკაძემ - კრიტიკულ მომენტებში 2-2 ბურთის კარში მშვიდად და აუღელვებლად მოთავსების ოსტატის სახელი. ექსეულიძემ - თავდასხმასა და დაცვაში თანაბრად მებრძოლისა, კოპალეიშვილმა - მოულოდნელი „აგრესორისა“ და მაჭავარიანმა - „ატლეტასთან“ თამაშში ჩემპიონობისათვის მოპოვებული საჭირო ქულის ერთ-ერთი ყველაზე დიდი „დამნაშავისა“ (როცა გუნდი აგებდა, მან კრიტიკულ მომენტებში 5 ბურთი გაიტანა).

ქართველ ხელბურთელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს გ.შარაშიძეს, რომელმაც დიდი ენთუზიაზმით და საზოგადოებრივ საწყისებზე ხელი მოჰკიდა ახალგაზდა გუნდის დაოსტატების საქმეს. მან მოახერხა დისციპლინირებული, ტაქტიკურად და ტექნიკურად ძლიერი და კარგი ფიზიკურ-მორალური თვისებებით დაჯილდოებული ხელბურთელების მონოლითურ კოლექტივად ჩამოყალიბება.

ჩემპიონთა გუნდს წინ სერიოზული გამოცდა მოელის - მონაწილეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში. განვლილმა ჩემპიონატმა კოლექტივის თითოეულ წევრს დიდი გამოცდილება შესძინა. მათ იგრძნეს თავისი ძალა, მაგრამ მათ იგრძნეს ისიც, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. მხოლოდ ტაქტიკური და ტექნიკური არსენალის გამრავალფეროვნებით შეიძლება მომავალ ბატალიებში გამარჯვება.

და კიდევ ერთი. ჩვენ გვახსოვს ბევრი გუნდი, მრავალი სპორტსმენი, რომლებიც გამარჯვებებით თავბრუდახვეულები და გამედიდურებულნი წარუმატებლობათა გზაზე დაქანებულან. ახალ გამარჯვებათა გზა კიდევ უფრო ნაყოფიერმა შრომამ და თავმდაბალმა ქცევამ უნდა გაკვალოს.

კაუნასში მოპოვებული ნამდვილად ისტორიული გამარჯვების შემდეგ „ლელომ“ გამოაქვეყნა გამარჯვებული გუნდის ორი წევრის **თეიმურაზ ზარდალიშვილისა** და **იმედო ფხაკაძის** ფოტოები. ტექსტი კი ასე გამოიყურებოდა : „ჩემპიონთა გუნდში ეს ორი მოთამაშე შედარებით გვიან მოვიდა, მაგრამ მათ ჩქარა მიიპყრეს ყურადღება როგორც კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენებმა. ორივე მათგანმა განვლილ პირველ საკავშირო ჩემპიონატზე ოქროს მედლების მოპოვებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თ.ზარდალიშვილს აქვს ძალზე ძლიერი ტყორცნები. კაუნასშიც დაამტკიცა თავისი ოსტატობა ზარდალიშვილმა, როდესაც რამდენჯერმე „მკვდარი“ ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.

ი. ფხაკაძემ კაუნასის ჩემპიონატზე მაყურებელთა დიდი სიმპათიები დაიმსახურა. მას ყოველ მატჩში ორი-სამი ბურთი გაჰქონდა, ხოლო მისი მეტოქეებისათვის, რომელთაც ის მეურვეობდა ხოლმე, მას არც ერთხელ არ მიუცია საშუალება ჩვენს კარში ბურთი გაეტანათ. ეს პატარა დამსახურება როდია, გაგქონდეს თუნდაც გოლების მცირე რაოდენობა და საპასუხოს არ ატანინებდე. ზოგჯერ ხომ ასეც ხდება და საშიშ თავდამსხმელს თითოეულ მატჩში 6-8 ბურთი გააქვს ხოლმე, მაგრამ თავის კარში მის მეტოქეს თითქმის იმდენივე ან უფრო მეტი. ი.ფხაკაძე კი ამ ნაკლისაგან დაზღვეულია“ ...

ამ ორ ახალგაზრდა სპორტსმენს წინ დიდი მომავალი აქვს. თუ ისინი შემდგომ წვრთნასა და დაოსტატებას კვლავ დიდი სერიოზულობით მოეკიდებიან, ჩემპიონთა კოლექტივის წარმატებები უფრო დიდი იქნება.

შეტევაშია თეიმურაზ ზარდალიშვილი

1962 წლის ივნისის თვეში თბილისის „ბურევესტნიკმა“ ტურნე გამართა პოლონეთში. ჩვენს გუნდს ადრეც ჩაუტარებია საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები და მათი უმრავლესობა თავის სასარგებლოდ დაუმთავრებია. ეს იყო 6 საერთაშორისო მატჩი. აქედან 5 მოგება და 1 წაგება. უნგრელებთან - 14:12, 14:13, დანიელებთან - 30:13, 20:13 და ჩეხებთან - 22:18, 17:23. იმ პაექრობებში თბილისელები ყველა შემთხვევაში მასპინძლები იყვნენ და ამდენად მათ სახლში „კედლებიც ეხმარებოდა“. ამჯერად ქართველი ხელბურთელები პირველად გასცდნენ თავისი სამშობლოს ფარგლებს - პოლონეთში მოუხდათ თავისი სპორტული ღირსების დაცვა.

ვარშავაში „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „აკადემიკი“ 23:20, ლოძში ადგილობრივი ნაკრები 34:20, გდანსკში ქალაქის გვარდიის სპორტული კლუბი 23:20. ამ შეხვედრაში საუკეთესო ბომბარდირი იყო გუნდის კაპიტანი თ.ანთაძე, რომელმაც მასპინძელთა კარში 8 ბურთი გაიტანა, ცერცვაძემ - 6. კოპალეიშვილმა და ექსეულიძემ - 3-3, ფხაკაძემ - 2 და მაჭავარიანმა - 1.



1964 წ. თებერვალი. ლვოვი.

ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ანზორ ექსეულიძე.

პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკის" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ ერთ-ერთ შეკრებაზე აღნიშნა, რომ ყოფილ სსრკ ხელბურთელთა წრეებში „ბურევესტნიკის" წარმატებამ პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში დიდი ხმაური გამოიწვია. ერთნი ამას თვლიდნენ კანონზომიერ მოვლენად, მეორეთათვის კი ეს მოულოდნელობა იყო. რაშია ჩვენი ერთობ მცირე ასაკის გუნდის („ბურევესტნიკს" და მასთან ერთად ქართულ ხელბურთს სულ ხუთიოდე წლის ისტორია აქვს) თვისობრივი ნახტომის საიდუმლოება?

გუნდმა „ნახტომს" თამაშის ტაქტიკაში, ტექნიკასა და ოსტატობაში დაუღალავი ვარჯიშითა და მიზნისადმი მეგობრული, ერთსულოვანი სწრაფვით მიაღწია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აგრეთვე ევროპის ქვეყნების საკლუბო გუნდებთან საერთაშორისო შეხვედრებში მიღებული გამოცდილება და ბოლოს, პოლონეთში ტურნემ გარკვეული წარმოდგენა მოგვცა ევროპული ხელბურთის კლასზე. აქამდე ჩატარებული 10 საერთაშორისო მატჩიდან ყველაზე დიდი სამსახური გაგვიწია იმ ერთადერთმა დამარცხებამ, რომელიც

ჩეხებთან განვიცადეთ, ჩეხებმა შეიძლება ითქვას ნათლად გვიჩვენეს რაში გვჯობნიდნენ და ისიც დაგვანახეს, რით შეიძლებოდა ყოველივე ამის გამოსწორება. ჩვენ შევძელით ყოველივე ამის გათვალისწინება და სსრკ ჩემპიონატზე მივიღეთ ლოგიკური შედეგი - ჩემპიონთა წითელი მაისურები.

მაგრამ ეს საკმარისი იყო გუშინ, დღეს და ხვალ კი ჩვენ ასე იოლად ვერ ვიქნებით გამარჯვებულთა რიგებში, თუ არ გავითვალისწინეთ ის, რომ სხვა გუნდები უკვე ემზადებიან რევანშისათვის.

ახლის ძიება, თამაშის კლასის კიდევ უფრო ამაღლება, საერთაშორისო თამაშების გეოგრაფიული არეს გამდიდრება და იქ გამოცდილების შეძენა - აი, ახალი და გადაუდებელი ამოცანა სსრკ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების წინ - ასე დაასრულა თავისი საუბარი გ.შარაშიძემ.

1962 წელს ოქტომბრის შუა რიცხვებში, სსრკ ნაკრებმა, რომლის უფროს მწვრთნელად დაინიშნა გ.შარაშიძე, ვარჯიში დაიწყო თბილისში. მასში თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა უმრავლესობა შევიდა - ცერცვაძე, ანთაძე, კოპალეიშვილი, ექსეულიძე, აბაიშვილი.

დაკომპლექტდა სსრკ ახალგაზრდული ნაკრებიც, რომელშიც შევიდნენ იმედო ფხაკაძე და თეიმურაზ ზარდალიშვილი.

1970 წ. 26 აპრილი. სსრკ. ნაკრები ერთ-ერთი საერთაშრისო ტურნირზე გამგზავრებამდე.

ჯემალ აბაიშვილი, ჯემალ ზაქარიაძე, გიორგი შარაშიძე, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია; დგანან: ილია შელეგია, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, თამაზ ანთაძე, გარი მაჭავარიანი.

1962 წ. კაუნასი. თბილისის ,,ბურევესტნიკი". თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, ილია შელეგია, გარი მაჭავარიანი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, არტურ რატიანიძე, ბორის კოპალეიშვილი, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე.

1962 წლის ნოემბრის ბოლოს თბილისს ეწვია მსოფლიო ჩემპიონი - რუმინეთის ნაკრები. იგი რომ მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ეს ხელბურთის გულშემატკივრებმა კარგად ვიცოდით. ამაში დავრწმუნდით სპორტის სასახლეშიც - რუმინელ სპორტსმენებთან - თბილისის ბურევესტნიკელების მიერ გამართულ ორ შეხვედრაში.

პირველი მატჩი რუმინელებმა დამაჯერებლად დაიწყეს და ჩქარა ანგარიში თავის სასარგებლოდ წაიყვანეს. თუმცა ჯერ თ,ანთაძემ და შემდეგ ჯ.ცერცვაძემ (7- მეტრიანი საჯარიმოთი) ორი საპასუხო ბურთი გაიტანეს და ანგარიში გაათანაბრეს - 2:2. სწორედ ამ წარმატების შემდეგ შეძლეს მასპინძლებმა ინიციატივის აღება და ანგარიშმა მეთოდურად იწყო ზრდა - 4:2, 5:3, 6:4. იმ დროს, როცა ტაიმის დასასრულს 10 წუთი აკლდა, თავდასხმით გატაცებულმა თბილისელებმა დაცვაში ყურადღება მოადუნეს. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს რუმინელებმა და გაათანაბრეს ანგარიში - 6:6.

საერთოდ, თამაშის პირველი ტაიმი ორსურათიან იმპროვიზირებულ სპექტაკლს ჰგავდა. ე.წ. „პირველ სურათში“ თბილისელებმა „სტუმართმოყვარეობის“ ოდნავი ელემენტიც კი არ გამოიჩინეს და ამიტომ რუმინელებმა თავდაცვის ორგანიზებაზე იწყეს ფიქრი. შემდეგ კი, როცა „სურათი შეიცვალა“, რუმინელთა

ლიდერებმა იონ მოზერმა (N9) და პეტრე ივანესკუმ (N3) ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თბილისელთა დაცვაში ურთიერთმოქმედება დაერღვიათ და ეს მოხდა კიდეც. როცა ტაიმი დამთავრდა და ტაბლოზე აღნიშნული ციფრები - 10:8 უკვე რუმინელთა წარმატებაზე ლაპარაკობდა.

მეორე ნახევრის წინ მასპინძელთა წინაშე უფრო რთული ამოცანა დადგა: დაკარგულის აღდგენა და წინ გასვლა. და ეს ამოცანა თამაშის 36-ე წუთზე უფრო რთული გახდა. რუმინელებმა ანგარიშში სხვაობა ოთხამდე აიყვანეს - 13:9 ! თბილისელებს თითქოს მათრახი გადაუჭირესო, თავდასხმამ თავგანწირვით იწყო თამაში, მათ ბრწყინვალედ გამოიყენეს თამაშის ტაქტიკური ვარიანტი - ე.წ. „რვიანი“ და ჩქარა თბილისელმა ერიხ ველდრემ ორი ბურთით შეამცირა სხვაობა ანგარიშით - 11:13. ამის შემდგომ ორი ჩემპიონის „კონფლიქტმა“ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მასპინძელთა კაპიტანმა თ.ანთაძემ მეტოქეებთან მძიმე ორთაბრძოლებში ორჯერ მოახერხა მცირე „დერეფნის“ მოძებნა და ორჯერვე ბურთმა მიზანს მიაღწია - 13:13. შემდეგ იგივე ანთაძემ მოხერხებულ პოზიციაში გაიყვანა ჯ.ცერცვაძე, რომელმაც არ დააყოვნა და ზუსტად დააგვირგვინა გოლი - 14:13. თუმცა იმავე წამს რუმინელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება - 14:14. ამ მატჩში ბოლო და გადამწყვეტი ბურთი ანთაძემ გაიტანა 15:14, რომელმაც მასპინძლებს მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონებზე საპატიო გამარჯვება მოუტანა.

ამ მატჩში რუმინელთა თამაში გამოხატული იყო მოედანზე სწორხაზოვანი და სწრაფი გადაადგილების ტაქტიკით. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ნაკლებ ზრუნავდნენ ეფექტისათვის და უბრალოდ, ზედმეტ მოძრაობათა გარეშე, გადაცემათა ეკონომიით აღწევდნენ საბოლოო მიზანს. თავდაპირველად

მასპინძლების თამაშშიც თითქოს ტაქტიკის ეს ვარიანტი სჭარბობდა, მაგრამ შემდგომში, როცა ისინი დამარცხების საშიშროების წინაშე დადგნენ, მათ უფრო ეფექტურ საშუალებებს მიმართეს, თუმცა უნდა შევნიშნო, რომ განვლილ მატჩში მეტოქის მოედანზე თბილისელთა როგორც მარცხენა ფლანგი, ისე მარჯვენა, მეტად გაუბედავად მოქმედებდა. და ეს იმ დროს, როდესაც თბილისელებმა კარგად იციან ფლანგებიდან შეტევის ორგანიზება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ფლანგებიდან მხოლოდ ორი ბურთი იქნა გატანილი (კარტოზია, ფხაკაძე).

განვლილი მატჩის სტენოგრამაში ერთი საინტერესო დეტალი იყო, საიდანაც ნათლად ჩანს ორივე მეტოქის მიერ კარში დარტყმული ბურთების შედარებითი შედეგიანობა: მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში 35-ჯერ დაარტყეს და როგორც უკვე ვიცით, მხოლოდ 15-მა მიაღწია მიზანს. აქედან 5 ბურთი გაიტანა ცერცვაძემ, ანთაძემ - 4, ველდრემ - 3, ექსეულიძემ, კარტოზიამ და ფხაკაძემ - თითო ბურთი. სტუმრებმა თავის მხრივ 30-ჯერ დაარტყეს კარში და 14-ჯერ მიაღწიეს წარმატებას.

ყველა, ვინც რუმინელ და ქართველ ხელბურთელთა მეორე შეხვედრას დაესწრო, უაღრესად მაღალტექნიკური ბრძოლის მოწმე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა ამჯერად შეხვედრა წააგეს, ისინი მაყურებლებმა თუმცა სინანულით, მაგრამ მაინც ტაშით გააცილეს. და ეს იმიტომ, რომ ჩვენმა ხელბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩში თანაბარძალოვანი თამაში აჩვენეს, რიგ მომენტებში სტუმრებზე უკეთ გამოიყურებოდნენ და რაც მთავარია, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყების წინ ე.წ. „გენერალური რეპეტიცია“ წარმატებით ჩაატარეს.

მატჩის 24-ე წუთზე ანგარიში იყო 9:2 რუმინელთა სასარგებლოდ. ასეთ პირობებში სსრკ ჩემპიონები ამ ორი წლის მანძილზე არც ერთხელ არ ყოფილან. რამ გამოიწვია ეს? ჩამორჩებიან ქართველი ხელბურთელები რუმინელებს თამაშის ტექნიკით? აქვე შევნიშნოთ, რომ არა, მაგრამ ასეთი დრამატული მიმდინარეობა გამოიწვია იმან, რომ მასპინძლებმა - თავდასხმით გატაცებულებმა - სრულიად დაივიწყეს ხელბურთის თამაშის ერთი შეუცვლელი კანონი - „შეტევა მიზანს აღწევს მაშინ, როცა დაცვა საიმედოდ არის ორგანიზებული“. მაგრამ იმ დროს, როდესაც თბილისელებმა დაცვაში თავისივე უყურადღებობით „შექმნილი დერეფნები“ ჩაკეტეს, თავდასხმის შეტევებმა ლოგიკური შედეგები მოიტანა: ტაიმის დასასრულს ანგარიშმა, თუმცა რუმინელთა სასარგებლოდ, მაგრამ სოლიდური შეფარდება მიიღო - 9:6.

მატჩის მეორე ნახევარი მთლიანად თანაბარძალოვანი გამოდგა. მასპინძლებმა თავისი ძალების მაქსიმალური დაძაბვის საშუალებით სცადეს შეხვედრის საბოლოოდ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა, მათ მოიგეს კიდეც ტაიმი - 7:6, მაგრამ მინიმალურმა სხვაობამ გამარჯვების სასწორი მაინც რუმინელთა მხარეს გადასწია - 15:13.

რუმინელთა გუნდიდან განვლილ მატჩში საუკეთესო იყო მათი „ბომბარდირი“ იონ მოზერი, რომელმაც 6 ბურთი გაიტანა. მასპინძლებიდან ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა ცერცვაძე. მანაც იონ მოზერივით მეტოქეთა კარში 6 ბურთი გაიტანა, ველდრემ, ანთაძემ და ფხაკაძემ - ორ-ორი ბურთი, კარტოზიამ - 1.

თბილისის „ბურევესტნიკისათვის“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება უიღბლოდ დაიწყო. 1962 წლის დეკემბერში ისინი ლაიფციგში შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს - ლაიფციგის ფიზკულტურის უმაღლესი სასწავლებლის ხელბურთელებს და დამარცხდნენ 17:25.

ნამდვილად დასანანი გახლდათ, რომ ჩვენი ხელბურთელები პირველ სტადიაში გამოეთიშნენ გათამაშებას.

თბილისის „ბურევესტნიკი“.

თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ალექსანდრე ხუციშვილი, ლერი კარტოზია;

დგანან: ჯანო ბაგრატიონი, ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, ბორის კოპალეიშვილი,

თეიმურაზ ზარდალიშვილი, ჯემალ ზაქარიაძე.

ანზორ ექსეულიძე, ჯანო ბაგრატიონი, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია, იმედო ფხაკაძე, ალექსანდრე ხუციშვილი, ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე.

1964 წლის სექტემბრის თვის დასაწყისში თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა სსრკ უძლიერეს ხელბურთელთა გუნდების ტურნირი. თბილისის „ბურევესტნიკმა“ დაუმარცხებლად პირველი ადგილი მოიპოვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის , მოსკოვის „ტრუდისა“ და ბაქოს „დინამოს“ კოლექტივებმა.

ტურნირის საბოლოო შედეგები შეაჯამა თბილისის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ: „ტურნირის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ ერთხელ კიდევ გვეცადა ძალები სსრკ ჩემპიონატის დასკვნითი ტურის წინ. როგორც მწვრთნელს, მაინტერესებდა საბოლოოდ გამერკვია, როგორ ასრულებენ დავალებებს ჩვენი ხელბურთელები, როგორ არიან მომზადებული ამა თუ იმ რგოლში და სხვ. ტურნირმა

სსრკ. ნაკრები.
მარჯვნიდან მეორე
ჯემალ აბაიშვილი,
მესამე - იმედო ფხაკაძე,
მეხუთე - თამაზ ანთაძე.

დაგვანახა, რომ ბურევესტნიკელებს უქმად არ გაუტარებიათ მოსამზადებელი პერიოდი. სამმა შეხვედრამ დამარწმუნა აზრის სისწორეში, რომ თბილისელები მზად არიან გადაიტანონ მეტად მძიმე და დიდი ბრძოლები, რომელიც 24 სექტემბერს მოსკოვში იწყება.

ტურნირის პირველი მატჩი ჩვენს ხელბურთელებს ჰქონდათ ბაქოელებთან. აზერბაიჯანელი სპორტსმენები ფიზიკურად ძლიერები არიან, ფლობენ თამაშის თანამედროვე ტექნიკას, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებენ ტექნიკური და ტაქტიკური ამოცანების სისრულეში მოყვანას. ეს კარგად გაითვალისწინეს თბილისელებმა და შეხვედრა თავისთვის სასურველი კალაპოტით წარმართეს. ამ დღეს განსაკუთრებით ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ ჩვენი ფლანგები - კარტოზია და ფხაკაძე, რომლებმაც დიდი ჯაფა დააყენეს ბაქოელთა დაცვას. საერთოდ ჩვენმა თავდასხმამ ძალზე კარგად ააწყო თამაში, მოიპოვა დიდი უპირატესობა, მაგრამ საკუთარ კარშიც ბევრი ბურთი მივიღეთ. ამასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ ხელბურთში კვლავინდებურად N1 პრობლემა რჩება დაცვის სათანადოდ ორგანიზების საკითხი.

მართალია, თბილისელებმა მონახეს ერთი ფრიად სასარგებლო ვარიანტი, რომელიც პრესინგში გამოიხატება, მაგრამ დაცვის ტაქტიკა ერთი სიახლით ვერ გამდიდრდება. არ შემიძლია არ მოვიგონო სსრკ

ანზორ ექსეულიძე, იმედო ფხაკაძე, ჯემალ ცერცვაძე

პირველობის პროგრამით ჩატარებული ბაქოს ტური, სადაც მოსკოვის „ტრუდთან“ შეხვედრისას ჩვენმა ბიჭებმა საუცხოოდ გამოიყენეს პრესინგი. ამას ტრუდელებმაც მიმართეს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა გაორებულ პრესინგთან - ორი თბილისელი მეურვედ დაუდგა ორ მოსკოველს და პირიქით. გამოჩნდა, რომ თბილისელებს უკეთ ჰქონდათ დამუშავებული დაცვის ეს ტაქტიკა, რაც იმაში გამოიხატა, რომ უკუგდებულ იქნა პრესინგში ე.წ. პასიურობა და მეურვეობის „მარწუხში“ აღმოჩენილი ცერცვაძე და ანთაძე ყოველ ხელსაყრელ მომენტში პასიური სტატიკური მდგომარეობიდან საშიშ თავდამსხმელებად გვევლინებოდნენ. ცერცვაძემ ასეთ ვითარებაში რვა ბურთის გატანა შეძლო.

მე იმიტომ შევჩერდი ამ საკითხზე ასე ვრცლად, რომ განვლილ ტურნირზე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებთან შეხვედრისას, როგორც ველოდით, ცერცვაძე აიყვანეს პერსონალურად. ამ დღეს ჩვენ დებიუტანტს - ჯ. ზაქარიაძეს ეს ვითარება უნდა გამოეყენებინა გუნდის ინტერესებისათვის და სწორედ მას უნდა შეესრულებინა „ბომბარდირის“ როლი. მან ეს წინა თამაშში კარგად შეასრულა, მაგრამ ამჯერად მისი დარტყმები მიზანს სცდებოდა. როგორც იტყვიან, მას თამაში არ გამოუვიდა.

ბოლო შეხვედრა ჩვენ გვქონდა მოსკოვის „ტრუდთან“, გუნდთან, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შევიდა საჭირო ფორმაში. ამ დღეს მოედანზე არ იყო მათი ლიდერი გ.ლებედევიც, რამაც შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით ოდნავ უინტერესო გახადა. მაგრამ იმ დღეს ეს ნაკლი შეავსო ჯემალ აბაიშვილის თავგამოდებულმა და საუცხოო თამაშმა. როგორც ცნობილია, იგი სხვა ქალაქებში თამაშობს ძალზე ძლიერად, ხოლო თბილისში შედარებით გაუბედავია. ამჯერად მან თბილისშიც უაღრესად ზუსტი თამაში აჩვენა.

დარჩა თითებზე დასათვლელი დღეები და მოსკოვში დაიწყება სსრ კავშირის ხელბურთელთა მესამე ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები. მთელი გუნდი დარჩენილ დროს გამოიყენებს იმისათვის, რომ ზოგიერთი ნაკლი, რომელიც ტურნირზე გამოვლინდა, აღმოიფხვრას და პირნათლად წარდგეს დიდ გამოცდაზე“.

სსრკ მესამე ჩემპიონატი
(1964 წ. სექტემბერი)

დასკვნითი თამაშები მოსკოვის სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა მსოფლიო ახალგაზრდობის ფორუმის გამო პირველი ორი ტური სპორტკლუბ „ლუჩის“ პატარა დარბაზში გაიმართა. დიდ მოედანზე მიჩვეული თბილისელები მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. სათამაშო სარბიელი იმდენად მცირე გახლდათ, რომ იგი ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დებულების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. საკვირველი ის გახლდათ, რომ ხელბურთის საკავშირო ფედერაციამ მოსკოვში ვერ გამონახა ჩემპიონატისათვის შესაფერისი ასპარეზი.

თბილისის „ბურევესტნიკის“ პირველი მეტოქე კიეველი თანაკლუბელები იყვნენ, ბოლო წლების ტრადიციის ძალით, ამჯერადაც გამარჯვების სასწორი ჩვენს მხარეს გადმოიხარა, მაგრამ ამჯერად კიეველთა დამარცხება იოლად მოხერხდა 28:15 (18:7).

ჩვენმა მეტოქეებმა ეს შეხვედრა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე წააგეს, ისინი მოედანზე შემკრთალ-შეშფოთებულები გამოვიდნენ. სანამ ქართველთა მძაფრ იერიშებისაგან მოსულიერდებოდნენ, ანგარიშმა

ჯ. აბაიშვილი,
ა. ხუციშვილი,
ი. ფხაკაძე,
ლ. კარტოზია,
თ. ანთაძე,
თ. ზარდალიშვილი,
ბ. კოპალეიშვილი,
ჯ. ცერცვაძე,
ჯ. ბაგრატიონი,
ა. ექსეულიძე,
ჯ. ზაქარიაძე.

ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე.

მათთვის კატასტროფული სისწრაფით იწყო ზრდა - 7:0,9:1, 12:3. როცა გაირკვა, რომ კიეველებთან ბრძოლა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, ვარჯიშზე დაშავებულ ცერცვაძეს საშუალება მიეცა ძალდაუტანებლად ეთამაშა. ამ მატჩში გამეორდა ბაქოს ისტორია. მეკარე აბაიშვილმა კვლავ გაიტანა ბურთი! მან შენიშნა, რომ მეკარე წინ იყო გამოსული და ელვისებურად ისროლა ბურთი. ეს ისე ოსტატურად შეასრულა, რომ მაყურებლებმა ჩვენი ჯემალი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

ვიწრო მოედანზე, როგორც წესი, ფლანგების მოთამაშეებს სამოქმედო არე თითქმის არა აქვთ. მაგრამ გარემარბებმა ფხაკაძემ და კარტოზიამ არაფრად ჩააგდეს ეს ხელშემშლელი პირობები და სწორედ ფლანგებიდან მიაყენეს კიეველთა მეკარეს არაერთი უსიამოვნება.

თბილისელთა გუნდი ასე გამოიყურებოდა: აბაიშვილი (სულხანიშვილი), ცერცვაძე (ბაგრატიონი), ანთაძე, მაჭავარიანი (კოპალეიშვილი), ექსეულიძე, კარტოზია, ფხაკაძე. ბურთები გაიტანეს ფხაკაძემ -7, ექსეულიძემ - 5, ანთაძემ და კარტოზიამ - 4-4, ცერცვაძემ- 3, ბაგრატიონმა და მაჭავარიანმა - 2-2, აბაიშვილმა - 1.

მეორე ტურში თბილისელები შეხვდნენ ტაშკენტელ თანაკლუბელებს. ეს გუნდი სატურნირო ცხრილში ერთ-ერთი აუტსაიდერია და ახლა იგი „ა“ კლასში დარჩენისათვის იბრძვის. თბილისელებმა გაიმარჯვეს 20:17 (9:9). 15 ბურთი გაიტანა ცერცვაძემ.

შემდეგ ტურში კაუნასის „ატლეტასთან“ შეხვედრას თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებისათვის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ორივე გუნდმა დაცვის ერთნაირი ვარიანტი აირჩია.

თამაში თბილისელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო და მალე შედეგიც გამოიღო. ჯერ ბაგრატიონმა, შემდეგ კარტოზიამ და კვლავ ბაგრატიონმა ანგარიში 3:0 გახადეს. 23-ე წუთზე ბურთების სხვაობა საკმაოდ გაიზარდა - 14:8, ბოლო წუთებზე კი კაუნასელებმა ორი ბურთი გაქვითეს - 14:10.

შესვენების შემდეგ თამაშმა უაღრესად დაძაბული და ნერვული ხასიათი მიიღო. ზოგჯერ თბილისელთა საზიანოდ მსაჯი ნ.სუსლოვი ცოდავდა კიდეც. თამაშის დამთავრებას სამი წუთი აკლდა და ჩვენები იგებდნენ (24:23), მსაჯმა მოედნიდან ორი წუთით გააძევა ცერცვაძე, ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ კაუნასელებმა ანგარიში გაათანაბრეს -24: 24 (ეს მაშინ, როცა შუა ტაიმში ანგარიში შვიდი ბურთით მიგვყავდა - 22:15).

სსრკ ნაკრები. მარცხნიდან პირველი ჯემალ აბაიშვილი, მეხუთე - გარი მაჭავარიანი, მეექვსე - ლერი კარტოზია;
დგანან: ანზორ ექსეულიძე, ბორის კოპალეიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ?, ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე.

არ მოგწონთ? რვა ქართველი ნაკრებში.

იმედო ფხაკაძეს ალბათ სურდო ჰქონდა, თორემ ისიც ფოტოზე აღმოჩნდებოდა.



დარჩა წამები. აბაიშვილმა მკვდარი ბურთი აიღო. ფრე? თბილისელები თავგამოდებით უტევენ. რჩება ერთი წამი და კაუნასელთა კარში ინიშნება თავისუფალი დარტყმა. დრო ამოიწურა, კაუნასელები დაიბნენ. მათ კედლის აღმართვა ვერ მოასწრეს. გაისმა სასტვენის ხმა და ცერცვაძეს გამარჯვების გოლი გააქვს - 25:24.

ასე დამთავრდა ეს უაღრესად მწვავე შეხვედრა, მაგრამ თამაშის შემდეგ კაუნასელებმა იგი გააპროტესტეს, მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: მსაჯთა კოლეგიამ პროტესტი ისე დააკმაყოფილა, რომ განხილვაზე თბილისელთა მწვრთნელი გ.შარაშიძე არ მოუწვევია. „ბურევესტნიკის“ მიერ 25-ე გატანილი გოლი გააუქმეს და დაადგინეს ფრე - 24:24. თბილისელებმა პროტესტი შეიტანეს ამ აშკარა ტენდენციური გადაწყვეტილების გამო.

ჩვენი გუნდის შემდეგი მეტოქე ბელორუსელი თანაკლუბელები იყვნენ. შეხვედრა ჩვენთვის საკმაოდ დრამატულად დაიწყო. პირველ წუთებში მინსკელებმა ოთხი ბურთის გატანა შეძლეს და დაწინაურდნენ - 4:1, შემდეგში თბილისელთა ურთიერთმოქმედებაში მეტი სიზუსტე შეიმჩნეოდა და თამაშიც ერთგვარად გათანაბრდა. ყოველივე ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სასტარტო შვიდეულში არ იყვნენ ანთაძე და ექსეულიძე. და აი, როცა ისინი მოედანზე გამოჩნდნენ, თბილისელთა ორკესტრი კარგად ახმოვანდა და ტაიმი მათ თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს - 10:9.

შესვენების შემდეგ ჩვენების უპირატესობა უფრო ნათლად გამოიხატა და მატჩიც დიდი სხვაობით იქნა მოგებული - 26:16. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯ.ბაგრატიონის თამაშმა. თუ წინათ იგი აშკარად გამოხატულ დაცვის ტიპის მოთამაშედ გვევლინებოდა, განვლილ შეხვედრებში მან შემტევი ბომბარდირის

ამპლუაშიც გამოიჩინა თავი. მეტოქეთათვის კვლავ საშიშ ძალას წარმოადგენდნენ ჩვენი გუნდის ფლანგები - ფხაკაძე და კარტოზია.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებს თავისი ბოლოსწინა მატჩი ჩემპიონატის აუტსაიდერთან - ვილნიუსის „ჟელბეტონისთან“ ჰქონდათ. ჩვენებმა ეს შეხვედრა ძალების ერთგვარი დაზოგვით ჩაატარეს, რადგან მომდევნო დღეს მთავარ მეტოქესთან, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ ელოდათ.

თბილისელების მყარი მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა ვილნიუსელებთან მოგებამ - 27:20 (17:10).

„ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, თბილისში ოქროს მედლები უნდა ჩავიტანოთ“ -დაჯერებით იმეორებდნენ „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები და მათი მწვრთნელი. ერთი სიტყვით, ყველა საბრძოლოდ იყო განწყობილი გამარჯვებისადმი. ეს დაუცხრომელი სწრაფვა ყველაზე მკაფიოდ მატჩის მსვლელობაში გამოიკვეთა.

შეხვედრა თავიდანვე თბილისელთა თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყო, რომლებმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ანგარიშში - 5:1. ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ სპორტსმენთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მედგრად გადაიტანეს პირველი შოკი და ბურთების სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს - 4:5. მაგრამ ეს იყო და ეს... მეტის საშუალება უკრაინელებს არ მისცეს მართლაც და ბრწყინვალედ მოთამაშე თბილისელებმა.

„ბურევესტნიკის“ ყველა ხელბურთელი ბრწყინვალედ მოქმედებდა და მეტოქის კარში ბურთები ისე ცვიოდა, როგორც დაბერტყილი კაკალი. ზაპოროჟიელთა მთავარი ბომბარდირი რეზნიკოვი საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი ანთაძეს, რომელიც ამავე დროს ჩვეული ოსტატობით ხელმძღვანელობდა გუნდს. შეუდარებელი იყო ცერცვაძე,- იგი თანაბარი სიძლიერით თამაშობდა თავდასხმაშიც და დაცვაშიც. თავგამოდებული და დაუდეგარი თამაშით ბაგრატიონმა, ექსეულიძემ, ფხაკაძემ და კარტოზიამ საბოლოოდ მოშალეს ზაპოროჟიელთა გუნდი.

პირველი ტაიმის ბოლოს ცერცვაძემ და ანთაძემ იშვიათი სილამაზის სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიში გაზარდეს.

პირველი ნახევარი დამთავრდა 12:7!

შესვენების შემდეგ ფერდის დაზიანების მიუხედავად ანთაძე კვლავ ოსტატურად უძღვებოდა გუნდის თამაშს. მეკარე აბაიშვილმა რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო. მათ შორის ერთი შვიდმეტრიანი საჯარიმო ტყორცნიდან.

ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, ბორის კოპალეიშვილი, იმედო ფხაკაძე, გარი მაჭავარიანი, ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე.

ანგარიში კვლავ თბილისელთა სასარგებლოდ იზრდებოდა. ბოლო წუთებში ზაპოროჟიელებმა ხელი ჩაიქნიეს... თბილისელთა იერიშები ფინალურ სასტვენამდე არ შენელებულა და აი, მატჩი ამოიწურა, ტაბლოზე გამოისახა „25“ და „17“, თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვების მაუწყებელი ციფრები.

არის ოქროს მედლები!

იმედო ფხაკაძე და იური კლიმოვი სსრკ. ნაკრების წევრებთან ერთად

ამ გადამწყვეტ შეხვედრაში ბურთები გაიტანეს ცერცვაძემ - 8, ფხაკაძემ - 5, ანთაძემ, კარტოზიამ, ექსეულიძემ -3-3, ზაქარიაძემ - 2, ბაგრატიონმა - 1. ჯ.ცერცვაძე, ისევე როგორც პირველ, მეორე ჩემპიონატებში, ახლაც პირველი ბომბარდირი გახდა. ამჯერად მისი სნაიპერული ანგარიში 93 ბურთზე ავიდა. დანარჩენი გოლები ასე განაწილდა- ფხაკაძე -39, კარტოზია -30, ბაგრატიონი -23, ექსეულიძე -21, ანთაძე-20, ზაქარიაძე -11, კოპალეიშვილი -10, მაჭავარიანი - 4, ზარდალიშვილი და აბაიშვილი - 2-2.

განვლილ ჩემპიონატში თბილისელებმა თერთმეტი შეხვედრა ჩაატარეს. აქედან ყველაზე მეტ ხანს მოედანზე დაჰყო ანთაძემ - 614 წუთი. ცერცვაძემ ითამაშა 592 წუთი, აბაიშვილმა - 569, ექსეულიძემ - 544, ფხაკაძემ - 540, კარტოზიამ - 485, ბაგრატიონმა - 483, კოპალეიშვილმა - 255, მაჭავარიანმა - 195, ზარდალიშვილმა - 140, ხუციშვილმა - 90, ზაქარიაძემ - 83.

თბილისელებმა მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებს მოსკოვში ვერც სიცივემ და ვერც ძლიერმა მეტოქეებმა შეუშალეს ხელი ოქროს მედლების მოპოვებაში. მაგრამ თბილისში ჩამოსვლა კი გაუჭირდათ „ოქროს ბიჭებს“. ცუდი ამინდი ტრასაზე ორ დღეს არ იძლეოდა ფრენის საშუალებას. მხოლოდ მესამე დღეს შეძლეს ბურევესტნიკელებმა მშობლიური ქალაქის მიწაზე ფეხის დადგმა.

უამრავი გულშემატკივარი დახვდა გამარჯვებულებს აეროპორტში. იმავე საღამოს ჩემპიონები ესტუმრნენ ტელევიზიას, სადაც მაყურებლებს გაუზიარეს თავიანთი სიხარული და შთაბეჭდილებები.

„ოქროს ბიჭები“

სამი წლის მანძილზე გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე უმაღლესი საფეხურის ორჯერ დაპყრობა იოლი საქმე როდი გახლდათ. ჩემპიონთა გარდამავალ თასზე ორჯერ რომ ამოტვიფრო თბილისის მისამართი, უთუოდ გამარჯვებისადმი ლტოლვის დაუოკებელი ჟინით აღსავსე, უბადლო ოსტატობის მქონე კოლექტივი უნდა ყოფილიყო. აი, ასეთი მონოლითური გახლდათ თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელმაც მთელი ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო და ისევე, როგორც 1962 წელს კაუნასში, უძლიერესის სახელი მოიხვეჭა.

კიდევ ერთხელ გაგახსენებთ, როგორ ვითარებაში მოიპოვეს პირველი ადგილი თბილისელებმა კაუნასში. მაშინ ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ბოლო შეხვედრას ადგილობრივ „ატლეტასთან“. ოქროს მედლების მოპოვებისათვის ჩვენებს ფრეც ჰყოფნიდათ და ეს ფრეც მიღწეულ იქნა. ახლაც „ოქროს მატჩში“ (ამჯერად ზაპოროჟიელებთან) ჩვენს თანამემამულეებს პირველობისათვის კვლავ ფრე აძლევდა ხელს, მაგრამ მათ პროგრამა-მინიმუმის შესრულებას მაქსიმუმი ამჯობინეს და ძლიერი მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს.

ჯემალ ცერცვაძეს ევროპის მრავალი ქალაქის მოედნებზე იცნობდნენ როგორც იშვიათი ოსტატობის მქონე თავდამსხმელს და საუკეთესო ბომბარდირს.

შორიდან მოულოდნელი და „ვერაგი“ ტყორცნით მას ხშირად ჩაუყენებია მეტოქეთა მეკარეები უნუგეშო მდგომარეობაში. როცა ჯემალი პენალტს ასრულებდა, მეკარეს ისღა რჩებოდა, რომ რაიმე სასწაულზე დაემყარებინა იმედი. სასწაული კი, მოგეხსენებათ, იშვიათად ხდება... ზაპოროჟიელებთან მატჩში ცერცვაძემ, ამ შემტევი ტიპის უბადლო მოთამაშემ, დაცვაშიც გამოიჩინა თავი. იგი შესანიშნავად უბამდა მხარს თანაგუნდელებს საკუთარი კარის მისადგომებზეც და საერთო გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

თამაზ ანთაძე ქართული ხელბურთის პიონერი და მოქმედი ვეტერანიც გახლდათ. მას მრავალი მოვალეობა ეკისრა: საკუთარი კარის მისადგომების დაცვა, პირველი შეტევის წამოწყება, მეტოქის მეურვეობა, ბურთის გათამაშება, ამა თუ იმ თანაგუნდელის მომზადება გადამწყვეტი ტყორცნისათვის და ბურთის გატანა. ერთი სიტყვით, იგი თბილისელთა ანსამბლის შესანიშნავი დირიჟორი გახლდათ.

-მარტო სრულყოფილი ტექნიკა და ტაქტიკა როდი წყვეტს თამაშის ბედს. წარმატების მთავარ ფაქტორთაგან უმთავრესი მაინც მეგობრობა, ერთსულოვნება და მხარდაჭერაა - ხშირად ამბობდა „ბურევესტნიკის“ კაპიტანი.

ზაპოროჟიელებთან მატჩში ცერცვაძემ და ანთაძემ უსწრაფესად გაითამაშეს სამსვლიანი კომბინაცია, რომელიც მეტოქის კარის აღებით დაგვირგვინდა და აღტაცებულნი, მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს. ორიოდე წუთის შემდეგ მათ ახალი შეტევა წამოიწყეს.

ჯემალ აბაიშვილი ყოველთვის გაფაციცებით ადევნებდა თვალს თამაშს, შეიძლება ბურთი მისკენ დაბრუნებულიყო, ან მეტოქეს მოულოდნელად შორიდან ეტყორცნა ბურთი. იგი ყოველთვის მზად იყო ჩვეული ოსტაროზით დაეცვა კარი.

ანზორ ექსეულიძე ვისაც მოედანზე უნახავს, აღტაცებული იყო მისი ოსტატობით, დახვეწილი ტექნიკით და მახვილგონიერებით.

ჯანო ბაგრატიონი სპორტული კარიერის დასაწყისში არც თუ ხშირად ტყორცნიდა კარში, - აშკარად გამოხატული დაცვის მოთამაშე იყო, მაგრამ იმ წელს ჩემპიონატის მატჩებში მან ბურთის გატანის ოსტატის

1964 წ. თბილისის აეროპორტი. სსრკ. ჩემპიონების პირველი ფოტო.
ლერი კარტოზია, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, ბორის კოპალეიშვილი, გიორგი შარაშიძე, ჯემალ ზაქარიაძე,
იმედო ფხაკაძე, გარი მაჭავარიანი, თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ჯანო ბაგრატიონი.

სახელიც დაიმკვიდრა. ჯანო მუდამ კარგ გუნებაზე იყო ხოლმე, მძიმე ვითარებაშიც კი არ კარგავდა წარმატების იმედს, მთელი სულითა და გულით იბრძოდა. ასეთი იყო იგი მოედანზე. ასეთი იყო ცხოვრებაშიც. ცეკვა-თამაშისა და სიმღერის პირველი წამომწყები.

როდესაც **იმედო ფხაკაძეზე** ლაპარაკობ, მაშინვე **ლერი კარტოზია** გაგონდება და პირიქით. ეს ორი ხელბურთელი ჩვენი გუნდის ფრთები იყვნენ, ისეთი ფრთები, რომელთაც მსოფლიოს რომელიც გნებავთ მაღალი კლასის გუნდი ინატრებდა თავის გარემარბად.

ურთულეს პირობებში ბურთის გატანა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. იმედო და ლერი კი ამას საუკეთესოდ, დახვეწილად, ლამაზად და თავდაუზოგავად აკეთებდნენ.

იმედო ფხაკაძე მოსკოველმა მაყურებელმა „გარინჩად" მონათლა. ეს ისე, ისტორიისათვის.

1964 წ. მოსკოვი. სსრკ ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკი".

ჯემალ ზაქარიაძე, ლერი კარტოზია, ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე. დგანან: თამაზ ანთაძე, ჯემალ ცერცვაძე, გარი მაჭავარიანი, გიორგი შარაშიძე, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ჯანო ბაგრატიონი.

თბილისის „ბურევესტნიკი“.

ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ზაქარიაძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე, ბორის კოპალეიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი;
დგანან: ჯანო ბაგრატიონი, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, თამაზ ანთაძე, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია.

ალექსანდრე ხუციშვილი, იმედო ფხაკაძე, თამაზ ჩხარტიშვილი.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ როგორც სსრკ ჩემპიონმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, მიაღწია მეოთხედფინალს, სადაც მისი მეტოქე ზაგრების „მედვეშჩაკი“ იყო, პირველი შეხვედრა ჩვენებმა სტუმრად დათმეს 13:21 და ცოტა ხანში თბილისში განმეორებითი შეხვედრისათვის ემზადებოდნენ. სტუმართა გუნდის უფროს მწვრთნელ შტენცლს როდესაც შეეკითხნენ, ელოდა თუ არა ასეთ შედეგს, უპასუხა: „არა და არა! ეს იყო ფრიად მოულოდნელი შედეგი. ჩვენ ასეთი წარმატების იმედი არა გვქონდა. თბილისელთა შესახებ ბევრი კარგი გვსმენია და რაც მთავარია, მათ კატოვიცეს აზხ-ს დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო განგვიმტკიცეს აზრი, რომ საქმე ძლიერ გუნდთან გვექნება, მაგრამ მოხდა რასაც არ ველოდით, თბილისელებმა სუსტად ჩაატარეს შეხვედრა.

„ბურევესტნიკი“ ძალზე ძლიერი იყო შეტევაში. მოთამაშეთაგან საუკეთესო იყო ფხაკაძე. კარგი იყო, აგრეთვე, მეორე ფლანგი - კარტოზია. ამჯერად ცერცვაძემ ვერ აჩვენა თავისი თამაში, მე მას ვიცნობ პრაჰის მსოფლიო ჩემპიონატიდან. საშუალოდ ითამაშა ჩემმა მეორე ნაცნობმაც - მეკარე აბაიშვილმა. იგი პრაჰაში შეუდარებელი იყო. განვლილ შეხვედრებში თქვენი გუნდის დაცვა მოიკოჭლებდა.

„მედვეშჩაკისთვის“ ნახევარფინალისაკენ გზის გადაკეტვა მხოლოდ სასწაულს შეუძლია“.

არადა, სასწაულამდე სულ ცოტა დაგვაკლდა, ამაზე ქვემოთ.

გამარჯვებული გამოავლინა წილისყრამ

1965 წლის 13 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში მღელვარებით აღსავსე 60 წუთი განაცდევინა მაყურებელს თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაგრების „მედვეშჩაკის“ მეოთხედფინალურმა შეხვედრამ.

მოედანზე მასპინძელთა სასტარტო შვიდეული ჩვეული შემადგენლობით გამოვიდა: აბაიშვილი, ცერცვაძე,

ანთაძე, კლიმოვი, ექსეულიძე, ფხაკაძე, კარტოზია. სტუმართა შორის იყვნენ: გუკოვიჩი, ჟაგმესტარი, ივიჩელიჩი, ბლანკი, მილკოვიჩი და ურემოვიჩი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენმა მეტოქეებმა პირველ შეხვედრაში მოიგეს 21:13. ასე რომ, განმეორებითი შეხვედრის პირველსავე წუთზე, თუ ასე შეიძლება ითქვას, იუგოსლავიელები წინ იყვნენ 8 ბურთით. დაიწყო თუ არა მატჩი, რვა ბურთიანმა ფორამ ნელ-ნელა და მეთოდურად ზრდა იწყო. „მედვეშჩაკმა" მე-12 წუთზე ანგარიში აიყვანა 3:0-მდე. დარჩენილ 48 წუთში თბილისელებს უკვე 11 ბურთი ჰქონდათ გასაქვითი. სტუმართა მწვრთნელის თქმისა არ იყოს, „მედვეშჩაკისთვის" ნახევარფინალისკენ გზის გადაკეტვა მხოლოდ სასწაულს შეეძლო. სასწაულს კი პირველი ტაიმის მთელ მანძილზე პირი არ უჩანდა. იგი დამთავრდა ფრედ - 7:7. პირველი 30 წუთი აღინიშნა შედარებით თანაბარი ბრძოლით, მაგრამ თბილისელი ხელბურთელები შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში ზედმეტად ჩქარობდნენ, ნაკლებად აქტიურობდნენ ფლანგები, გაუბედავად უტევდნენ კარს კლიმოვი და ცერცვაძე.

მეორე ნახევარში თბილისელებმა „იპოვეს თავისი თავი" და ხელბურთელთა „სექსტეტი" მისთვის ჩვეული სიზუსტით აჟღერდა. მეთოდურად დაიწყო ანგარიშმა ზრდა ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ 9:7, 11:8, 12:10, 17:10... და აი, როცა შეხვედრის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, ტაბლოზე მოინიშნა ციფრი 19:10! ეს უკვე მოგება იყო. გადამწყვეტი გამარჯვება იყო მაშინაც, როცა ანგარიში იყო 20:12. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში შეფარდებითი კოეფიციენტი თბილისელთა მხარეს იხრებოდა. დარჩა ნახევარი წუთი - 21:12. აქ უკვე სხვაობამ 9 ბურთს მიაღწია და არ იყო საჭირო არავითარი კოეფიციენტი, საბოლოო გამარჯვება თითქმის მოპოვებული იყო, მაგრამ კლიმოვმა, რომელმაც მეორე ტაიმი საუცხოოდ ჩაატარა (კრიტიკულ ვითარებაში ზედიზედ ოთხი ბურთი გაიტანა), გაუმართლებლად დაარტყა მეტოქის კარისკენ. დარჩენილ წამებში ჩვენი გუნდის კარში დაინიშნა შვიდმეტრიანი საჯარიმო, 21:13! განმეორდა პირველი მატჩის ისტორია, მხოლოდ იმ სახით, რომ ამჯერად თბილისელებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ეს იყო გამარჯვება მოედანზე და მხოლოდ და მხოლოდ მოედანზე. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დებულების თანახმად, როცა ასეთი შემთხვევაა, ყველაფერს წყვეტს წილისყრა. ვის მხარეზე იყო ფორტუნა, უნდა გადაწყვეტილიყო წილისყრით, და ეს „მეხუთე ტაიმი" გაიმართა სპორტის სასახლის გასახდელში. კაპიტნებს - აბაიშვილსა და მილკოვიჩს დიდხანს არ უყურებიათ იატაკზე დაგდებული თითბრის შაურიანისთვის. აბაიშვილის სახე მწუხარებას გამოხატავდა, მილკოვიჩისა კი დაუოკებელ სიხარულს. ფორტუნა სტუმრების მხარეს გადაიხარა.

რას იზამ, ასეც ხდება, ამჯერად თბილისელთა შესანიშნავი შვიდეული უიღბლობამ დასაჯა.

პრესაში ადრე გამოქვეყნდა, რომ მატჩის საერთო ჯამში ფრედ დამთავრებისას, გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნებოდა დამატებითი შეხვედრა. ასეთი სიტყვიერი ინფორმაცია გააჩნდა ჩვენ გუნდს და ფედერაციას.

მაგრამ ბოლო მომენტში გამოირკვა, რომ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული დებულებით გამარჯვებული უნდა გამოევლინა კენჭისყრას.

დასასრულ, ამ მართლაც დრამატული და დაუვიწყარი შეხვედრის ბილეთს სათუთად ვინახავდი და საერთოდ, რასაც კარგად ვინახავ, ვერასოდეს ვპოულობ.

„მედვეშჩაკის" და კლიმოვის გვარი კი სამუდამოდ დარჩა ჩემ მეხსიერებაში.

ორი მოგონება წიგნიდან - „ჯემალ ცერცვაძე“

ჯემალ ცერცვაძის მსგავს ხელბურთელს აღარ შევხვედრივარ

რა თქმა უნდა, ჯემალ ცერცვაძე ჩვენს შორის გამორჩეული იყო. ახალგაზრდებს, ვისაც არ უნახავს ჯემალის თამაში, რამდენჯერმე უკითხავთ ჩემთვის: მართლა ასეთი მაგარი იყო ცერცვაძეო?

კი, მართლა ძალიან მაგარი იყო! და მარტო თავისი დროის კი არა, მიმაჩნია, რომ მსოფლიო ხელბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია.

ჩემი სკოლელები დადიოდნენ ხელბურთზე. მათგან ვიცნობდი საქართველოსთვის ამ ახალ თამაშს და მომწონდა კიდეც, მაგრამ მე მოჭიდავე ვიყავი და სახეობის გამოცვლას არ ვაპირებდი. თუმცა, 1959 წელს ასეთი რამ მოხდა: ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს დარბაზში, სადაც მოჭიდავეებიც ვვარჯიშობდით, ვიხილე ხელბურთის მატჩი და პირველად ჯემალ ცერცვაძის თამაში!

ეგ იყო და ეგ. ცერცვაძემ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ, ხელბურთელობა მომინდა და დაუყოვნებლივ გავხდი კიდეც!

პირველად ჯემალის მხარდამხარ 1961 წელს ვითამაშე. მაისში, სპორტის სასახლეში ორი მატჩი იყო უნგრეთის ნაკრებთან. მანდ არ მითამაშია, მაგრამ შემოდგომაზე, ხელბურთის სამშობლოს, დანიის ნაკრების წინააღმდეგ უკვე გუნდში ვიყავი. 1962 წელს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები გავხდით.

გასული საუკუნის 60-იან წლებში სახელბურთო მატჩებისას სპორტის სასახლეში ქომაგები სპეციალურად ჯემალის თამაშის სანახავად დადიოდნენ. მეტოქეებმა არ იცოდნენ, როგორ შეეჩერებინათ ქართველი ვირტუოზის შეტევები, მეკარეებს კი მისი ელვისებურად ნატყორცნი ბურთების აღება უჭირდათ. განუმეორებელია მის მიერ შესრულებული შვიდმეტრიანები, ხოლო მისი ხელუკუღმა დარტყმა სრულიად უნიკალური იყო და სხვისი შესრულებით არ მინახავს .

ჯემალს პირადად მოუგია არაერთი თამაში, მაგრამ, ელვარე ინდივიდუალიზმთან ერთად, ის გუნდური მოთამაშე და ძალიან კარგი პარტნიორიც გახლდათ. ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე და მე ზედ მოედანზე, ექსპრომტად ვიგონებდით ხოლმე ორ, სამსვლიან კომბინაციებს.

ცერცვაძემ 1971 წლამდე ითამაშა თბილისის „ბურევესტნიკში“ და გუნდისთვის არაფერი დაუშურებია, თუმცა, მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში მას მეტისთვის უნდა მიეღწია. მიუხედავად იმისა, რომ ცერცვაძე სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა, მის შესაძლებლობებს ნაკრების მწვრთნელები სრულად არ იყენებდნენ.

მერე და მერე, როდესაც ჯემალ ცერცვაძემ კარიერა დაასრულა, რამდენჯერმე შევსწრებივარ, როგორი დიდი პატივით ხვდებოდნენ მას უცხოელები.

შორს რომ არ წავიდეთ, 2017 წელს თბილისში, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსულმა ჰასან მუსტაფამ, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ჩამოსვლისთანავე ჯემალ ცერცვაძე ახსენა და მასთან შეხვედრა ითხოვა. ისინი ძველი მეგობრები არიან - ჯემალის დროს ჰასანი ეგვიპტის ნაკრებში თამაშობდა. აქაური მსოფლიო ჩემპიონატის დაჯილდოების ცერემონიალიც ერთად ჩაატარეს. დოქტორი მუსტაფა თან ახალგაზრდა მოთამაშეებს აცნობდა თავის მეგობარს - თქვენ იცით, ეს კაცი ვინაა, ვინც მედალი ჩამოგკიდათო?

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა - ცერცვაძის მსგავსი თავდამსხმელი ხელბურთში დღემდე არ მინახავს...

იმედო ფხაკაძე

იმედო ფხაკაძე, ჯემალ ცერცვაძე.

ორიოდ სიტყვა იმედო ფხაკაძეზე

არ შემიძლია იმედო ფხაკაძის ლამაზი მოგონების შემდეგ, მასზეც არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა, მითუმეტეს, ეს გამოჩენილი ხელბურთელი ისეთი სპორტული ხასიათის პიროვნებაა, რომელიც ყოველთვის გამარჯვებისაკენ ისწრაფვის და მსურს მის ფაქიზ გულს ცოტათი მოვეალერსო.

იმედო ფხაკაძე ხელბურთელ ვაჟთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავისი დროის საუკეთესო გარემარბი გახლავთ. წლების განმავლობაში იგი თბილისის „ბურევესტნიკისა“ და სსრკ ნაკრებში თამაშობდა, ჯ. ცერცვაძის მსგავსად სსრკ ორგზის ჩემპიონი, სამგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორია. მსოფლიო ორი ჩემპიონატის მონაწილე და მსოფლიო სტუდენტური თამაშების ჩემპიონი.

ხელბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ იყო თბილისის „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი. მისი აღზრდილია ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი. წვრთნიდა იორდანიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე- პრეზიდენტი.

იმედომ სპორტული კარიერა ჭიდაობით დაიწყო. 17 წლამდე არაერთ ტურნირში ისახელა თავი. დიდ ხელბურთს მეგობრების რჩევით ეზიარა და მაშინვე იპოვა თავისი ადგილი. 1960 წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში თანატოლთა შორის სსრკ ჩემპიონი გახდა. „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ იგი გუნდში მიიწვია.

ი. ფხაკაძე იხსენებს: „ხელბურთი მაშინ ახალი ხილი იყო, სსრკ პირველი ჩემპიონატი 1962 წელს გაიმართა - საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებამდე თბილისში სპორტის სასახლე გაიხსნა. მის თაღებქვეშ პირველი სპორტული შეჯიბრება საქართველო - უნგრეთის ხელბურთელთა მატჩი იყო 1961 წლის 19 მაისს, რომელიც ჩვენებმა 17:15 მოიგეს, მეორე დღეს კი იმავე მეტოქეს 14:13 სძლიეს. თითოეულ ამ პაექრობას 10 ათასი მაყურებელი დაესწრო.

1962 წლის სსრკ პირველ ჩემპიონატში ოთხი მოგებითა და სამი ფრეთი პირველ ადგილზე ვიყავით. ბოლო მატჩში კაუნასის „სპორტჰალეში“ მასპინძელთა გუნდს, რომელიც მოგების შემთხვევაში თავად ხდებოდა ჩემპიონი, დავუზავდით -17:17 და ოქროს მედლები მოვიპოვეთ. მომდევნო წელს მესამეზე გავედით, 1964 წელს კი მეორედ გავხდით ჩემპიონები. ბოლო ტურის წინ აქაც წაუგებლები ვიყავით (9 მოგება, 1 ფრე), მაგრამ ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ ერთი ქულით ჩამოგვრჩებოდა. ბოლო ტურში კონკურენტს 25:17 ვაჯობეთ.

გიორგი შარაშიძეს მართლაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა: ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე, იმედო ფხაკაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ილია შელეგია, არტურ რატიანიძე, ალექსანდრე ხუციშვილი. 1967 წელს ი. ფხაკაძემ ჯემალ ცერცვაძესთან ერთად მსოფლიო პირველობაზე იასპარეზა. 1968 წელს ალექსანდრე ხუციშვილთან ერთად მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატი მოიგო. 1972 წელს იმედო კარგ სპორტულ ფორმაში იყო, მაგრამ სსრკ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე არ წაიყვანა. განაწყენებულს ხელბურთიდან წასვლა უნდოდა, თუმცა „ბურევესტნიკის“ ახალი მწვრთნელის ჯანო ბაგრატიონის ხათრით კიდევ ორი სეზონი ითამაშა.

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ იმედო ფხაკაძე თბილისის „ბურევესტნიკს“ ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ხელბურთელებმა 1975 წლის სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავეს. ამ წლებში გამოჩნდა ა. ანპილოგოვი, რომლის დაოსტატებაში, როგორც უკვე აღინიშნა, ფხაკაძეს დიდი წვლილი მიუძღვის. ანპილოგოვი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იმედო ფხაკაძის აზრით „ბურევესტნიკისა“ და სსრკ ნაკრების ლიდერი ახალი ტიპის მოთამაშე იყო. სწორედ მისი გამოჩენის შემდეგ დაიწყეს ხელბურთში ორ მეტრზე მაღალი მოთამაშეების დაწინაურება.

ი. ფხაკაძე „ბურევესტნიკიდან“ წამოსვლის შემდეგაც ხელბურთში დარჩა. ფაქტობრივად მთელი ცხოვრება აქ არის. ჯერ სახელმწიფო მწვრთნელი იყო. 1976 წელს რამდენიმე თვით იორდანიაში მიავლინეს. ამ ქვეყნის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით არაბულ თამაშებში მესამე ადგილი დაიკავა, შემდეგ ორი წელი მალიში იყო. ერთხანს სპორტის სამინისტროში ეკონომისტად, შემდეგ სასპორტო სკოლის დირექტორად იმუშავა. 2008 წელს ცოტა ხნით საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და იმ პერიოდში ჩელენჯ ტროფი მოიგო, შემდეგ კი საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. მოკლედ, იმედო ფხაკაძე მთელი ცხოვრება ხელბურთშია, რადგან უმისოდ არ შეუძლია.

მკითხველს მსურს შევთავაზო იმედო ფხაკაძის ფოტო, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გამოქვეყნდა იმდროინდელ პოპულარულ რუსულ ჟურნალში „სპორტივნიე იგრი“. იმედო ფხაკაძე უტევს ფინეთის ნაკრების კარს მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეხვედრაში. ამ თამაშში, რომელიც მაშინდელ ლენინგრადში გაიმართა, იმედომ მეტოქეს გაუტანა ხუთი ბურთი. ფოტოს ისეთი შთამბეჭდავი წარწერა ახლავს, რომ არ ჩავთვალე საჭიროდ მეთარგმნა.

„Тбилисский студент Имедо Пхакадзе – лучший в советском гандболе правый крайний нападающий. Незаурядная смелость, огневой темперамент, завидная координация движений при выполнений сложнейших бросков отличает этого мастера нападения. „Конек“ Пхакадзе неожиданные и вместе с тем безошибочные броски в падении, а также с отклонением корпуса“.

დემიკო ლოლაძე

იმედო ფხაკაძე

დაიბადა 1942 წლის 20 ნოემბერს, თბილისში.
თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა“ (1961-73 წ.წ.)
და სსრკ ნაკრებში (1963-71 წ.წ.)
სსრკ ჩემპიონი - 1962 წ. - 1964 წ.
სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი - 1965 წ, 1966 წ., 1967 წ.
სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი - 1963 წ.
მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე -1967 წ, 1970 წ.
მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ჩემპიონი - 1968 წ.
თბილისის „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი - 1974 წ. 1977 წ.
იორდანიის ნაკრების მწვრთნელი - 1976 წ.
მალის ნაკრების მწვრთნელი - 1980 წ. - 1982 წ.
საქართველოს ნაკრების მწვრთნელი - 2008 წ.
სსრკ სპორტის ოსტატი.
სპორტის საპატიო ოსტატი.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
სპორტის რაინდი.
ღირსების ორდენის კავალერი.
საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი 1982 წ. - 1986 წ.
საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორი 1986 წ. - 2001 წ.
საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი 2012 წ. - 2021წ.
გარდაიცვალა 2021 წლის 21 ივლისს, თბილისში.

1962 წ.
სსრკ ჩემპიონი

1964 წ.
სსრკ ჩემპიონი

1965 წ.
ვერცხლის მედლის
მფლობელი

1966 წ.
ვერცხლის მედლის
მფლობელი

1967 წ.
ვერცხლის მედლის
მფლობელი

1963 წ.
ბრინჯაოს მედლის
მფლობელი

სსრკ სპორტის ოსტატი



ღირსების ორდენი

მოგონებები იმედო ფხაკაძეზე *

რაინდი

იმედო ფხაკაძეს პირველ რიგში პატივს ვცემდი, როგორც გამოჩენილ ხელბურთელს. სპორტსმენებში ბევრი ღირსეული ადამიანია, მაგრამ ასეთი გამორჩეულად გამოკვეთილი, რაინდის ტიპის პიროვნება მე არ შემხვედრია.

დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, მათ შორის, ისეთი ხალხი იყო, რომლებსაც ბევრი სასიკეთო საქმე შეეძლოთ მისთვის გაეკეთებინათ, მაგრამ იგი არასოდეს ამით არ სარგებლობდა. ყოველთვის საქმეზე აწუხებდა ნაცნობ-მეგობრებს. არ იყო პრეტენზიული.

იმედო გახლდათ უაღრესად ერუდირებული, სულიერად და გარეგნულად ლამაზი, თავმდაბალი, კეთილშობილი. სადაც კი ვხვდებოდით, მუდამ მოღიმარი შემოდიოდა, არასოდეს ყოფილა უფროს-უმცროსობა. სამინისტროს აქტიურად ედგა მხარში. ასეთი პიროვნება იშვიათად შემხვედრია.

ხელბურთში ხომ ასახელა ქვეყანა.

იმედო ფხაკაძე ღირსეული პიროვნება იყო, ასეთად დარჩება ჩემს მეხსიერებაში ეს რაინდი კაცი.

რევაზ აიწურაძე

რევაზ აიწურაძე,
კობა სუჯაშვილი,
?,
მურთაზ მნათობიშვილი,
იმედო ფხაკაძე.

* დალაგებულია ანბანის მიხედვით

სასიამოვნო პიროვნება

ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ხელბურთით. ვთამაშობდი კიდეც...

მყავდა კერპები: ცერცვაძე, ექსეულიძე, ფხაკაძე...

სულმოუთქმელად ველოდებოდი ამ ლეგენდარული თაობის დანახვას, მათ გაელვებას სპორტის სასახლეში.

როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამ ადამიანებს პირადად გავიცნობდი. მეტიც, მრავალი დასამახსოვრებელი შეხვედრა მექნებოდა მათთან.

ძალზე სასიამოვნო პიროვნება იყო იმედო ფხაკაძე. უაღრესად ტაქტიანი, ყურადღებიანი, კეთილგანწყობილი ადამიანების მიმართ. საკუთარი პრინციპების მქონე პიროვნება ბრძანდებოდა.

ბოლოს. შორიდან მოვკარი თვალი საავადმყოფოში, მძიმე მდგომარეობაში მყოფს...

გული ჩამწყდა...

ჩემს მეხსიერებაში იმედო ფხაკაძე აღიბეჭდა როგორც შეუპოვარი, მოხდენილი, უსწრაფესი, მრავალი სიხარულის, გამარჯვების მომტანი დიდი სპორტსმენი და შესანიშნავი პიროვნება!

ვალერი ასათიანი

იმედო ფხაკაძის სახელის ხსენებისას, ნებისმიერი, ვინც მას ურთიერთობით იცნობდა, მყისიერად აღივსება იმ სითბო-სიყვარულის მადლით, რომელსაც იგი მუდამ ასხივებდა. ერთია ლეგენდა იყო სპორტულ სარბიელზე და სხვაა შენი ადამიანური ღირსებებით მეტად თუ არა, არანაკლებ ხიბლავდე საზოგადოებას. ამ ბუნებრივი თვისებებით იმედო იყო ფიზიკური და სულიერი ჰარმონიის განსახიერება. მისნაირი სრულყოფილი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ყველას ბედნიერებას გვრიდა მასთან შეხვედრა, გვაცხოვრებდა მონატრებით და ასე დარჩა ამქვეყნიდან მარადისობაში, მართალთა საუფლოში გადასვლის შემდეგაც.

ერთგვარად გულდასაწყვეტიც იყო და გულჯასახარიც იმედოს სპორტული სარბიელიდან ცხოვრების სარბიელზე გარდაუვალი გადანაცვლება. მისი თამაშით აღფრთოვანება საზოგადოებრივ სარბიელზე ადამიანური ღირსებებით გაბრწყინებამ შეცვალა.

ძვირად ლაპარაკობდა თავის თავზე, თუმცა თანაგუნდელების და მეგობრების სპორტულ და პიროვნულ ღირსებებს გადამდები ემოციებით იგონებდა ყოველთვის. ჯემალ ცერცვაძეს უდავოდ მსოფლიო ხელბურთის ვარსკვლავად მიიჩნევდა. სიამოვნებით იგონებდა მასთან ერთად მონაწილეობას 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებში, რომელსაც გიორგი შარაშიძე თავკაცობდა.

როცა ხელბურთი 1972 წელს ჩართეს პირველად ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, იმედო, საბჭოთა ნაკრების რეალურ კანდიდატად მოიაზრებოდა, თუმცა შინ დატოვა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ. ერთხელ, ჟურნალისტებთან აღიარა, რომ განაწყენებულმა გადაწყვიტა თამაშის დასრულება, მაგრამ მშობლიურ გუნდში ორი წლით კვლავ დარჩა მეგობარი მწვრთნელის, ჯანო ბაგრატიონის თხოვნით.

მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, იცხოვრა ხელბურთში, შემდეგ ხელბურთით. და .. .დავძენდი, - ყველგან საამაყო წარმატებით!

ოქროს ასოებით შევიდა ქართული სპორტის ისტორიაში იმედო ფხაკაძის ღვაწლი და სახელი.

თენგიზ გაჩეჩილაძე

იმედო ფხაკაძე გამორჩეული პიროვნება იყო. დიდი სპორტსმენი, კაცური კაცი, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ადამიანებს ეხმარებოდა. მან და მისმა სახელოვანმა თანაგუნდელებმა სამოციან წლებში ქვეყანა რამდენჯერმე ასახელეს.

ერთი სასეირო ამბავი მსურს გავიხსენო, რომელიც მე გადამხდა. 1981 წლის ზაფხულში უცხო ენების ინსტიტუტს შრომითი სემესტრი ალახაძეში ჰქონდა. რადგან იქ თითქმის ყველა ჩემი მეგობარი ხელბურთელები იყვნენ - ჯემალ ცერცვაძე, იმედო ფხაკაძე, ჯემალ ნიკურაძე, ბიძინა ჯღარკავა, ჯინო გოგლიძე, მოგელი ლევერაშვილი, გაგი ტაბატაძე, მეც მათთან ერთად ვიყავი. ერთ დღეს ბიჭებმა მოინდომეს ფეხბურთის (სამი სამზე) თამაში ნიძლავზე, წაგებულებს სუფრა უნდა გაეშალათ. ორად გავიყავით და ჯემალის გუნდმა იმარჯვა, მე კი მათი მეკარე გახლდით. ცოტა ხანში ვიღაცას აზრი გაუჩნდა, ახლა ღვინოზე ვითამაშოთო, თუ ცერცვაძის გუნდი წააგებს, ბუსკას ობჩაში კარგი კრახუნა აქვს და ის ჩამოიტანოსო, მე წინააღმდეგობა არ გამიწევია. თურმე ბიჭებს მოულაპარაკიათ, რომ ჩემ გუნდს უნდა წაეგო, რათა წავსულიყავი ობჩაში. როგორი საქმეა 220 კილომეტრი გაიარო, რომ ღვინო წამოიღო. მანქანით ვიყავი, ერთ-ერთს ვთხოვე გამომყოლოდა მაინც, მარტო საჭესთან ცოდო ვიყავი. საუბრისას გავიგე, რომ ორივე მხარეს მოულაპარაკიათ, რომ ჩვენს გუნდს უნდა წაეგო. ამ ამბის გაგების შემდეგ ობჩამჩირეში გავჩერდით, იქ მეგულებოდა მამაჩემის გამოგზავნილი 5 ტონა შაქარ-წყალი. საღამოთი გვარიანად შევუბერეთ და მეორე დღეს ჩამოვედი ამ „ღვინით“. დიდებული სუფრა გაიშალა, ბიჭები ძალიან კმაყოფილები იყვნენ, სულ ჩემი ჩამოტანილი ღვინის ქებადიდება ისმოდა.

რამდენიმე დღეში კიდევ მოუნდათ ნიძლავზე თამაში, იმედომ მკითხა, თუ წააგო შენმა გუნდმა, კიდევ ჩამოიტანო ამ სუპერღვინოსო. რასაკვირველია, ვუპასუხე და მოვუყევი ყველაფერი. თუ რა რეაქცია ჰქონდათ ბიჭებს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.

ბუსკა გეწაძე

ამბობენ, ლიმონათი უყვარდა

ბიძაჩემი ჯინო გოგლიძე და იმედო მეზობლობის გარდა კარგი მეგობრები იყვნენ, ერთად თამაშობდნენ ხელბურთს, შემდგომ, როდესაც იმედო „ბურევესტნიკში“ გამოდიოდა, ჯინო მუდამ მაყურებელთა შორის იმყოფებოდა. ერთ-ერთი შეხვედრის წინა დღეს, ჯინომ უთხრა იმედოს, რამდენ ბურთსაც გაიტან, იმდენ ბოთლ ლიმონათს გიყიდიო. მოხდა ისე, რომ მეორე დღეს, შეხვედრისას იმედომ ბევრი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, ერთ მომენტში ჯინო წამომხტარა და დაუყვირია: ღუტია, გაჩერდი, აღარ გაიტანო, ამდენი თანხა არ გამაჩნიაო.

ასე შეხმატკბილებულად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ჩვენს უბანში.

დავით გოგლიძე

სულით მებრძოლი

ნუგზარ ფოფხაძე, იმედო ფხაკაძე, დათო დანელია.

იმედო ჩემზე უფროსი იყო 6 წლით, სოფელ ღანირში ზაფხულობით ვხვდებოდით ერთმანეთს, ჩვენს მეზობლად მისი მამიდა ცხოვრობდა. ყოველდღე ვბანაობდით, ხან ცხენისწყალზე, ხან წისქვილზე, სადაც დიდი აუზი იყო, საღამოს ფეხბურთს ვთამაშობდით, ჭიდაობაში ყველას ერეოდა, ხელბურთის თამაში რომ დაიწყო არც ვიცოდი. ერთმა ნაცნობმა გოგონამ მითხრა, ხვალ სპორტის სასახლეში იმედო თამაშობს საკავშირო ჩემპიონატში, 1961 წლის ოქტომბერი იყო თუ არ ვცდები, შეხვედრა ძალიან მომეწონა, გარეთ დავხვდი და ვთხოვე ხელბურთზე მივეყვანე ვინმესთან. მეორე დღეს გამაცნო ჯუანშერ აფშილავა, ჩემი პირველი ხელბურთის მწვრთნელი, რომელიც ამავე დროს საკავშირო კატეგორიის მსაჯიც გახლდათ და ასე დაიწყო ჩემი ხელბურთში მოღვაწეობა იმედო ფხაკაძის (ღუტიას, ასე ეძახდნენ სოფელში) დახმარებით!

ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან ფეხბურთს ვთამაშობდით, ხან ჩოგბურთს, საერთოდ ყველა სპორტული თამაში ეხერხებოდა და უყვარდა პაექრობა ერთიერთზე, ჭადრაკი, შაში, კარტი და ასე შემდეგ, დიდი პაექრობა ჰქონდა ფარჩო ანთაძესთან, მაგარი მებრძოლი იყო, არ უყვარდა მარცხი არც ერთ სახეობაში!

დათო დანელია

ჩემპიონი, რომელიც ხელბურთით ცოცხლობდა

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული სპორტის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი ხელბურთელების სასახელო საქმეები. სპორტის ეს ახალი სახეობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ თვით კალათბურთსა და ფეხბურთსაც სერიოზულ კონკურენციას უწევდა. ამიტომ იყო, რომ თბილისის სპორტის სასახლის გახსნის პატივი სწორედ ქართველ ხელბურთელებს ერგოთ - 1961 წელს საქართველოს ნაკრები უნგრელებს დაუპირისპირდა და დაამარცხა კიდეც. მაშინ ყოფილ საბჭოეთში ერთ-ერთ წამყვან კლუბად მიიჩნეოდა თბილისის „ბურევესტნიკი", რომელმაც 1962 და 1964 წლების საკავშირო ჩემპიონატები მოიგო. იმ ოქროს გუნდის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ ქართული ხელბურთის ლეგენდა იმედო ფხაკაძე - თბილისის „ბურევესტნიკისა" (1962-1974) და საკავშირო ნაკრების (1963-1971) წევრი. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (1962, 1964), სამგზის ვერცხლისა (1965-1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963) მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე (1967, 1970); მსოფლიოს სტუდენტური თამაშების გამარჯვებულმა (1968) სსრკ ნაკრებში 68 მატჩი ჩაატარა და 193 გოლი მიითვალა. იმედო ფხაკაძე და ლერი კარტოზია იყვნენ ის ხელბურთელები, რომლებმაც გარემარბობის ფუნქცია შეცვალეს და მრისხანე ბომბარდირებად იქცნენ.



სსრკ ნაკრები შეკრებაზე. მარცხნიდან პირველი ჯემალ ცერცვაძე, მეშვიდე - იმედო ფხაკაძე, მერვე - თამაზ ანთაძე, მეთორმეტე - ჯემალ აბაიშვილი.

ზაალ სულაკაურის შარჟი

აქტიურ ხელბურთთან განშორების შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საბჭოთა კავშირის ხალხთა 1975 წლის სპარტაკიადასა და 1977 წლის საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილები დაიკავა. ავარჯიშებდა იორდანიის, მალისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს. მისი მწვრთნელობისას ჩვენმა ნაკრებმა 2008 წელს ევროპის ხელბურთის ფედერაციის გამოწვევის თასი (ჩელენჯ ტროფი) მოიგო. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 2012 წლიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

- სასპორტო კარიერა ჭიდაობით დავიწყე, - მითხრა ერთხელ სახელოვანმა ხელბურთელმა. - თავისუფალი სტილით ჭაბუკთა ტურნირებზე არაერთ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ მეგობრებმა მალე პროფილი შემაცვლევინეს: თბილისის მეათე საშუალო სკოლაში ჩემთან ერთად საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრების წევრები სწავლობდნენ. სწორედ მათ გადამიბირეს. 1960 წელს ჩვენმა გუნდმა თანატოლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა მიმიწვია. მას შემდეგ ჭიდაობაზე აღარც მიფიქრია.

- „ბურევესტნიკის“ მაისურა პირველად როდის მოირგეთ?

- სამოციან წლებში ხელბურთი ჩვენთან ახალი ხილი იყო - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი პირველად 1962 წელს გაიმართა, მანამდე გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლე ხელბურთელთა მატჩით - 1961 წლის 19 მაისს საქართველოს ნაკრები უნგრეთის გუნდს შეხვდა და 17:15 დაამარცხა, მეორე დღეს იმავე მეტოქეს 14:13 სძლია. ორივე მატჩისას სპორტის სასახლის 10.000-იანი ტრიბუნები პირთამდე სავსე იყო. იმ შეხვედრებში მე არ ვმონაწილეობდი, მაგრამ ნოემბერში, როდესაც ორჯერ დავამარცხეთ დანიის ნაკრები (ორჯერვე 20:13), უკვე „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში ვიყავი.

- სპორტსმენისთვის ყველა წარმატება მნიშვნელოვანია, მაგრამ პირველ ჩემპიონობას, ალბათ, მაინც არაფერი შეედრება...

- გეთანხმებით. 1962 წლისთვის თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდში სპორტის ამ სახეობის ნამდვილმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი. გიორგი შარაშიძის ხელმძღვანელობით ოქროს გუნდის ღირსებას ჩემთან ერთად ჯემალ აბაიშვილი, თამაზ ანთაძე, ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ცერცვაძე, ჯანო

ბაგრატიონი, ლერი კარტოზია, გარი მაჭავარიანი, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ილია შელეგია, არტურ რატიანიძე, ალექსანდრე ხუციშვილი და სხვა ცნობილი სპორტსმენები იცავდნენ.

1962 წელს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი წაუგებლად ჩავამთავრეთ - ოთხი მოგება და სამი ფრე გვქონდა, თუმცა ოქროს მედლების ბედი მხოლოდ ბოლო მატჩის შემდეგ გაირკვა. კაუნასის „სპორტჰალეში“ მას-პინძელთა გუნდთან წაგების შემთხვევაში ლიეტუველები თავად ხდებოდნენ ჩემპიონები, ჩვენ კი გასამარჯვებლად ფრეც ხელს გვაძლევდა. 17:17 ვითამაშეთ. ეს იყო უდიდესი სიხარული. მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატში მსაჯებმა გასაქანი არ მოგვცეს და მესამე ადგილს დავჯერდით, 1964 წელს კი მეორედ გავხდით ჩემპიონები. ბოლო ტურის წინ აქაც წაუგებლად (9 მოგება და 1 ფრე) მივიწევდით მიზნისკენ. ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ ქულით ჩამოგვრჩებოდა და ბოლო მატჩიც მათთან გვქონდა. აქ კი ჩვენი შეჩერება არავის შეეძლო - 25:17 მოვიგეთ ის შეხვედრა.

საკავშირო პირველობების გარდა, ამ წლებში უძლიერეს გუნდებს დავუპირისპირდით. თბილისის სპორტის სასახლეში ორიდან ერთი მატჩი მოვუგეთ მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ რუმინეთს (15:14, 13:15), ხოლო შვედებთან ერთი გამარჯვება მოვიპოვეთ და ერთ შეხვედრაში დავზავდით (27:24, 13:13).

- თქვენ მსოფლიოს ორ ჩემპიონატშიც იასპარეზეთ...

- 1964 და 1967 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე გიორგი შარაშიძე საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი იყო. 1964 წელს დისკვალიფიკაცია მქონდა და საკავშირო ნაკრებში ცერცვაძე, აბაიშვილი და ექსეულიძე მოხვდნენ, 67-ში მე და ჯემალმა ვითამაშეთ,

ცერცვაძე ჩვენ შორის გამორჩეული იყო. იგი მარტო თავისი დროის კი არა, მსოფლიო ხელბურთის ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავად მიმაჩნია. კარიერის დასრულების შემდეგაც დიდი პატივით ხვდებოდნენ მას უცხოელები. 2017 წელს თბილისში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსულმა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჰასან მუსტაფამ პირველივე დღეს ჯემალ ცერცვაძესთან შეხვედრა ითხოვა. დაჯილდოების ცერემონიალისას საპატიო სტუმარს ქართველი ხელბურთელი გვერდიდან არ მოუშორებია.

მსოფლიოს ჩემპიონატზე 1970 წელსაც ვიყავი. ორი წლით ადრე კი მეკარე ალექსანდრე ხუციშვილთან ერთად მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატი მოვიგე. სწორედ იმ პერიოდში ხელბურთი მიუნჰენის ოლიმპიადის (1972) პროგრამაში პირველად შეიტანეს. 30 წლისა კარგ ფორმას ვინარჩუნებდი. მაშინ საკავშირო

ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს ანატოლი ევტუშენკო. მან ოლიმპიურ ნაკრებში არ მიმიწვია, არადა, ვიმსახურებდი. გულდაწყვეტილმა აქტიური ხელბურთიდან წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ „ქარიშხალას“ ახალ მწვრთნელად ჩემი მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი ჯანო ბაგრატიონი დანიშნეს. მისი ხათრით კიდევ ორი სეზონი ვითამაშე...

იმედო ფხაკაძემ 1972 წელს თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 13 წლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. 1974-1978 წელს მშობლიურ კლუბს ედგა სათავეში როგორც მთავარი მწვრთნელი. სწორედ მან გაუკაფა დიდ ხელბურთში გზა მომავალ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვს. ფხაკაძის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იგი საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა წინასაოლიმპიადო ტურნირებისთვის გუნდში აიყვანეს. ამ შეჯიბრებისთვის ანპილოგოვს ლესელიძეში ფხაკაძე ავარჯიშებდა. ამ ამბის შემსწრე ოლიმპიურ და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონ გივი კარტოზიას უთქვამს: იმედო, შენ ამ ბიჭს ან მოკლავ, ან დიდ სპორტსმენად აქცევო. ანპილოგოვმაც უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებებში მწვრთნელის იმედები გაამართლა.

ვეტერანმა ხელბურთელმა სხვადასხვა წლებში საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სასპორტო სკოლის დირექტორად იმუშავა.

- აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც ჩემს საყვარელ სფეროს ვემსახურები და ხელბურთით ვცოცხლობ, - ამბობს ბატონი იმედო. - უმუალო მონაწილე ვარ ყველა იმ მოვლენისა, რომლებიც ქართულ ხელბურთში ამ ბოლო ათ წელიწადში მოხდა. აქცენტი გამიზნულად ავიღეთ ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის განვითარებაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხელბურთით დაინტერესდა გაცილებით მეტი მოზარდი, გაიზარდა სახელბურთო გეოგრაფია. ამჟამად ასაკობრიც ჩემპიონატში ჭაბუკთა და გოგონათა 50-ზე მეტი გუნდი მონაწილეობს ქვეყნის ყველა რეგიონიდან.

ჩამოვაყალიბეთ ეროვნული ჩემპიონატის მწყობრი სისტემა. ქალთა და ვაჟთა უმაღლეს ლიგაში სისტემატურად რვა-რვა გუნდი მონაწილეობს. ეროვნული ნაკრებების რამდენიმე წევრი უცხოურ ძლიერ გუნდებში გამოდის და ისინი თავიანთი კლუბების წამყვან მოთამაშეებად იქცნენ. ძალები მოვსინჯეთ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა და სხვადასხვა ასაკის პირველობებში. იგრძნობა მნიშვნელოვანი წინსვლა. დასტურად IHF-ის ერთა თასის მოგებაც კმარა. უცხოეთში ჩვენი ფედერაციის ავტორიტეტი გაიზარდა. ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა გვყავს, რომელსაც არც ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება არ გამოუტოვებია. სათანადო ეკონომიკური და მორალური თანადგომის შემთხვევაში ეს წინსვლა ორ-სამ წელიწადში ჩვენი ეროვნული ნაკრებების შედეგებზე დადებითად აისახება...

დიდი მაესტრო და ჩემპიონი, რომელიც მთელი ცხოვრება ხელბურთით ცოცხლობდა, 2021 წლის 21 ივლისს 78 წლისა გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

ჩემი არაბიოლოგიური ძმა

1965 წელს ბაკურიანში ვისვენებდით, ოთახში გოგი ჭიჭინაძე შემოვიდა და შემოიყვანა ცისფერთვალება ბიჭი, რომელსაც ხელზე გადაკიდებული ჰქონდა ცისფერი სათხილამურო ქურთუკი.

ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ასპირანტურაში რომ ჩავაბარე, ხშირად მნახულობდა, ჯგუფის წევრებთან კარგი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, ექსკურსიებზეც დაგვყვებოდა ეს სიკეთის მკეთებელი ადამიანი.

მოსკოვში ყოფნისას სასტუმროში შევხვდით და საჩუქრებით გამავსო. საერთოდ, სადაც არ უნდა წასულიყო, ხელცარიელი არ ჩამოდიოდა. ერთხელ ჩემს შვილს, მის ნათლულს ბუცები ჩამოუტანა, რაც იმ წლებში ჩვენში იშვიათობას წარმოადგენდა. საერთოდ, ბავშვების მიმართ გულგრილი არ იყო, თავისი შვილივით უყვარდა გიორგი, ბაკული ხომ მან გამაცნო, საბოლოოდ ოჯახიც შევქმენით, ჩვენი მეჯვარე იყო.

ლედი წულაძე, ბაკულ ჯიბლაძე, მაია დოქსოპულო, გია მელაძე, იმედო ფხაკაძე.

ღუტია და ბაკული ფეხბურთზე სულ ერთად დადიოდნენ, მათ ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ღუტიამ გამაცნო თედო ჯაფარიძე, მთხოვა, შენ ჯგუფში გადაიყვანეო, შემდგომ ხშირად დადიოდნენ ჩემთან.

იმედოს დედაჩემთან მინადორა ჩიჩუასთან განსაკუთრებული ერთიერთობა ჰქონდა. ხშირად ნარდში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, მე კი თავის დად მთვლიდა. ხელბურთზე მისი ხათრით დავდიოდი, რადგან სიგიჟემდე მიყვარდა კალათბურთი და ფეხბურთი. ჩვენი სპორტული ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, უყვარდა ბრაზილიური ფეხბურთი. თაყვანს სცემდა „რეალს“, ნადალი მისი კერპი გახლდათ.

ერთხელ ქართლოს სვანიძე და იმედო ჭადრაკის თამაშისას ერთმანეთს დაეტაკნენ, მათი „ჩხუბი“ გვიან ღამემდე გაგრძელდა.

იმედოს დედა მის მიმართ განსაკუთრებულად იყო განწყობილი. ხშირად ყოფილა, როდესაც დედამის დაურეკავს და უკითხავს, შვილო, სადილს ვაკეთებ და რა გენატრება რომ გაგიკეთოო.

ერთი ძველი ისტორია მსურს გავიხსენო: იმედო მალიში მიიწვიეს გუნდის მთავარ მწვრთნელად. ეს ერთის მხრივ სასიხარულო ამბავი იყო, მეორეს მხრივ კი ძალიან გვიჭირდა ხანგრძლივი დროით მასთან განშორება. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ მხიარული წვეულება მოგვეწყო. გავშალეთ დიდი სუფრა გაურემონტებელ ბინაში. თამადობა თამაზ ანთაძემ იკისრა და ისეთი იუმორით გაივსო იქაურობა, მოლოდინსაც კი გადააჭარბა. რა არ გააკეთეს სუფრის წევრებმა, რომ იმედოს მათი ნიჭიერი გამოვლინება მალიშიც თვალწინ გაცოცხლებოდა. სპექტაკლებიდან ფრაგმენტებიც დადგეს, მაშინ „კავკასიური ცარცის წრის“ ტყვეობაში ვიყავით და ისეთი ვარიანტი წარმოადგინეს „ფარჩომ“ და მიშა დაფქვიაშვილმა, დღემდე არ გვავიწყდება. ანეკდოტებსაც მსახიობებივით ყვებოდნენ ვახო ცხადაძე, კიჭა არველაძე, მიშა დაფქვიაშვილი, „ფარჩო“. სიცილით დავიღალეთ, მოკლედ, სიყვარული უხვად იფრქვეოდა.

იმედოს ყოველთვის ახსოვდა დედაჩემის სიკეთე, იგი პერიოდულად ფოსტით სიგარეტებს უგზავნიდა. მან მონატრებული ადამიანისათვის ურთიერთობის ეს ფორმა აირჩია და ჩვენ არც კი ვაკადრეთ გვეთქვა, რომ სიგარეტები მალიშიც იყიდებოდა, „იმ გადაკარგულში“, როგორც თვითონ ამბობდა, აქაური გაეხარდებაო.

ზემოთ ვახსენე კალათბურთისადმი ჩემი სიყვარული. ხელბურთიც ხიბლავდა ქართველებს. სპორტის ამ ორი სახეობის მოთამაშეები დაობდნენ, ვინ მეტ მაყურებელს იზიდავდა. ჩემთან იმედო ფხაკაძე და თამაზ ჩიხლაძე ისე კამათობდნენ ხოლმე, რომელი სახეობა უფრო პოპულარული იყო, იძულებული ვიყავი მეთხოვა, შეეჩერებინათ ეს გაუთავებელი დავა. რადგან ასეთ წამყვან სპორტსმენებთან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა, ბილეთებით უზრუნველყოფილი ვიყავი.

ზოგს თავიდანვე მოეწონა ხელბურთი, ბევრი თავის ახლობელი მოთამაშის ხათრით დადიოდა. ხელბურთმა ბევრი მაყურებელი მიიზიდა, სპორტის სასახლე კი კვლავ ოვაციით, სტვენით, ყვირილით ივსებოდა. ყოველ მოთამაშეს გარკვეული სიახლე შეჰქონდა თამაშში. ასე შეიქმნა ძალიან ლამაზი „ქართული ხელბურთი“.

როდესაც იმედო უკვე სერიოზულად ავად იყო, დავურეკე, ნებართვა ვთხოვე მისვლაზე, მითხრა შენ აქ არ მოხვალო, მივხვდი, მას უნდოდა ისეთი დაგვმახსოვრებოდა, როგორიც იყო. ვერც პანაშვიდზე და ვერც დაკრძალვაზე მივედი, ვერ წარმომედგინა ჩემი საყვარელი პიროვნება გარდაცვლილი მენახა.

იმედო ფხაკაძეს ისეთი სიახლოვე აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან, რომ დედაჩემი მას არაბიოლოგიურ შვილს ეძახდა.

მაია დოქსოპულო

მაია დოქსოპულო, იმედო ფხაკაძე.



იმედო ფხაკაძე,
ბაადურ წულაძე.

„...იმედო ფხაკაძეს დაბადებიდან 25 უსრულდებოდა და გადავწყვიტეთ ეს დღე მისთვის განსაკუთრებულად მიგვეღოცა. ჩამოვაყალიბეთ „საიუბილეო კომისია“ და შევუდექით მუშაობას. საღამოს წაყვანა თამაზ გამყრელიძეს ვთხოვეთ, რითაც ხაზი გავუსვით მოვლენის მნიშვნელობას; ფინანსური საკითხი „Немецкий счет“-ით გადავწყვიტეთ. თამაზ ანთაძეს, „ფარჩოს“ მომხსენებლის ფუნქცია დაეკისრა; ტელეგრამების ტექსტების შედგენა კი ნინა და მარინა ქარცივაძეებს, „ფარჩოსთან“ თანამშრომლობით ყველაზე რთული ტელეგრამების „გაკეთება“ აღმოჩნდა. ტექსტები მოზრდილი ასოებით დაიბეჭდა და ბლანკებზე დავაწებეთ ფრთხილად. ფოტოგრაფირება, რასაკვირველია, ია მდივანს ვანდეთ. სუფრას საერთო ძალისხმევით მოვუვლიდით - გადასაწყვეტი დარჩა მთავარი პრობლემა, როგორ მოგვეყვანა იუბილარი (მას არაფერი უნდა სცოდნოდა) დათქმულ დროზე, ოფიციალურ ჩაცმულობაში. რადგან საიუბილეო საღამო ჩემს სახლში უნდა ჩატარებულიყო, მე ვუთხარი, რომ ორი ამერიკელი სტუმარი მეყოლებოდა და მინდოდა 2-3 ჩემი მეგობარიც მოსულიყო. ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო და კარგი წითელი ღვინო ჩემზე იყოსო, მითხრა.

დადგა ეს დღეც. მოვამზადეთ ყველაფერი, გავაწყვეთ ლამაზი სუფრა.

7 საათზე პირველი ბატონი კოტე ლომინაძე მობრძანდა. ათიოდე დღით ადრე, საიუბილეო საღამოში მონაწილეობაზე შეთავაზება სიხარულით მიიღო. ბავშვურად გაიხარა ჩვენი გეგმით.

7-დან 8-ის ნახევრამდე ყველა მონაწილე გამოცხადდა. იამ ფოტოაპარატი მზადყოფნაში მოიყვანა და აბსოლუტურ სიჩუმეში ზარის მოლოდინში დავსხედით.

...როგორც იქნა ზარის ხმა გაისმა, კარი გავაღე. ყველა გამოცვივდა და ოვაციით შევხვდით მთავარ მონაწილეს, რომელიც საოცრად დაიბნა, გაწითლდა. გაუგებრობაში მოხვედრილმა, „რა ხდებაო“ - გვკითხა.

თამაზ გამყრელიძემ წამყვანის ადგილი დაიკავა, იმედოს სავარძლისკენ მიუთითა და გახსნა საღამო. იუბილარი თანდათან შეეგუა სიტუაციას და დაიწყო ოფიციალური ნაწილი. „ფარჩო“ (თითქმის იუბილარივით გამოწყობილი, მკაცრად ევროპულ სტილში), ხანგრძლივი შრომის შედეგად დაწერილი მოხსენებით ჩვენ გამხიარულებას შეუდგა. ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისი თხრობა, განსაკუთრებით პირველი ნაწილი, ნახალოვკა თავისი ტიპაჟებით, გარემო, სადაც იმედო იზრდებოდა, თავგადასავლები სკოლაში და მის გარეთ. „ფარჩომ“ ისეთი იუმორით მოგვაწოდა ეს ყველაფერი, სიცილით დავიღალეთ. შემდეგ ჭიდაობიდან ხელბურთამდე განვლილი გზა, საზღვარგარეთ მათი პირველი და შემდეგ უკვე მრავალი გასვლა. ძალიან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა და იმედოც კი გააოცა ფაქტების ასეთი ცოდნით. ადრესის ფორმით, მშვენიერ ყდაში ჩასმული ეს მასალა იუბილარს გადასცა და ჩვენ ამოსუნთქვის საშუალება მოგვცა. თამაზ გამყრელიძემ ოფიციალური ნაწილი დახურულად გამოაცხადა. თან დაურთო: „ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ იუბილეზე წამყვანის მისია დამეკისრებოდა ოდესმე“.

კოტე ლომინაძე სულ „ბრავოს“ იძახდა. მას არც სხვები ჩამორჩნენ. ტელეგრამების წაკითხვა სუფრასთან გვქონდა ჩაფიქრებული, არა მიყოლებით, თანდათან იუბილარი აღფრთოვანებას ვერ მალავდა „ტელეგრამების გამომგზავნებთან“ დაკავშირებით, იმას კი ნამდვილად მიხვდა, რომ გამომგზავნი ძირითადად „ფარჩო“ იყო. ყველა ტექსტი მის მიერ და თვითონ იმედოს მიერ ჩვენთვის მოყოლილი ამბების საფუძველზე შეიქმნა. ტექსტებს კი ნინა და მარინა ქარცივაძეები კითხულობდნენ, ისე, როგორც ეს ნამდვილ საიუბილეო საღამოებზე მოესმინათ. ეს მშვენიერი მოხსენებაც და ტელეგრამებიც ჩემთან ინახება და ხანდახან ვათვალიერებთ ხოლმე, როცა საღამოს გახსენების სურვილი გვიჩნდება.“

მაია დოქსოპულოს წიგნიდან „მენატრება თბილისი“ 2014 წ.

იმედო ფხაკაძე - ქართული ხელბურთის გარინჩა

იორდანიისა და მალის ნაკრებების ქართველი მწვრთნელი

ქართული ხელბურთი სავალალო მდგომარეობაში ამჟამად იმყოფება, თორემ, თავის დროზე, სპორტის ეს სახეობა ჩვენში ძალიან პოპულარული იყო და მას ბევრი ახალგაზრდაც მისდევდა. საქართველოში ხელბურთის ტრადიციაზე ისიც მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული, თბილისის „ბურევესტნიკი“ გახლდათ, რომელსაც წლების მანძილზე მოწინავე პოზიცია ეკავა და საპრიზო სამეულის ქვემოთ არ ჩამოსულა. ნაკრებში ქართველები თითქმის ყოველთვის თამაშობდნენ. ჩვენი ხელბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმედო ფხაკაძე, რომელიც წლების განმავლობაში „ბურევესტნიკისა“ და საბჭოთა კავშირის პირველი გუნდის ღირსებას იცავდა, ხოლო ცნობილმა ხორვატმა ხელბურთელმა, ჟაგმე სტარმა ის მსოფლიო ნაკრებშიც დაასახელა, მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე.

თავისუფალი სტილის ჭიდაობიდან _ ხელბურთამდე

- საქართველოში ხელბურთი 1957 წელს, უკრაინელმა კაცმა, გვარად კუდრიავცევმა შემოიტანა. თავიდან მას თერთმეტი-თერთმეტზე ან შვიდი-შვიდზე თამაშობდნენ, ხოლო 1960 წლიდან მოყოლებული, გუნდებს მოედანზე მხოლოდ შვიდი სპორტსმენის გამოყვანის საშუალება მიეცათ. იმ პერიოდში, თავისუფალ ჭიდაობას მივდევდი და საკმაოდ პერსპექტიულ ათლეტადაც ვითვლებოდი. ნაძალადევში არსებული მე-10 საშუალო სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი, ხელბურთში ქალაქის ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებდა და როგორც სპორტსმენს, დახმარება მთხოვეს. სპორტის ამ სახეობამ დამაინტერესა, ჭიდაობა მივატოვე და ხელბურთში ვარჯიში დავიწყე. 1961 წელს, მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ჩატარდა, რომელზეც ბომბარდირი გავხდი. მალე გიორგი შარაშიძემ საქართველოს უძლიერეს გუნდში - „ბურევესტნიკში“ ამიყვანა. 1961-ში თბილისში სპორტის სასახლე გაიხსნა და პირველი ღონისძიება, რომელიც იქ ჩატარდა, ხელბურთის მატჩი იყო. საქართველოს ნაკრებმა უნგრეთის ნაკრებს ვუმასპინძლეთ და დავამარცხეთ. ამის შემდეგ დანიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს მოვუგეთ. აქვე გეტყვით, რომ სპორტის სასახლემ საქართველოში ხელბურთის პოპულარიზაციას ხელი დიდად შეუწყო და თუ პირველ მატჩს 3000 გულშემატკივარი დაესწრო, მომდევნო შეხვედრებში თამაში უკვე სავსე ტრიბუნების წინ გვიწევდა.

პირველი ჩემპიონები

- 1962 წელს, პირველად ჩატარდა ხელბურთში საბჭოთა კავშირის პირველობა, რომლის ფინალური ეტაპიც კაუნასში შედგა. ჩვენთვის საპრიზო სამეულში მოხვედრა წარმატებად ჩაითვლებოდა, მაგრამ ტურნირი ისე წარიმართა, რომ ყველა შეხვედრა მოვიგეთ და ბოლო მატჩის წინ, კაუნასის „ატლეტასთან“ ოქროს მედლების მოპოვების შანსი გაგვიჩნდა: თუ მასპინძლებთან თამაშს ფრედ დავამთავრებდი ან მოვიგებდით, მაშინ ჩემპიონები გავხდებოდით, წაგების შემთხვევაში, კი, მესამე ადგილზე გავიდოდით. „სპორტჰალე“, სადაც ეს მატჩი შედგა, ადგილობრივი გულშემატკივრით გადაჭედილი იყო, მაგრამ ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად, თამაში ფრედ 17:17 დამთავრდა და საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები გავხდით. ჩემდა სასიხარულოდ, ტურნირის დასრულებისას საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ამიყვანეს. შემდგომში, კაუნასში

ფინალური ეტაპის ჩატარება ყოველთვის მსიამოვნებდა, რადგან, ლიტველები რუსებს ვერ იტანდნენ და როცა „ატლეტას“ არ ვეთამაშებოდით, ისე გვქომაგობდნენ, თავი თბილისში მეგონა ხოლმე. 1964 წელს მოსკოვში გამართულ ქვეყნის პირველობის ფინალში კვლავ 8 გუნდმა ითამაშა და გადამწყვეტი შეხვედრა 8-ბურთიანი სხვაობით ზაპოროჟიეს „ზაზ“-ს მოვუგეთ. მაშინ ერთ-ერთი შეხვედრისას ტრიბუნიდან ვიღაცამ დამიძახა: გარინჩა! ამ ადამიანმა ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელს შემადარა, რომელიც ჩემსავით მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა... აქვე გეტყვით, რომ 1963 წელს საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლი გვერგო, ხოლო 1965, 1966 და 1967 წლებში - ბრინჯაო.

ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, ჯემალ აბაიშვილი, იმედო ფხაკაძე სსრკ ნაკრების წევრებთან ერთად.

ფოტოაპარატის გაყიდვისთვის ნაკრებიდან მოკვეთილი

- მოსკოვში, 1962 წლის მიწურულს, ოთხთა ტურნირი შედგა, რომელშიც რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრებები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში პირველი მატჩი ახალგაზრდულ გუნდში ვითამაშე, ბოლო კი პირველ ნაკრებში. ჩემ გარდა, გუნდში იმყოფებოდნენ: აბაიშვილი, ცერცვაძე და ექსეულიძე. ნაკრების მომწინდელი მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი ივახინის გამო, 1963 წლის სეზონში ოთხივე დაგვსაჯეს ერთი

წლით და 1964-ში მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაგვიყვანეს. საქმე ის გახლდათ, რომ ივახინს მხოლოდ უკრაინელების მიმართ ჰქონდა სიმპათია და იუგოსლავიაში „ტაშმაიდანის“ ტურნირის წაგების შემდეგ მან გადაწყვიტა, წარუმატებლობა ქართველებისთვის დაებრალებინა. კერძოდ, მე იმაში დამადანაშაულა, რომ ტურნირზე ნაკლებად ვფიქრობდი და ვაჭრობით ვიყავი დაკავებული. მაგალითად კი, ჩემ მიერ ფოტოაპარატის გაყიდვის ფაქტი დაასახელა. ეს ნამდვილად მოხდა, რადგან 21 წლის ბიჭი ვიყავი და საზღვარგარეთ მხოლოდ კვებისთვის მოცემული ფული, ცხადია, არ მეყოფოდა. თუმცა, იმის დაბრალება, რომ თამაშისთვის სათანადოდ არ ვემზადებოდი, აბსურდი იყო. ივახინმა ექსეულიძესა და ცერცვაძეს უდისციპლინობა დასწამა, ხოლო აბაიშვილზე თქვა: როგორც მეკარე, დაბალიაო. მართალია, ნაკრების მეორე მწვრთნელი, შარაშიძე იყო, მაგრამ მან ვერ გვიშველა... ერთი წლის შემდეგ, ივახინი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ჩვენ გუნდში დაგვაბრუნეს. საერთოდ, როდესაც საზღვარგარეთ მივდიოდით, მკაცრ

იმედო ფხაკაძე სსრკ ნაკრების წევრებთან ერთად

ინსტრუქტაჟს გვიტარებდნენ, თუ როგორ მოვქცეულიყავით საბჭოეთის ფარგლებს გარეთ. მახსოვს, ერთხელ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიმყოფებოდით და ნაკრების დელეგაციის ხელმძღვანელმა, რომელიც საავიაციო ინსტიტუტის კათედრის გამგე იყო, კინოში არ გაგვიშვა: მისი თქმით, მეორე დღეს, ადგილობრივ გაზეთებში დაიწერებოდა, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა პორნოფილმს უყურეს... მიუხედავად დიდი შეზღუდვისა, ჩუმად მაინც ვახერხებდით ინსტრუქციების დარღვევას. აბა, როგორ უნდა მომეთმინა ახალგაზრდა ბიჭს, რომ სტრიპტიზბარში არ შევსულიყავი?!. არადა, ეს ღიად რომ გამეცხადებინა, ალბათ, დამიჭერდნენ.

შარაშიძის მცდარი ტაქტიკა

- საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1967 წელს შვედეთში ვიასპარეზე. მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე იყო და ჩვენ ნახევარფინალში დანიელებთან წავაგეთ. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად გადაიცემოდა უცხოეთიდან ხელბურთელთა ნაკრების შეხვედრა და შარაშიძემ ძირითად შემადგენლობაში 4 ქართველის გამოყვანა ვერ გაბედა: შეეშინდა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართველების წინ წამოწევაში დასდებდნენ ბრალს. არადა, დანიას ჩვენზე სუსტი გუნდი ჰყავდა, რომელიც შვედეთში წასვლამდეც გვყავდა დამარცხებული და ჩემპიონატის დასრულების შემდეგაც მოვუგეთ ამხანაგური მატჩი. რაც შეეხება 1970 წლის მსოფლიო პირველობას, მაშინ ჯგუფიდანაც ვერ გავედით.

ევტუშენკოსა და აკბაშევის ინტრიგებს შეწირული

- ხელბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1972 წელს მიუნჰენში შეიტანეს. იმ პერიოდში ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანატოლი ევტუშენკო გახლდათ, რომელიც ხელბურთის ნიუანსებში ვერ ერკვეოდა, მაგრამ იმის ნიჭი კი ჰქონდა, რომ უცხოური ლიტერატურა შეეძინა და სპორტის ამ სახეობის შესახებ თეორიულად მომზადებულიყო. მას აგრეთვე კარგად ეხერხებოდა სპორტკომიტეტის ჩინოვნიკების „გაბრუება“. ოლიმპიურ გუნდში მარჯვენაფლანგელებად მე და უკრაინელი უსატი უნდა ვყოფილიყავით. მაგრამ ევტუშენკოს ნაკრების მეორე მწვრთნელობაზე აკბაშევი რომ დაეთანხმებინა, ამ უკანასკნელთან გარიგებაზე წავიდა და მიუნხენში ჩემ მაგივრად, აკბაშევის ფავორიტი შევჩენკო წაიყვანა, ოლიმპიადაზე საბჭოთა ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო ევტუშენკომ აკბაშევთან იჩხუბა და მარცხი შევჩენკოს დააბრალა.

სასიკეთოდ დასჯილი ანპილოგოვი

- გერმანიაში ჩატარებულ ოლიმპიადის წლისთავზე, ხელბურთის თამაშს თავი დავანებე და საქართველოს სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად დავიწყე მუშაობა. ამ დროს, ჯაბო ბაგრატიონი, რომელიც „ბურევესტნიკის“ თავკაცი იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზკულტურის კათედრის გამგედ გადაიყვანეს, ხოლო გუნდის წვრთნა მე შემომთავაზეს, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. მწვრთნელობა ადვილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბიჭები მომენდნენ და „ბურევესტნიკმა“ ჩემი ხუთწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ნორმალური შედეგები უჩვენა. კერძოდ, 1975 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე და 1977 წელს ქვეყნის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავეთ. 1974 წელს კი, ზაპოროჟიეში მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ საკავშირო პირველობის ბრინჯაოს მედლები ადგილობრივ „ზაზ“-ს

იმედო ფხაკაძე, გურამ საღარაძე.

რგებოდა. მართალია, ხელბურთელებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ზოგჯერ მათი დასჯაც მიხდებოდა. მახსოვს, აგვისტოში, ლესელიძეში ვემზადებოდით ჩემპიონატისთვის და ალექსანდრე ანპილოგოვი მენისკმა შეაწუხა. იგი სასწრაფოდ გამოვამგზავრე თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში ოპერაციის გასაკეთებლად და თან შევპირდი: სექტემბერში, სირიაში დაგეგმილ ტურნირზე, ყავარჯნებითაც რომ იყო, მაინც წაგიყვან-მეთქი. მაშინ საზღვარგარეთ გამგზავრება იშვიათობა გახლდათ და ანპილოგოვმა ალბათ, იფიქრა, რომ ნაოპერაციევს სირიაში არ წავიყვანდი, ამიტომ ოპერაცია არ გაიკეთა. ცხადია, ამისთვის დავსაჯე, თბილისში დავტოვე, თან საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა ვაიძულე. ერთი წლის შემდეგ, ანპილოგოვი ქვეყნის ნაკრებში მოხვდა და მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონიც გახდა. არადა, მისთვის ოპერაციის ჩატარება რომ არ მეიძულებინა, ანპილოგოვი, როგორც ხელბურთელი, ვერ გაითქვამდა სახელს.

გაყიდული და ნაყიდი მატჩები

- სამწვრთნელო კარიერის მანძილზე, თამაშის „მიცემა“ მეტოქისთვის ერთხელ მომიხდა, ხოლო ერთხელ მატჩი თავად „ვიყიდე“... 1977 წელს, ქვეყნის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მინსკში ტარდებოდა და ბოლო შეხვედრა ადგილობრივ ასკ-თან უნდა ჩაგვეტარებინა. მომავალი მატჩი ჩვენს სატურნირო მდგომარეობას არ ცვლიდა - მე-3 ადგილი ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული გვქონდა, ხოლო თუ მინსკელები დამარცხდებოდნენ, ისინი უმაღლეს ლიგას დატოვებდნენ. ჩვენთან ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალი მოვიდა და მე და მეორე მწვრთნელს გვითხრა - თქვენთან საქმე მაქვს. მან საუნაში

წაგვიყვანა, სადაც საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ ცხოვრობდნენ მაშინდელი გენერლები. იმ დაწესებულებას საუნა კი ერქვა, მაგრამ შიგნით, ხელოვნური ჩანჩქერებიდან დაწყებული, წყლის მასაჟის დანადგარებით დამთავრებული, ყველაფერი საუცხოოდ იყო მოწყობილი. წარმოიდგინეთ, ორთქლის აბანოს მიღებისას, ზურგზე სპეციალურ ცოცხს პოლკოვნიკი მირტყამდა!.. ჩვენ გარდა, ცალკე გუნდის მოთამაშეებსაც სცეს სათანადო პატივი. მე კი, სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ხელბურთელებს გამოვუცხადე: ხვალ მატჩზე არ მოვდივარ და როგორც გსურთ, ისე ითამაშეთ-მეთქი... მართლაც, მეორე დღეს მინსკელებმა უბრძოლველად მოიგეს და ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს. 1975 წელს, საკავშირო სპარტაკიადაზე უკრაინის ნაკრები რუსეთს ხვდებოდა და თუ წააგებდა, ჩვენ მეოთხე ადგილზე გავიდოდით. მისი მოგების შემთხვევაში კი - მესამეზე. უკრაინელებს მეორე ადგილი გარანტირებული ჰქონდათ და ამიტომ უმოტივაციოდ იყვნენ. გადავწყვიტეთ, ისინი დაგვეინტერესებინა და დავპირდით, რომ თუ რუსეთთან გაიმარჯვებდნენ, პრემიის სახით თითოეულ მოთამაშეს 100-100 მანეთს მივცემდით. უკრაინის ნაკრების წევრებს შეთავაზება ჭკუაში დაუჯდათ და რუსებს მართლაც მოუგეს. ცხადია, სიტყვა არ გაგვიტეხავს და მათ კუთვნილი თანხა გადავუხადეთ.

„საქმის გარჩევამდე“ საქმის არმიმყვანი

- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე სხვადასხვა ქალაქის 4 საარმიო სპორტული კლუბი გამოდიოდა და თითოეულ მათგანს ავალდებულებდნენ, მოსკოვის ცსკა-სთვის მატჩი უბრძოლველად დაეთმოდ. ერთხელ, მოსკოველთა მწვრთნელი პრედეხა ჩემთანაც მოვიდა და მითხრა: თამაში უნდა მოგვცეთო, რაზეც უარი მიიღო. ის შეხვედრა ცსკას-ს ფაქტობრივად მოვუგეთ, მაგრამ ბოლო წამებზე მსაჯმა ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალა. მომდევნო ტურში, მოსკოვიდან მიღებული ბრძანების გამო, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა ვახტანგ ბერიაშვილსა და ამბერკი ტაბიძეს, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდნენ, თამაშის უფლება არ მისცა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ მოთაშეების სრულფასოვანი შემცვლელი არ გვყავდა, მე მომიწია მოედანზე გამოსვლა. სხვათა შორის, აღნიშნული ოლქის ხელმძღვანელობა მთავაზობდა, რომ „ბურევესტნიკი“ არმიელთა კლუბი გამხდარიყო. თუ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ვიცოდი, რომ მწვრთნელის პოსტიდან მაშინვე გამათავისუფლებდნენ. ყოველივეს ისიც დაემთხვა, რომ გუნდში ჩემ მიმართ უკმაყოფილება გაჩნდა. კერძოდ, ანპილოგოვი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი იყო, პრივილეგიებს ითხოვდა, რომ მისთვის, საცხოვრებელ ბინასთან ერთად, ავტომანქანაც ურიგოდ მიგვეცა. ჩემთვის მისი პრეტენზიები მიუღებელი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, გუნდი ორად გაიხლიჩა და თუ ერთი ნაწილი ანპილოგოვთან ერთად მიპირისპირდებოდა, მეორე - პირიქით, მიცავდა. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ „საქმის გარჩევა“ გარდაუვალი იყო, მაგრამ ვითარება თავადვე განვმუხტე - „ბურევესტნიკი“ დავტოვე.

სტუმართმოყვარეობა იორდანიულად

- ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა იმის პრაქტიკა, რომ გამოცდილების მიღების მიზნით, მწვრთნელი რამდენიმე თვით სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გაეგზავნათ. 1976 წლის აგვისტოში, იორდანიის ხელბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, რომელიც ოქტომბრისთვის სირიაში დაგეგმილი, არაბული ქვეყნების ტურნირისთვის ემზადებოდა. სამთვიანი ვარჯიშის შემდეგ, ამ შეჯიბრებაზე მე-3 ადგილი დავიკავეთ და იორდანიის სპორტის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა სათამაშო სახეობაში საერთაშორისო ასპარეზზე ბრინჯაოს მედალი მოიგო. იორდანიელებმა კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ რუსებმა ისეთი ანაზღაურება მოსთხოვეს, რომ ეს ქვეყანა ამდენ ფულს ნამდვილად ვერ

გადამიხდიდა... თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს, სტუმრის ისეთი პატივისცემა, როგორიც იორდანიაში იციან, სხვაგან არ მინახავს. ახალჩასულს, მაღაზიებში გავლა მინდოდა, მაგრამ ნაკრების ხელბურთელებმა გამაფრთხილეს, რომ მათ გარეშე საყიდლებზე არ წავსულიყავი. ქალაქში გასულს, ჩემი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე გამომყვა. მაღაზიაში შესულმა, როდესაც ნივთი ავირჩიე და ფულის გადახდა დავაპირე, გამყიდველმა მითხრა, რომ ანგარიში გასწორებული იყო: თურმე ნივთის საფასური ხელბურთელს გაუსტუმრებია. იგივე გამეორდა მეორე და მესამე მაღაზიებში. ბუნებრივია, ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო და იორდანიელებს ავუხსენი, რომ მათ ხარჯზე ცხოვრებას არ ვაპირებდი. საკმაოდ ხშირად რომელიმე კაფეში საღამოს, ბანქოს ვთამაშობდით და რასაც მაგიდასთან მივირთმევდით, იმის ხარჯი წაგებულს უნდა გაესტუმრებინა. იორდანიაში ყოფნისას, ბანქოში ერთადერთხელ წავაგე და მაშინაც ფული არ გადამახდევინეს...

მალის მსგავსი საქართველო და ბაყაყის მწვადი

- 1980 წელს, აფრიკაში, მალის ხელბურთელთა ნაკრების თავკაცად დავინიშნე და ამ პოსტზე 2 წელი დავყავი. გასაკვირი ის იყო, რომ გუნდი აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ვარჯიშობდა და ამის გამო, არც ერთ ტურნირში არ მონაწილეობდა. 23 წელია, მალიდან დავბრუნდი და მაშინ რაც იქ ხდებოდა, დღევანდელ საქართველოში იგივე სიტუაციაა: სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მალისაც უამრავი გრანდტი და კრედიტი ეძლეოდა, რომელიც უკვალოდ ქრებოდა. ქვეყნის დედაქალაქი ბამაკო, თბილისის მსგავსად, ერთ დიდ ბაზრად იყო გადაქცეული. გადასახადის გადახდას ყველა თავს არიდებდა და შუქსაც ხშირად თიშავდნენ. საქართველოს მსგავსად, მალიდანაც აგზავნიდნენ შვილებს შეძლებული ოჯახები საზღვარგარეთ სასწავლებლად, რათა უკან დაბრუნებული, ისინი თავიანთ ქვეყანას გამოსდგომოდნენ. მაგრამ ეს არ ხორციელდებოდა, რადგან სახელმწიფოს, რომელიც კორუფციაში გახლდათ ჩაძირული, რამდენიმე კლანი მართავდა. მთელი ქვეყანა რუსების, ამერიკელებისა და ფრანგების მონად იყო გადაქცეული. მაგალითად, თუ მე ხელფასი თვეში 1.800 დოლარი მქონდა, ადგილობრივი მოქალაქე გასამრჯელოდ 20 დოლარს იღებდა... ცხადია, პირველ რიგში, სიცხესთან მიჩვევა გამიჭირდა და ხშირად ყოფილა, რომ ცივი შხაპის ქვეშ მდგომს, ოფლი მომდიოდა ან ღამით სველ ზეწარს შემოვიხვევდი, რომ დამეძინა. თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივები, როდესაც ტემპერატურა 22 გრადუსამდე ჩამოდიოდა, პალტოებს იცვამდნენ და თბილ ქუდს იხურავდნენ!.. როგორც ახალჩასული, პირველსავე დღეს, ბაყაყის შემწვარ ხორცზე დამპატიჟეს, რომელიც ძალიან მომეწონა. შემდგომ, ბანქოს ან ჩოგბურთის ბაყაყის მწვადზე ვთამაშობდით ხოლმე. იქ ქუჩაში სხვადასხვა სახის ბაყაყით დატვირთული ურიკით დადიოდა ადამიანი, რომელიც მყიდველისთვის სასურველ ბაყაყს შესაწვავად უმალვე გაამზადებდა. მალელებს ასევე ძალიან უყვართ ცხარე კერძები. ერთხელ, სადილად გლეხებმა დამპატიჟეს და ისეთი ცხარე საჭმლით გამიმასპინძლდნენ, მეგრელიც კი ვერ წარმოიდგენს. ბამაკოში ყოფნისას, ყოველთვის „კოკა-კოლას“ ან სხვა უცხოურ გამაგრილებელ სასმელს ვიღებდი. ერთხელ, ადგილობრივი წარმოების ლიმონათის დალევა მომიწია, რომელიც წიწაკიანი იყო. ქუჩაში დანაშაულის ჩადენას ყველა ერიდებოდა, რადგან თუ ვინმეს ქურდობაში შეამჩნევდნენ, მას გამვლელები დაესეოდნენ და იქვე სცემდნენ, მაგრამ ჩაქოლვამდე საქმე არ მიდიოდა.

ლაშა თაბაგარი

სსრკ ნაკრები. ვალერი ზელენოვი, იური ზდორენკო, იმედო ფხაკაძე, ნიკოლაი შაიუკი, ვლადიმირ მაქსიმოვი.
დგანან: იური კლიმოვი, ალეკსანდრ პანოვი, ნიკოლაი სემიონოვი, ერიკ ველდრე, ჯემალ ცერცვაძე, ანდრის გულბისი.

მამასავით მყავდა

1985 წელს მიმიღეს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ რესპუბლიკურ სასპორტო სკოლაში, სადაც მუშაობდა 70-80 ადამიანი და დირექტორი იმედო ფხაკაძე გახლდათ. სკოლის ამოცანა იყო მოსწავლეებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება. იმედოს სპორტსკოლაში ჰყავდა მაღალი დონის ინსტრუქტორ-მეთოდისტები, ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ, რათა თავისი გამოცდილება გაეზიარებინათ დამწყები პედაგოგებისათვის. ინსტრუქტორებს შორის იყვნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც იყვნენ ანზორ მანჯგალაძე, ვლადიმერ ბარნაბიშვილი, ჯემალ აბაიშვილი, ჯემალ ლორია, ამბერკი ტაბიძე, მერაბ ბროძელი, გიორგი სულხანიშვილი და სხვ.

იმედომ თანდათან დამიახლოვა, ჩვენი ურთიერთობა მამა-შვილური იყო და გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე. 14 წლის ვიყავი, როდესაც მამა გარდამეცვალა. არ დავმალავ, მამის სითბო არ მახსოვს. იმედომ წლების განმავლობაში ეს ცხოვრებისეული ნაპრალი ამომივსო. იმის მიუხედავად, რომ იგი ჩემზე 20 წლით უფროსი იყო, ჩვენი დამოკიდებულება ყოველთვის იყო თავაზიანი, ერთმანეთის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის მეტი არაფერი არ გაგვაჩნდა. არასდროს არ მიგრძნია მისგან მბრძანებლური ტონი.

იმედო ფხაკაძე, კახა თვარაძე, ნანა დევდარიანი.

ვამაყობ, რომ ასეთ დიდ პიროვნებასა და გამოჩენილ სპორტულ მოღვაწესთან ვიმეგობრე 36 წელი. მას ჩემ მიმართ გააჩნდა უდიდესი ნდობა. საჭიროების შემთხვევაში მე მისთვის ვიყავი ნათესავიც, მეგობარიც, მძღოლიც, ერთ-ერთი უახლოესი ადამიანი, შეიძლება ითქვას ოჯახის წევრიც. 10 წელი დღე და ღამე ერთად ვიყავით.

2018 წელს იმედოს მძიმე დაავადება აღმოაჩნდა. მთელი ამ წლების განმავლობაში თავზე ვადექი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სამწუხაროა, რომ ვერ ვუშველეთ ჩვენს იმედოს. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მისი ცხოვრება გახანგრძლივებულიყო, თუმცა ვერაგმა ავადმყოფობამ ხელიდან გამოგვაცალა მუდამ მოღიმარი, ყველასათვის საყვარელი დიდი პიროვნება.

კახა თვარაძე

იმედო ფხაკაძე, კახა თვარაძე, გიორგი პაპუნაშვილი.

ხელბურთის გარინჩა

ქართულ ხელბურთს უდიდესი ტრადიცია აქვს. ჩვენი თანამემამულეები ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზზე ტრიუმფულად გამოდიოდნენ, ხოლო ხელბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორებიც ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, ალექსანდრე ანპილოგოვი და მათი პარტნიორები იყვნენ, პლანეტის ნებისმიერ ნაკრებსა თუ გუნდს დაამშვენებდნენ და მოწინავე პოზიციაზეც იქნებოდნენ. ჩვენი ხელბურთის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კიდევ ერთ აღიარებულ ვარსკვლავ იმედო ფხაკაძეს, რომლის ბრწყინვალე თამაშს გულშემატკივარი აღტაცებაში არაერთხელ მოუყვანია. ახალი თაობის ქომაგთათვის იმედო ფხაკაძის ავტორიტეტსა და უმაღლეს სათამაშო კლასზე წარმოდგენის შესაქმნელად კი ორი ფაქტის მოყვანაც საკმარისია. 1964 წელს, საკავშირო პირველობის ფინალურ ეტაპზე თბილისის „ბურევესტნიკის“ მარჯვენაფლანგელმა იმდენად შთამბეჭდავად იასპარეზა, რომ ფხაკაძეს „ხელბურთის გარინჩა“ უწოდეს, ხოლო როდესაც ხელბურთის ისტორიაში ერთ–ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას, ხორვატ ჟაგ მესტარს პლანეტის სიმბოლური ნაკრების შედგენა სთხოვეს, მარჯვენა გარემარბის ადგილას მან უყოყმანოდ იმედო ფხაკაძე დაასახელა.

ბავშვობაში თავისუფალი სტილით ჭიდაობით სერიოზულად იყო დაკავებული. მეცხრე კლასში იყო, როდესაც ხელბურთში საქართველოს ჩემპიონატის ერთ–ერთი მატჩი იხილა და ჯემალ ცერცვაძისა და თამაზ ანთაძის თამაშით მოიხიბლა. ამასობაში ჭაბუკთა შორის საქალაქო პირველობა უნდა ჩატარებულიყო და იმედომ მეათე სკოლის დირექტორს სთხოვა მშობლიური სასწავლებლის ღირსება ხელბურთშიც დაეცვა. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჭიდაობასა და ხელბურთს ერთმანეთს უთავსებდა. ჭიდაობის მწვრთნელი უწინასწარმეტყველებდა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდებიო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხელბურთის სიყვარულმა გადაწონა. იმედო ფხაკაძემ პრიორიტეტი სპორტის კოლექტიურ სახეობას მიანიჭა – მისივე თქმით, სათამაშო სახეობა ფხაკაძის ხასიათს უფრო მიესადაგებოდა.

პირველ დიდ სახელბურთო წარმატებას იმედო ფხაკაძემ 1961 წელს მიაღწია, როდესაც ზაპოროჟიეში საქართველოს ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოიგო და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, უკრაინიდან დაბრუნებულს კი თბილისის „ბურევესტნიკში“ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ უხმო.

იმ პერიოდში ქართული ხელბურთი მოწინავე პოზიციაზე იყო. 1961 წელს თბილისის სპორტის სასახლე გაიხსნა და ჩვენმა ხელბურთელებმა საერთაშორისო მატჩები გამართეს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და დანიის ნაკრებებთან. პირველ შეხვედრაზე სამი ათასი მაყურებელი მივიდა, მაგრამ ქართველმა ხელბურთელებმა ისეთი ლამაზი თამაში უჩვენეს აუდიტორიას, მომდევნო პაექრობებზე ტრიბუნები გულშემატკივრებით შეივსო. 1962–67 წლებში, სახელბურთო მატჩების წინ, სპორტის სასახლის სალაროებთან გრძელი რიგი იდგა – ბილეთის შოვნის პრობლემა აქტუალური იყო.

– ბატონო იმედო, თბილისის „ბურევესტნიკი“ პირველი საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებულია. ამასთან, ჩვენი გუნდი ზედიზედ რამდენიმე სეზონის განმავლობაში ყოველთვის მოწინავე პოზიციაზე იყო...

– საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი პირველად 1962 წელს, კაუნასში ჩატარდა. ფინალში რვა გუნდმა იასპარეზა, ფავორიტებად კი მოსკოველი, ზაპოროჟიელი და მასპინძელი ხელბურთელები ითვლებოდნენ. ტურნირის დაწყებამდე ჩვენთვის სამეულში მოხვედრა წარმატებად ჩაითვლებოდა. შეჯიბრება მშვენივრად დავიწყეთ და ბოლო სათამაშო დღემდე წაუგებლად მივედით. დასკვნით ტურში კაუნასელებთან შეხვედრა გველოდა. წაგების შემთხვევაში მესამე ადგილზე გავიდოდით, საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად კი ფრეც გვაძლევდა ხელს. თამაში ხმაურიანი ლიტველი გულშემატკივრებით გატენილ „სპორტჰალეში“ ჩატარდა. მაყურებლის აქტიური და მსაჯების ოდნავი მხარდაჭერის მიუხედავად, ბალტიისპირელებს არაფერი დავუთმეთ, 17:17 ვეთამაშეთ და ჩემპიონები გავხდით. შეჯიბრების დასრულების შემდეგ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში შემიყვანეს.

კაუნასის ანალოგიური ტრიუმფი ორი წლის შემდეგ მოსკოვში გავიმეორეთ. ფინალური ეტაპის ბოლო, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ზაპოროჟიეს გუნდს დამაჯერებლად, რვა ბურთის სხვაობით ვძლიეთ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების მსგავსად, ქართველი ხელბურთელებიც საბჭოთა კავშირში უძლიერესები გავხდით. 1963 წელს ბრინჯაოს მედლები გვერგო, ხოლო ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში (1965–67) თბილისის „ბურევესტნიკი“ მეორე ადგილზე გადიოდა.

– ჩვენ გუნდში ბევრი უმაღლესი კლასის ხელბურთელი თამაშობდა. პირადად თქვენთვის იდეალური პარტნიორი რომელი მათგანი იყო?

– პირველსავე სეზონში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი, ჭაბუკთა ნაკრებში მიმიწვიეს, მოგვიანებით საკავშირო ნაკრებში. ყოველგვარი კომპლექსი მოხსნილი მქონდა და ნებისმიერ პარტნიორთან შეთამაშება არ მიჭირდა, მაგრამ ყველაზე კარგად ერთმანეთს მე და ანზორ ექსეულიძე ვუგებდით. იგი ხაზის მოთამაშე იყო, მე კუთხის და ბევრი კომბინაცია მოედანზე ექსპრომტად გამოგვიგონია. საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ბევრ ხელბურთელთან ერთად მიასპარეზია, მაგრამ ანზორის მსგავსი პარტნიორი არ მყოლია.

– ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩაგიტარებიათ. ყველაზე მეტად რომელი პაექრობა დაგამახსოვრდათ?

– 1965 წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის ორ რაუნდიან ორთაბრძოლაში ზაგრების „მედვეშჩაკს“ შევხვდით. ხორვატიაში 13:21 წავაგეთ, თბილისში კი საპასუხო მატჩის დასრულებამდე 40 წამით ადრე მეტოქეს ცხრაბურთიანი სხვაობით ვუგებდით. ამ დროს ჩვენმა ერთ–ერთმა მოთამაშემ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან კარში დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, მას იუგოსლავიელთა მეკარე დაეუფლა,

იერიში წამოიწყო, რომელიც ჩვენ კარში გატანილი ბურთით დასრულდა. დაინიშნა კენჭისყრა და სახელბურთო ლატარეაში ბედმა „მედვეშჩაკს“ გაუღიმა.

– საკავშირო ნაკრებში გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებდით?

– 1962 წელს ახალგაზრდულ ნაკრებში ამიყვანეს და წარმომადგენლობით ტურნირში მივიღე მონაწილეობა. ჩვენთან ერთად სსრკ–ს, გდრ–ის და რუმინეთის ნაკრებები თამაშობდნენ. შეჯიბრება ახალგაზრდულ ნაკრებში დავიწყე, მაგრამ იმდენად კარგად გამოვედი, რომ ტურნირის დასკვნითი თამაში უკვე პირველი ნაკრების შემადგენლობაში ჩავატარე. იმხანად საკავშირო გუნდში ჩემი პარტნიორები ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე და ჯემალ აბაიშვილი იყვნენ. სინანულით მახსენდება 1967 წლის შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის დაწყებამდე კოპენჰაგენში ჩავედით, სადაც დანიელებთან ტესტ–მატჩი ჩავატარეთ და მოვიგეთ. პირველობიდან უკანა გზაზე ისევ დანიელთა დედაქალაქში მოვხვდით და მასპინძლებს კვლავ ვძლიეთ, აი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში კი დანიელებმა მოგვიგეს. ჩემი აზრით, მარცხის ერთ–ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ მწვრთნელებმა ქართველების ძირითადში დაყენება ვერ გაბედეს. 1968 წელს სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. 1972 წლიდან ხელბურთი ოლიმპიადების პროგრამაში შეიტანეს. მშვენიერ ფორმაში ვიყავი და წესითა და რიგით მიუნჰენში უნდა მეასპარეზა... საკავშირო ნაკრების მწვრთნელად ანატოლი ევტუშენკო დაინიშნა, მას კი თავისი თანაშემწის მუშაობაზე აკბაშევი რომ დაეყოლიებინა, ნაკრებში მისი გუნდის (მოსკოვის „კუნცევო“) წევრი შევჩენკო აიყვანა. საბჭოთა ნაკრებმა საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, მარცხი კი სწორედ შევჩენკოს დაბრალდა. ოლიმპიადაზე წაუსვლელობამ დიდი როლი ითამაშა ჩემი აქტიური ხელბურთიდან წასვლაში. თანაც ჩვენ გუნდს დაღმასვლის პერიოდი დაეწყო და მეც სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად დავიწყე მუშაობა.

– ხელბურთს მალევე მწვრთნელის რანგში დაუბრუნდით დ ამ სფეროშიც წარმატებული კარიერა გქონდათ...

– სპორტის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა და როდესაც თბილისის „ბურევესტნიკის“ დამრიგებელი ჯანო ბაგრატიონი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგედ გადაიყვანეს, შეთავაზება მივიღე და გუნდის მთავარი მწვრთნელი გავხდი. კოლექტივში ყოფილი თანაგუნდელებიც დამხვდნენ, მაგრამ მათთან საერთო ენის გამონახვა არ გამჭირვებია. საფუძვლიანად, კარგად ვიმუშავეთ, ბიჭებიც ავიყოლიე და შედეგმაც არ დაახანა. 1975 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე მესამე ადგილზე გავედით, რაც მოსკოვის, უკრაინის, ლიტვის, რუსეთის ფედერაციის ნაკრებებთან მძაფრი კონკურენციის პირობებში უდავოდ მნიშვნელოვანი წარმატება იყო. სამწვრთნელო მოღვაწეობასთან დაკავშირებით ერთი ამბავიც მახსენდება. 1976 წელს, საკავშირო პირველობის შუალედში, იორდანიის სახელბურთო ნაკრები არაბული თამაშებისთვის მოვამზადე. ტურნირის დაწყების წინ ქვეყნის მეფე ჰუსეინ ბირტალანი შეგვხვდა და გზა დაგვილოცა. გუნდმა კარგად იასპარეზა, მესამე ადგილი დაიკავა, რაც იორდანიისთვის არაბულ თამაშებზე მოპოვებული პირველი საპრიზო შედეგი გახლდათ.

გოჩა კაჭარავა

ხალხის დახმარება - მისი ცხოვრების სტილი გახლდათ

იმედო ფხაკაძე რა დონის ხელბურთელი გახლდათ, ამაზე წიგნში საკმარისად იქნება ნათქვამი. მსურს ჩემს მიმართ გამოჩენილი თანადგომა გავიხსენო, რომელსაც ნამდვილად არ ველოდი. ოთხმოციანი წლების შუა პერიოდია, საბჭოთა კავშირი დანგრევის პირასაა, მყავდა ერთი მოძველებული მანქანა, რომელიც სიამოვნებასთან ერთად ბევრ პრობლემას მიქმნიდა. თბილისში არსებობდა დაწესებულება „ვაზი“, საიდანაც მოქალაქეებს გამოჰყავდათ ახალი მანქანები, რასაკვირველია სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით.

ერთ დღეს ვესტუმრე „ვაზს“, სადაც მეგობარი მურმან ფაილოძე მეგულებოდა. მან მომისმინა და მიმიყვანა ერთ მანქანასთან, ეს იყო „ჟიგული -06“ თავისი მოტორით. რას ნიშნავდა იმ დროს თავისი მოტორი, ძველი ხალხი კარგად გაიგებს. თანხაც დამისახელა და მითხრა, შენიაო. წამოვედი იქედან შესანიშნავი განწყობით, თუმცა საკმარისი მაყუთი ნამდვილად არ მქონდა. საჭირო იყო მისი მოძიება. მივმართე ერთ ახლობელს, რომელმაც წინა დღეებში გამიმხილა, რომ სახლში დიდი თანხა მაქვსო. როდესაც ვთხოვე გარკვეული ვადით ესესხებინა ფული, სასტიკი უარი მითხრა, არა მაქვსო.

მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით ზურაბ ყიფიანის ოჯახში. ვთამაშობდით ნარდს, დომინოს, ჭადრაკს, ბოლოს ფეხბურთზე საუბრით ვაგვირგვინებდით ვიზიტს. ახლობლისაგან მოულოდნელი უარის შემდეგ მეორე დღეს იმ ოჯახში ყოფნისას, იმედომ შემომთავაზა გვეთამაშა ნარდი, უარს როგორ ვეტყოდი, თუმცა შემამჩნია, რომ ხასიათზე არ ვიყავი, მიზეზი მკითხა, მეც მოვუყევი, არაფერი დამიმალავს. ნარდის თამაშის შემდეგ იგი ოთახიდან გავიდა და ნახევარ საათში დაბრუნდა, დამიძახა, გარეთ გამოდიო და ფეხსაცმლის ყუთი მომაწოდა, სადაც ის გარკვეული თანხა იდო, რომელიც საშუალებას მაძლევდა შემეძინა ავტომანქანა. იმედომ მითხრა, არ მეჩქარება, როდესაც გექნება დამიბრუნეო.

მოკლედ მეორე დღეს გამოვიყვანე ახალი „ჟიგული“ და ორი-სამი კვირის შემდეგ იმედოს დავუბრუნე ნასესხები თანხა.

იმედო ფხაკაძის ამ საქციელს არასოდეს დავივიწყებ. მასთან უაღრესად თბილი დამოკიდებულება მქონდა, თუმცა ურთიერთობიდან გამომდინარე მე მისთვის თანხის თხოვნა არ მეკუთვნოდა.

იმედო ფხაკაძე გახლდათ ნამდვილი სპორტსმენი, ბრწყინვალე ქალაქელი ვაჟკაცი, უკეთილშობილესი, უბოროტო, ყველას გვერდში მდგომი, სიკეთის მკეთებელი, რომელიც სამაგიეროს არასოდეს ელოდა.

ვალერი კობახიძე

სსრკ ნაკრები. მარჯვნიდან პირველი გიორგი შარაშიძე, მეორე - ჯემალ აბაიშვილი, მეხუთე - იმედო ფხაკაძე, ბოლოსწინა რიგში შუაში - ჯემალ ცერცვაძე.

1965 წ. ბაკურიანი. იმედო ფხაკაძე, ჯემალ აბაიშვილი, გარი მაჭავარიანი, ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, ჯემალ ზაქარიაძე, ჯანო ბაგრატიონი.

იმედო ფხაკაძე, რაც მაგონდება

მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული და 70-იანი წლების ჩათვლით, საქართველოში სპორტის თითქმის ყველა სახეობამ განვითარების ზენიტს მიაღწია. ამის დასტურად ქართველ ფეხბურთელთა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ევროპის თასი, ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის ტრიუმფული სვლა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით, წყალბურთელთა გამარჯვებები, ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობა და არაერთი მედლის მოპოვება... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

საქართველოში ამ დროს მეტად პოპულარული იყო სპორტის კიდევ ერთი სახეობა – ხელბურთი, რასაც საკავშირო თუ დიდ საერთაშორისო ასპარეზობებზე ჩვენი გუნდის და ახალი თაობის ხელბურთელთა წარმატებები განაპირობებდა.

60-იანი წლების ბოლოს, სტუდენტობის პერიოდში, ჩვენი ხელბურთელების თითქმის არც ერთ თამაშს არ ვაცდენდით. ამ დროს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდნენ სახელოვანი სპორტსმენები: თამაზ ანთაძე (ფარჩო),ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე, თემურ ზარდალიშვილი, ბორის კოპალეიშვილი, ჯემალ აბაიშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი და სხვები. ამდენი წლის შემდეგ ყველას გახსენება მიჭირს, მაგრამ განსაკუთრებით მაგონდება ჩემი თაობის გოგონათა გულთამპყრობელი, ცისფერთვალება ჭაბუკი მომაჯადოებელი ღიმილით. ეს იყო იმედო ფხაკაძე – საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი და საკმაოდ სახელმოხვეჭილი სპორტსმენი.

თამაშები ახალაშენებულ სპორტის სასახლეში იმართებოდა. დარბაზი ყოველთვის გადაჭედილი იყო. იმედოს (რატომღაც ღუტიასაც ეძახდნენ) ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა, მათგან განსაკუთრებით გოგონები აქტიურობდნენ. ისინი, თამაშზე მეტად, ალბათ უფრო მის სანახავად დადიოდნენ, რათა ქართველი პოლ ნიუმენი როგორმე ახლოს ენახათ. იმედო მართლაც ძალიან ჰგავდა ჰოლივუდის მეგავარსკვლავს, პოლ ნიუმენს, რომელიც ჩვენმა მაყურებელმა სწორედ იმ წლებში გაიცნო ამერიკული ფილმებით.

იმედო ფხაკაძე, თუ სწორად მახსოვს, 1970 წლის ზაფხულში აფხაზეთში, დაბა ლესელიძეში გავიცანი, სადაც სპორტსმენები შეკრებებზე დაჰყავდათ სავარჯიშოდ. იმ დროს ჩემი მეუღლის მამა, გიორგი სიხარულიძე სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყო, ასე რომ, აგვისტოს ხშირად ლესელიძეში ვატარებდით. ყოველ წელიწადს იქ ერთი და იგივე ხალხი დადიოდა, თითქოს ერთ ოჯახად ვიყავით შეკრული. თუ რომელიმე ჩამოსვლას აგვიანებდა, ვწუხდით და მოუთმენლად ველოდით. აქ ზაფხულობით ისვენებდნენ სპორტის ლეგენდები: ლევან თედიაშვილი მეუღლესა და ტყუპ ვაჟებთან ერთად (მათგან ერთ-ერთი– ვახტანგი შემდეგ აფხაზეთის ომში დაიღუპა გმირულად), მურთაზ ხურცილავა, ულამაზეს მეუღლესა და შვილებთან, ყოფილი ტანმოვარჯიშე გრიგოლ მამარდაშვილი და მისი მეუღლე კომპოზიტორი, ლილი იაშვილი – ლამაზი და დახვეწილი ქალბატონი...

იმედო მეგობრებთან ერთად

ის წლები ახლაც ჩვენი ცხოვრების ოქროს ხანად მახსენდება. ზაფხულის მცხუნვარე მზე, ზღვა, გულწრფელი ურთიერთსიყვარული, ერთობლივი გასეირნება მოსალხენად გაგრასა თუ სოჭში, ახალგაზრდობა, სილაღე და გარანტირებული მშვიდობის იმედი მომავალში.

ხელბურთელები და მათ შორის იმედო, ვარჯიშს რომ დაამთავრებდნენ, ხშირად დროს ჩვენთან ატარებდნენ. იმედო ურთიერთობაში ძალიან თავმდაბალი და თბილი ადამიანი იყო. სპორტში დიდი წარმატებებისა და პოპულარობის მიუხედავად, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა შორისაც კი, ის თვითკმაყოფილი ან გაყოყოჩებული არავის უნახავს. მუდამ კეთილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და ზღვასა თუ ცაზე უფრო ცისფერი თვალები უბრწყინავდა. რა სამწუხაროა, რომ მასზე წარსულში მიწევს საუბარი. ადრე წავიდა და ხალხის ალალი ცრემლიც გაიყოლა. იმედოს ხომ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

ნელი კობიაშვილი

იმედო ფხაკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი

1990 წ. იმედო ფხაკაძე, ამირან შენგელია;
დგანან: ვახტანგ ბალავაძე, მურთაზ მნათობიშვილი.

იმედო ფხაკაძესთან გატარებული ყოველი წუთი იყო ადამიანური ურთიერთობების, სიყვარულის, ზნეობრიობისა და ვაჟკაცობის გამოვლინება. იმედო იყო ყველას მიმართ გვერდში მდგომი ადამიანი, ახასიათებდა გამორჩეული თავმდაბლობა და თავაზიანობა. ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა ადამიანებისათვის, რაც მას თავადვე ანიჭებდა დიდ სიამოვნებას.

იყო შესანიშნავი ალღოს მქონე ადამიანი, რაც აუცილებელი პირობაა სპორტის სათამაშო სახეობებში წარმატების მისაღწევად. იმედომ, თავისი შესაძლებლობები ჯერ ჭიდაობაში სცადა, შემდგომ ხელბურთის თამაში გადაწყვიტა. ამ დროისათვის მას უკვე შესანიშნავი ფიზიკური კონდიციები ჰქონდა და სულ მალე ჯემალ ცერცვაძესთან (ქართულ ხელბურთის პელედ, წოდებული) ერთად აღტაცებაში მოჰყავდა ქართველი თუ უცხოელი სპორტის მოყვარულები განუმეორებელი ილეთებითა და შედეგებით. აღსანიშნავია რომ, იმ დროს, ქართველი საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ მიეწვიათ, სხვებზე ათი თავით მაღლა უნდა მდგარიყო, თუმცა ეს ბარიერი იმედო ფხაკაძისათვის არასდროს აღმართულა და ღირსეულ ადგილს იკავებდა ნაკრების შემადგენლობაში და მუდმივად აღფრთოვანებაში მოჰყავდა ქვეყნის შიგნით თუ უცხოეთში ხელბურთის გულშემატკივარი.

მოგვიანებით წარმატებით გააგრძელა მწვრთნელის კარიერა, მრავალი წლის განმავლობაში ანზორ ლელაშვილთან ერთად სათავეში ედგა საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდს ხელბურთში, სადაც მან მრავალი საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა აღზრდა მოახერხა.

იმედოსთან ერთად ხშირად გვიწევდა ქვეყნის გარეთ მივლინებები. ამ დროს ადამიანები მეტად ავლენენ პირად ხასიათსა და ჩვევებს, იმედო ყოველთვის მეგობრული - მამობრივი მზრუნველობით აფასებდა ყველა მოვლენას, სიყვარულსა და სულიერ სიახლოვეს ნერგავდა გუნდის წევრებს შორის. იმედო ფლობდა საოცარ იუმორს, რომლის წყალობითაც ადვილად უმკლავდებოდა პრობლემებს.

კარგახანს ვიმუშავეთ ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფიზიკური აღზრდის, სპორტის სამსახურის ხელმძღვანელებად. მკვეთრად მოიმატა ამ პერიოდში ბავშვთა სპორტში სპორტულმა შედეგებმა, ღირსეული რეზერვების მიღება ხდებოდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში.

90-იან წლებში თბილისში ჩატარდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც 7000 სპორტსმენი მონაწილეობდა და ქართველმა ბავშვებმა მიაღწიეს არნახულ წარმატებებს, რისთვისაც იმედო საბჭოთა კავშირის განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს. გარდა სამსახურებრივი ურთიერთობებისა გვქონდა მეგობრობა, რომელსაც ორივე ვაფასებდით და ვუფრთხილდებოდით, ვფიქრობ ადრე ამ გრძნობას უფრო მეტი პასუხისმგებლობა ახლდა, ამ გრძნობებში იზრდებოდა და ყალიბდებოდა ადამიანი. იმედოს ცხოვრებასაც დაადგა შავი ღრუბელი, მისი ავადმყოფობის პერიოდში მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში - ნახალოვკაში, დიდხანს ვსაუბრობდით, ვიგონებდით განვლილ ცხოვრებას, არ უყვარდა თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკი. ერთხელ, გამომიტყდა და მითხრა, რაც ვიცოცხლე იმის მადლიერი ვარო, ასეთ ცხოვრებას აზრი არა აქვსო.

მურთაზ მნათობიშვილი, იმედო ფხაკაძე.

ვცდილობდი იმედი მიმეცა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ჩემი სიტყვების მეც აღარ მჯეროდა. ამის შემდეგ, მალე გავიდა ამ ცხოვრებიდან. იმედო ფხაკაძე იყო კაცი, რომელიც თავისი ყოფნით მთელ ქალაქს ალამაზებდა.

მურთაზ მნათობიშვილი

გამორჩეული

ქართულ სპორტს მუდამჟამ ამშვენებდა მისი უაღრესად წარმატებული და გამორჩეული სახეები, რომელთა მიღწევები, როგორც წესი, სცდებოდა საკუთრივ სპორტის სფეროს და განზოგადებული შინაარსის ისტორიულ დატვირთვას იძენდა.

როდესაც ხელბურთზე, სპორტის ამ მეტად მიმზიდველ და ლამაზ სახეობაზე გიწევს საუბარი, მეხსიერების უკიდეგანო სივრციდან მყისიერად გამოდიან და ცოცხლდებიან სპორტსმენები, რომელთა ძალისხმევამ მის მოტრფიალედ ჩამოგაყალიბა და მათ მიერ მოპოვებული წარმატებებით გამოწვეულ ბედნიერებას გაზიარა. იმ სახელოვან ხელბურთელ - სპორტსმენთა შორის, რომელთაც ქართული ხელბურთის ისტორია დაწერეს, გამორჩეული ადგილი ბატონ იმედო ფხაკაძეს უჭირავს, ჯერ როგორც მოქმედ სპორტსმენს, შემდეგ კი როგორც მწვრთნელსა და სპორტული საქმის ორგანიზატორს.

ქართული ხელბურთის აღმავლობა ჩემი ბავშვობის წლებს დაემთხვა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სპორტის ამა თუ იმ სახეობით დაკავება საბჭოთა მოსწავლის ცხოვრების წესის ერთ წამყვან საკითხს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ჩემი თაობის თითქმის ყველა ბავშვმა თუ მოზარდმა სცადა საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა კრივსა თუ ჭიდაობაში, ცურვასა თუ ძალოსნობაში, კალათბურთსა თუ ფრენბურთში, მე კი არჩევანი ფეხბურთზე გავაკეთე, სპორტის იმ კრეატიულ სახეობაზე, რომელმაც მასავით

2004 წლის 7 მაისი. ანზორ ექსეულიძე, ზაურ ბუნაძე, დათო რუხაძე, ალიკო კიკაბიძე, იმედო ფხაკაძე; დგანან: ბორის კოპალეიშვილი, ბიძინა ჯღარკავა, თენგიზ გაზდელიანი, ჯემალ ცერცვაძე, გიორგი შარაშიძე, თამაზ ანთაძე, მამუკა სხიერელი, გია აბესაძე, გარი მაჭავარიანი, ჯემალ ნიკურაძე, ზაურ ფხალაძე.

მიმზიდველი – ხელბურთი აღმომაჩენინა. მალე დამიდგა პერიოდი, როდესაც ჩემთვის თანაბრად მნიშვნელოვანი ორი სახეობიდან ერთ - ერთი უნდა ამერჩია და მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთს ბოლომდე ვუერთგულე, ხელბურთის მიმართ ჩემი სიყვარული არასოდეს შენელებულა, ჩამოვყალიბდი რა მის ჭეშმარიტ გულშემატკივრად.

როგორც კი სპორტის ამ ორ სახეობას შორის ტოლობის ნიშანი გავავლე, არც ერთი მნიშვნელოვანი საფეხბურთო და სახელბურთო მატჩი არ გამომიტოვებია იშვიათი გამონაკლისის გათვალისწინებით. სოხუმიდან ჩვენი „დინამოს“ მატჩებზე დასასწრებად მატარებლით ადრეული დილით ჩამოსული, აუცილებლად მივაშურებდი „ბურევესტნიკის“ საწვრთნელ ბაზას, რომელიც ვერის ბაღის (მაშინდელი კიროვის ბაღის) ტერიტორიაზე იყო განთავსებული და მცირეოდენი დალოდების შემდეგ დახარბებულად ვუცქერდი ჯადოქარი ქართველი ხელბურთელების - ჯემალ აბაიშვილის, თამაზ ანთაძის, ჯემალ ცერცვაძის, ანზორ ექსეულიძის, ლერი კარტოზიას, ჯანო ბაგრატიონის, გარი მაჭავარიანისა და სხვათა ვარჯიშს, რომელთა შორის ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს იმედო ფხაკაძე იწვევდა როგორც მოძრაობის მისთვის დამახასიათებელი სტილით, ასევე ვიზუალით. სიტყვამ მოიტანა და შინაარსში ჩახედულ მკითხველს შევახსენებ, თუ გარეგნულად როგორ ამსგავსებდნენ მას ცნობილ ამერიკელ კინომსახიობ პოლ ნიუმენს და არა უსაფუძვლოდაც.

იმედო ფხაკაძე, ?, ჯანო ბაგრატიონი.

დადასტურებული მოცემულობაა, რომ ქართული ხელბურთი მკვეთრი აღმასვლის გზას გასული საუკუნის 60-იან წლებში დაადგა და სპორტის ამ სახეობის უამრავი გულშემატკივარი შეიძინა. აშკარა იყო, რომ ხელბურთი მკვიდრად იკიდებდა ფეხს ქართულ სპორტულ სამყაროში. ის, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ნაგებობათა მშვენება თბილისის სპორტის სასახლე ოფიციალურად საქართველოსა და უნგრეთის ხელბურთელთა ნაკრებების მატჩით გაიხსნა, ამის ნათელი დადასტურებაა. ქართული ხელბურთი აჩქარებული ნაბიჯებით მიიწევდა წინ, ხოლო ამ პროცესის შემოქმედი სხვებთან ერთად ბატონი იმედოც იყო.

ნამდვილ სპორტულ დღესასწაულს წარმოადგენდა ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე, რომელიც 1966 წლიდან ტარდებოდა თბილისში და სადაც ევროპის უძლიერესი გუნდები იყრიდა თავს. სწორედ ამ ტურნირზე ვიხილეთ ჩვენი ნაკრების შერკინებები ევროპის წამყვან იუგოსლავიის, უნგრეთის, რუმინეთის, ესპანეთის, დანიის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის და სხვა ნაკრებებთან, სადაც სრულად ამობრწყინდა იმედო ფხაკაძის სპორტული ვარსკვლავი.

ვერავინ იტყვის, რომ ბატონ იმედოს სპორტული ტიტულები აკლდა და მიუხედავად იმისა, რომ იყო მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, სამგზის მეორე და ერთგზის მესამე პრიზიორი, მაინც გეუფლება უკმარისობის განცდა, ვინაიდან მასში ხელბურთელის უდიდესი პოტენციალი იყო დაბუდებული და რომლის რეალიზაციას არა იშვიათად უშლიდა ხელს ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, შური, გაუტანლობა თუ ბევრი სხვა რამ. ვფიქრობ და ჩემს აზრს მრავალი იზიარებს, რომ მან აქტიური სპორტი ჯერ კიდევ საუკეთესო ფორმაში მყოფმა დატოვა, თუმცა ანგარიშს ვუწევ საკავშირო ნაკრების მესვეურთა მხრიდან შეგნებული და გამიზნული დაუნახაობის შედეგად მასში გამოწვეულ სტრესს, რომლის სრულად დაძლევა გაუძნელდა, ამასთან აქტიურ სპორტში კიდევ რამდენიმე წელი იღვაწა. მისი სპორტული ბიოგრაფია გამდიდრებულია საკავშირო ნაკრებში ნათამაშევი 68 მატჩითა და მათში გატანილი 193 გოლით. არანაკლებ გამორჩეული გახლდათ ბატონ იმედო ფხაკაძის სამწვრთნელო მოღვაწეობა როგორც მშობლიურ „ბურევესტნიკში“, ასევე, ასაკობრივ ნაკრებებში.

ბატონმა იმედომ მასწავლებლის მაღალი შთაგონებით ხელბურთელთა თაობები აღზარდა, ხოლო მის აღზრდილთა შორის გამორჩეული ალექსანდრე ანპილოგოვია. მათი ურთიერთობა, მრავალთა მტკიცებით, მადლიერი შეგირდისა და ბედნიერი მასწავლებლის ქრესთომატიულ მაგალითს წარმოადგენს.

უაღრესად დიდია ბატონ იმედოს დამსახურება ქართული ხელბურთის საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობებში ჩართვის დიდ საქმეში, რაც მისი აღმავლობისა და შემდგომი განვითარების უპირობო საწინდარია.

ღრმად მწამს, რომ მისი მაღალი შესაძლებლობები როგორც აქტიურ სპორტში, ასევე სამწვრთნელო მოღვაწეობასა და სპორტული საქმის ორგანიზაციაში არ დარჩა ბოლომდე რეალიზებული, რაც მხოლოდ სინანულს იწვევს ბატონ იმედოს გულშემატკივართა არმიაში.

მის მიერ გაკვალული და განვლილი გზა ბრწყინვალე მაგალითია პროფესიული საქმისადმი ერთგულებისა და მამულიშვილური ტვირთის ღირსეულად ტარებისა.

თეიმურაზ მჟავია



ფოტოზე კარგად ჩანს როგორ უჭირდათ მეტოქეებს იმედო ფხაკაძის შეჩერება

სამშობლოს სამსახურში

იმედო ფხაკაძე - ამ გვარ-სახელის კაცს, როგორც ბრწყინვალე ხელბურთელს, ყველა იცნობდა თბილისში, მაგრამ ის რომ სპორტსმენი არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, სხვა საქმით მაინც იქნებოდა ცნობილი და გამორჩეული. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ სპორტულ მოედანსა და ქუჩაში ბევრჯერ მინახავს და შეუძლებელია ყურადღება არ მიექცია მის ელეგანტურობას და სხეულში დატეულ ენერგიას, რომელიც ყოველ ნაბიჯში ცნაურდებოდა და ანდამატივით იზიდავდა გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას. 1962 წელს, ლამფის შუქზე, მე და ჩემი ძმა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭები, „ხაზის რადიოზე“ მიჯაჭვულნი, სულგანაბული ვუსმენდით რეპორტაჟს კაუნასიდან, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალურ ბრძოლაში თბილისის „ბურევესტნიკმა“ ჩემპიონობა მოიპოვა. მაშინ ამ ბრძოლის ერთ-ერთი გმირი იმედო ფხაკაძე იყო. ეს იყო რეპორტაჟი, რომლის დროსაც პირველად შევიცანი ჩემი თავი, როგორ გულშემატკივარმა, მაგრამ არა როგორც სპორტისამ, არამედ ჩემი სამშობლოსი, მაშინ მხოლოდ ინსტინქტი იყო ჩემი აღმაფრენის საფუძველი და შემდგომ, როცა ცოდნა და გამოცდილება მომემატა, მივხვდი, რომ სრულყოფილი ბედნიერება მხოლოდ სამშობლოს სამსახურით მიიღწევა. ცხადზე ცხადია, რომ ჩვენმა ეპოქამ სპორტი აქცია იმ ხმლად, ჩვენ სახელოვან წინაპრებს რომ ეჭირათ ხელში. ამიტომაა, რომ სპორტული შეჯიბრი არამც და არამც არ ჩაითვლება მხოლოდ წმინდა სანახაობათა რანგში. ყველა ერი და ყველა ქვეყანა, სპორტს მიიჩნევს ეროვნული ღირსების გამოხატვის საშუალებად, ამიტომაა, რომ გულშემატკივრებისაგან მსოფლიო სპორტულ სარბიელზე ატეხილი თავგანწირული ვნებიანი ქუხილი მთელ დედამიწას ესმის და ჩვენი ხმა ვერ შეუერთდებოდა ამ საერთო გუგუნ,ს იმედო ფხაკაძისთანა ბრწყინვალე სპორტსმენები რომ არ გვყოლოდა. იმედო ფხაკაძის ბიოგრაფია უბრწყინვალესი სპორტული მიღწევებითაა დახუნძლული, ესაა ისტორია კაცისა, რომელმაც თითქმის შეუძლებელი შეძლო და წლების განმავლობაში ჩვენ - მის გულშემატკივრებს, არაერთი ბედნიერი დღე გვაჩუქა. სამწუხაროდ, გულშემატკივარი ვერასდროს ვერ დაუბრუნებს სპორტსმენს იმ სიხარულის ნაწილს, რომელიც მას მოუნიჭებია ჩვენთვის, ერთადერთი მხოლოდ სიტყვაა, რომელიც შეძლებისდაგვარად გამოხატავს ჩვენს მადლიერებას. ჩემი სიტყვა კი, იმქვეყნად დავანებული იმედო ფხაკაძის მიმართ, ასეთი იქნება: მადლობა შენ, დიდო კაცო და დიდო სპორტსმენო! რამეთუ შენ სპორტული მიღწევებით იყავი და მუდამ დარჩები შენი ქვეყნის სახელის გამტანი და მადიდებელი!

ელდარ ნადირაძე

2022 წლის 20 ნოემბერს იმედო ფხაკაძე 80 წლისა გახდებოდა. მისი სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული სპორტის ისტორიაში. მის პირად მიღწევებზე რომ არაფერი ვთქვათ, იმედო ფხაკაძის აღზრდილია ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი ხელბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი. სერიოზული წარმატებების მიუხედავად, ხელბურთი არასოდეს ყოფილა საქართველოში იმდენად პოპულარული, რომ ქართველი ხელბურთელი ფეხბურთელსა თუ კალათბურთელს გატოლებოდა ცნობადობით. ჯემალ ცერცვაძემ და იმედო ფხაკაძემ ეს შეძლეს. რამდენადაც შეუპოვრები, აგრესიულები და უკომპრომისოები იყვნენ ისინი მოედანზე, იმდენად თავმდაბლები, მორიდებულები და მიმტევებლები იყვნენ ცხოვრებაში. მათი არაერთი ბრწყინვალე მატჩი მინახავს, როგორც გულშემატკივარს და ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მათთან პირადი ურთიერთობის საშუალებაც მქონდა, როგორც უმცროს მეგობარს. ჯემალ ცერცვაძე 79 წლისა გარდაიცვალა 2019-ში, იმედო ფხაკაძე – 78-ისა, ორწლინახევრის შემდეგ. ძალიან აკლია ასეთი ადამიანები ქართულ სპორტულ და არა მარტო სპორტულ სამყაროს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

პაატა ნაცვლიშვილი

ხელბურთის გარინჩა

როდესაც მაცნეს იმედო ფხაკაძის შესახებ წიგნი უნდა გამოვიდესო, მთხოვეს მოგონების დაწერა. კალამის აღებისთანავე ჩემი ცრემლები ღაპაღუპით დასცვივდა თაბახის ფურცელს.

ბედნიერია ის საზოგადოება, რომელიც ქართული ხელბურთის ოქროს ხანას მოესწრო.

დიახ, ეს ის პერიოდია, როცა სპორტის ეს შედარებით ახალი სახეობა მეტეორივით შემოიჭრა ჩვენში და პოპულარობით თვით ფეხბურთსა და კალათბურთს უწევდა ჯანსაღ კონკურენციას. ჰოდა, შემთხვევითი სრულიადაც არ არის თბილისის სპორტის სასახლის გახსნის პატივი წილად ამ ახალი სპორტის წარმომადგენლებს რომ ხვდათ, რომლებმაც ორივეჯერ დაამარცხეს უნგრეთის უძლიერესი ნაკრები.

ვინც მაშინდელი ვარსკვლავების დიდოსტატობით დამტკბარა, ალბათ დამეთანხმებით, რომ თუ ჯემალ ცერცვაძე ხელბურთის პელედ მონათლეს, სავსებით ლოგიკური იქნება, თუ სწორუპოვარ მარჯვენა გარემარბს (როგორც სსრკ ნაკრებში, საქართველოს ნაკრებში და ჩვენ დედა ,,ბურევესტნიკში", თავისი დიდი მოღვაწეობით იმედო ფხაკაძეს ხელბურთის გარინჩას ვუწოდებთ.

მადლობა უფალს, რომ თავის დროზე მას ხალიჩა დაატოვებინეს და თავისუფალი ჭიდაობიდან ხელბურთში გადმოიბირეს, თორემ, ვინ იცის, რამდენ სიამოვნებას დავკარგავდით.

როგორც სპორტის სხვა სახეობებს ჰყავს ლეგენდარული ადამიანები, რომელთა განუმეორებელ ხელწერას, თამაშის სტილს, ბურთის ფლობას და სხვადასხვა ტექნიკურ ილეთებს აღფრთოვანებაში მოჰყავთ მილიონობით გულშემატკივარი. ყოველივე ამას ხომ უდიდესი შრომა და ენერგია სჭირდება.

მართებული იქნება ვისაუბროთ იმ ადამიანის კულტურაზე, რომელმაც გარკვევით იცის, თუ რა არის საჭირო კარგი და შედეგიანი თამაშისათვის, რომ დაუშრეტელი მოძრაობის უნარი მოედანზე შესაძლებელია მხოლოდ ნიჭით, ხანგრძლივი დაუღალავი ვარჯიშით და ცხოვრების გამართული წესით.

სწორედ აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ იმედო ფხაკაძე ყოველი ვარჯიშის შემდეგ და თავისუფალ დღეებშიც საათობით ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და ხვეწდა ისედაც უზადო ოსტატობას -კერძოდ კარების ძელს მოაბამდა რეზინის თასმას, ეგრეთ წოდებულ ,,ჯგუშს" და მეკარის ექვს მეტრიან ზონაში შეხტომით ნახევრად დაწოლილ მდგომარეობაში იატაკზე ხელშეუხებლად ასრულებდა ტყორცნებს კარში. ამ სტილით ვარჯიშმა გაამართლა და შედეგიც გამოიღო. იმედო თამაშებზე სასწაულებს ახდენდა ორ მეტრიან მცველებს ისე შეუხტებოდა მეკარის ზონაში და შემდგომ ტყორცნიდა ბურთს კარში, რითაც ახერხებდა მსოფლიო მასშტაბის დონის მეკარეების კაპიტულაციას.

მკითხველისთვის აუცილიებლად მიმაჩნია კიდევ ერთი საინტერესო გარემოების აღნიშვნა.

60 -იან წლებში მარჯვენა და მარცხენა კუთხის მოთამაშეები (გარემარბები) ჩვეულებრივი მიმართულებით მოძრაობდნენ. წარმოიდგინეთ, თუ რა რთული იყო მარჯვენა გარემარბის კუთხიდან შეხტომა, გადაწოლა და კარებში ბურთის ტყორცნა. ანალოგიური - მარცხენა გარემარბისათვის. იმ დროს ამას ახორციელებდნენ მარცხნიდან ლერი კარტოზია და მარჯვნიდან იმედო ფხაკაძე, რომელთა გატანილი გოლები ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს. შემდეგ ხელბურთის მესვეურები მიხვდნენ, რომ შეეცვალათ ყოველივე

1971 წ. ბაკურიანი. იმედო ფხაკაძე, ზაურ ბუნაძე, თენგიზ გაზდელიანი, დათო რუხაძე; მეორე რიგი: ჯანო ბაგრატიონი, ჯემალ ცერცვაძე, გია ნარიმანიძე, გია აბესაძე, ჯიმშერ დვალიშვილი; მესამე რიგი: ზაურ ფხალაძე, თამაზ თევზაძე, ვახტანგ ბერიაშვილი, ალექსანდრე ანპილოგოვი, გიორგი ბერიაშვილი, მამუკა სხიერელი, ალექსანდრე ხუციშვილი.

იმედო ფხაკაძე მალელ სპორტსმენთან ერთად.

და მარჯვენა ხელით მოთამაშე გადავიდა მარცხნივ და მარცხენა ხელით მოთამაშე მარჯვნივ. ეს მხოლოდ კუთხის მოთამაშეებს შეეხოთ და დღესაც ასე გრძელდება.

იმედო არ იყო ტანმაღალი ხელბურთელი, არც ჯემალ ცერცვაძისავით გრძელი კიდურები და ხელის მტევნები ჰქონდა, მაგრამ ის კარგად ახერხებდა ბურთის დამორჩილებას და ყოველთვის შედეგიანიც იყო.

მომავალმა თაობებმა მაგალითი უნდა აიღონ ისეთი ჩინებული სპორტსმენის და პიროვნებისგან, როგორიც იყო ყველასათვის საყვარელი ადამიანი იმედო ფხაკაძე.

იმედო ფხაკაძე იმსახურებდა უდიდეს პატივისცემას და რიდს საზოგადოების ნებისმიერ სფეროში .

ის იყო ყოველთვის მომღიმარი და ლაპარაკობდა ძალიან დინჯად და დარბაისლურად, რითაც ხიბლავდა თითოეულ ადამიანს.

მისი კეთილშობილური და სიმპათიური გარეგნობა ერთდროულად სიყვარულს და სიამოვნებას უნერგავდა ყველა გარშემო მყოფ ადამიანს. როგორც სპორტსმენი, ის სული და გული იყო თავისი საყვარელი გუნდისათვის.

იმედო თავისი ხალასი იუმორით გამოირჩეოდა. ერთხელ ენამოსწრებულად ერთ-ერთი საუბრისას მითხრა, ჩვენ გვარებს შორის მხოლოდ ერთ ასოშია განსხვავებაო (ფხაკაძე – ფხალაძე), ამით ყველაფერზე მიმანიშნა.

ეს ასე ვთქვათ სარბიელს მიღმა, თორემ უამრავ წარმატებას წინ შეკრებებსა თუ ვარჯიშებზე ტონობით ოფლი უძღოდა. მაგალითად, ხალხთა სპარტაკიადის წინ ლესელიძეში გავდიოდით მზადებას (ლესელიძის სპორტული ბაზა მაშინ გახლდათ მთელი სპორტსმენების შემკრები, სპორტის სახეობას მნიშვნელობა არ ჰქონდა) - ძირითადათ გავდიოდით საერთო ფიზიკურ მომზადებას. სპეციალური ნორმატივების ჩაბარების შემდეგ საუკეთესო შედეგები ჯემალ ცერცვაძეს, იმედო ფხაკაძეს და თქვენს მონა მორჩილს გვქონდა.

56 წელი მომიწია გარდაცვალებამდე მასთან მეგობრობისა და ურთიერთობისა.

სხვების არ ვიცი და მე უდიდეს უსამართლობად მიმაჩნია, რომ ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ, საბჭოთა კავშირის ორგზისა და მსოფლიო სტუდენტური თამაშების ჩემპიონმა კარიერა მხოლოდ

გოჩა პაიჭაძე, იმედო ფხაკაძე, ჯემალ ცერცვაძე, თენგიზ გაზდელიანი, გიორგი შარაშიძე, ზაურ ფხალაძე.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებით დაასრულა. კიდევ კარგი, მოგვიანებით ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე ანპილოგოვის აღზრდა, აგრეთვე მწვრთნელის ამპლუაში საყვარელი „ბურე-ვესტნიკის“ წარმატებები (ბრინჯაო სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე და საკავშირო ჩემპიონატში) დაუფასეს და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს.

სხვათა შორის საამაყოა, რომ სახელოვანი ვეტერანის სახელს უკავშირდება დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის პირველი მიღწევაც – სწორედ მისი თავკაცობით მოიპოვა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ხელბურთის ფედერაციის გამოწვევის თასი – ჩელენჯ ტროფი. მოკლედ, ჩვენი ძვირფასი კოლეგა სიცოცხლის ბოლომდე ხელბურთით ცხოვრობდა და წლების განმავლობაში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მოღვაწეობდა.

ჩვენს იმედოს „ ღუტიას“ მძიმე სენი შეეყარა, რომელიც დღევანდლამდე უკურნებელია და საუბედუროდ იგი 2021 წელს გარდაიცვალა.

კარგი ადამიანები სიკვდილთან ერთად არ კვდებიან, ისინი სიცოცხლეს შემდგომაც აგრძელებენ. იმედო ფხაკაძე ყოველთვის ემახსოვრება ქართველ გულშემატკივრებს. დიდხანს, ძალიან დიდხანს მისი სახით ყველა ჩვენთაგანმა ხელბურთელმა, სპორტსმენებმა, სრულიად საქართველომ და ახლობლებმა დაკარგეს უაღრესად საპატივცემულო, კეთილშობილი ადამიანი, ქართული სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის მასშტაბები, როგორც ხელბურთელის გაცდენილი იყო ჩვენი ქვეყნის და ყოფილ სსრ კავშირის ფარგლებს.

იმედოს 2022 წლის 20 ნოემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა.

ნათელი და სანთელი შენ კვალს მართლაც იმედო !

ზაურ ფხალაძე

თანასკოლელები ვიყავით

მე და იმედო ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ჩვენ დამეგობრებას. ფიზკულტურაში გვყავდა გოგია ბასილაშვილი. როდესაც იმედომ ხელბურთი დაიწყო ვოვა არაქელოვთან, გოგია თავში ხელს ირტყამდა, საქართველომ ჭიდაობაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონი დაკარგაო.

ისევე, როგორც ყველა უბანში, ჩვენც ფეხბურთს ქუჩაში ვთამაშობდით. ღუტია მეკარე იყო, თავს არ ზოგავდა, წარმოუდგენელ ნახტომებს აკეთებდა ასფალტზე. ასევე ბრწყინვალედ თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, კალათბურთშიც გამოირჩეოდა. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ იგი თავიდან ბოლომდე სპორტსმენად იყო დაბადებული.

ნახალოვკაში ყველა ტრაბახობდა იმედოსთან ნაცნობობით. ჩვენთან ბევრი სასახელო სპორტსმენი გაიზარდა, მაგრამ მისი მსგავსი არც ერთი არ გახლდათ.

სპორტის სასახლეში „ბურევესტნიკის“ არც ერთ შეხვედრას არ ვაცდენდით. მთელი უბანი გულშემატკივრობდა გუნდს, რასაკვირველია, განსაკუთრებით თავის კერპს. პაექრობის შემდეგ კი, როგორც წესი, ერთ ქუჩაზე მცხოვრები ბიჭები ვიკრიბებოდით ხან ოჯახებში, ხან ეზოებში და იმედო ყოველთვის ჩვენთან იყო.

იმედო ფხაკაძის ავადმყოფობას ყველა ჩვენგანი ძალიან განიცდიდა. მისი გარდაცვალება კი ნამდვილი გლოვა გახლდათ. მთელი უბანი ცხარე ცრემლით ემშვიდობებოდა ძვირფას ადამიანს.

სანამ სული გვიდგას, ყოველთვის გვეხსომება ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი ღუტია.

ზაურ შავიშვილი

იმედო ფხაკაძე,
კობა მოხევიშვილი,
ზაურ შავიშვილი.

ჩვენი მეგობრობა ათწლეულებს ითვლიდა

ჩვენი დაახლოება დაიწყო 1966 წლის იანვრიდან, როდესაც რამოდენიმე „პერსპექტიულ“ ახალგაზრდა ხელბურთელს, ნება დაგვრთეს გვევარჯიშა თბილისის „ბურევესტნიკის“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად. ადვილი წარმოსადგენია თუ რანაირ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ჩვიდმეტი წლის ბიჭი, ასეთ გამოჩენილ სპორტსმენების გარემოცვაში და მითუმეტეს თვით იმედო ფხაკაძის პოტენციალურ დუბლიორის როლში. მას ხომ ამ დროისათვის, მიუხედავად თავისი ახალგაზრდა (24 წლის) ასაკისა, მოპოვებული ჰქონდა საბჭოთა ხელბურთელისათვის არსებული ყველა უმაღლესი ტიტული და მყარი ადგილი სსრკ ნაკრებში. ამიტომ, ყველა ვარჯიშზე გულმოდგინედ ვცდილობდი ჩემი თამაში მიმეახლოვებია

1968 წ. გაგრაში მეგობრებთან ერთად. იმედოს გვერდით პაპუნა პაიჭაძე და ჟოზი ლეჟავა.

იმედოს თამაშის სტილისათვის, ამისათვის კი, ყოველი ვარჯიშის შემდეგ, ვრჩებოდი დამოუკიდებლად სამუშაოდ. ერთ-ერთი ასეთი „თვითვარჯიშის“ დროს ჩემთან მოვიდა იმედო და მითხრა, რომ მომესინჯა მარცხენა კუთხეზე (იმ წლებში მარჯვენა კუთხეზე მარჯვენა ხელით თამაშობდნენ) თამაში, რათა „ევროპაში ზოგიერთები უკვე ასე თამაშობენო“. ეს შემოთავაზება ლიტონი სიტყვები რომ არ იყო, სულ მალე, მეორე

დღესვე დავრწმუნდი. როდესაც მან, ამ არნახული ტექნიკის, სადემონსტრაციო სურათებიანი რამდენიმე უცხოური სპორტული ჟურნალი გადმომცა. ამას არ დასჯერდა და კარგა ხანი მეხმარებოდა სპეციფიური მოძრაობების შესწავლა - დახვეწაში. ამ შემთხვევამ, არა მხოლოდ დაგვაახლოვა და რადიკალურად შეცვალა ჩემი თამაშის სტილი და ტექნიკა, არამედ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემი, როგორც ხელბურთელის პროფესიულ დაოსტატებასა და წინსვლაში.

ასე დაწვრილებით ჩვენი ურთიერთობის პირველი დღეების შესახებ მისთვის ვისაუბრე, რომ მათთვის, ვინც პირადად არ იცნობდა იმედოს, მეჩვენებია, თუ როგორი ადამიანური პოზიცია ჰქონდა ჩამოყალიბებული ამ ახალგაზრდა კაცს. რომ მისთვის, უპირველესი, ქართული სპორტის წარმატებაზე, მის მომავალზე ზრუნვა იყო.

იმედოს პატრიოტული და მოქალაქეობრივი პოზიცია უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სპორტსმენის წარმატებული კარიერის დასრულების შემდეგ. თავისი ცოდნის, ნიჭის და სახელის პატრონს შეეძლო ნებისმიერ სფეროში გაეგრძელებია წარმატებული საქმიანობა. მაგრამ სხვა უფრო „პერსპექტიულ“ თანამდებობებს ამჯობინა საქართველოს სპორტკომიტეტში ხელბურთის სახელმწიფო მწვრთნელის (თანამედროვეთათვის გასაგები რომ იყოს „საქართველოს ხელბურთის განმკარგულებელი“) თანამდებობა. სწორედ 1974 წლიდან დაუკავშირა მთელი თავისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობა ქართული და არაქართული (ის ხომ იორდანიის ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნიდა) ხელბურთის განვითარებას. სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობის წლებში შეძლო, საქართველოს თითქმის ყველა მხარეში (ხელბურთი, მანამდე მხოლოდ თბილისსა, ფოთსა და ბათუმში იყო განვითარებული), შეექმნა ბავშვთა სექციები. ამავე პერიოდში საქართველოს მეორე გუნდები („განთიადი“ „ლოკომოტივი“) ჩაერთნენ სსრკ ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში. სპორტკომიტეტში რამოდენიმე წელი საქმიანობის შემდეგ, ჩემი ღრმა რწმენით, დაიწყო იმედოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სწორედ მაშინ იტვირთა ბავშვთა სპორტის ადმინისტრირება. მისი, საქართველოს .განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მკვეთრად იმატა რაიონული სპორტსკოლების საქმიანობის ხარისხმა და სპორტში ჩართული ბავშვების რაოდენობამ. გაიზარდა მოსწავლეთა სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს წარმომადგენლობა. იმედოს არც ხანდაზმულ ასაკში გაუწყვეტია ბავშვთა და მოზარდთა სპორტთან ურთიერთობა. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში კურირებდა ამ

ასაკობრივი ჯგუფის, გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის მზადებასა და მონაწილეობას.

მე მიზანმიმართულად გავიხსენე იმედოს ცხოვრების მხოლოდ ეს უკეთილშობილესი ნაწილი, რათა მსურს, რომ იგი ჯეროვნად ყოფილიყო გაშუქებული. ამავდროულად დარწმუნებული ვარ, რომ მისი, როგორც სპორტსმენისა და მწვრთნელის მიღწევები, ამ კრებულში შესული მოგონებების უდიდესი ნაწილი საკმაოდ მრავალწახნაგოვნად იქნება წარმოჩენილი.

გივი შარანგია

ლეგენდა - იმედო ფხაკაძე

ქართულ სპორტში ასე ხდებოდა ხოლმე: უცბად გაჩნდებოდა ინტერესი უცხოეთში უკვე კარგად განვითარებულ სპორტის სახეობაზე. მთავარი ის იყო, ნებას დაგრთავდნენ თუ არა „ქვეყნის სადარაჯოზე მყოფნი“. წლები მიჰქონდა ამ ნებართვას. მოვიდოდა მერე თანხმობა (ყველაფერზე – არა) და იწყებოდა ენთუზიაზმზე აგებული შრომა და თავდადება. ახალ სახეობებში ქართველებს ვერავინ ჯობნიდა. სპორტის სახეობის დამკვიდრების პირველ ათწლეულში, კალათბურთი იყო ეს, წყალბურთი, რაგბი თუ ხელბურთი, ქართველები სულ კვარცხლბეკის მაღალ საფეხურებზე იდგნენ. კაშკაშა ვარსკვლავებიც უცბად „დაიყრებოდნენ“ ხოლმე: ნიჭიერებით მადლმოსილები, ვაჟკაცები, ძლიერები, ლამაზები...

სიამაყე ჩნდებოდა ერში, საკუთარი ძალის რწმენა და შრომის სურვილი. არავის ეპუებოდნენ ჩვენი გუნდები და სპორტსმენები: მარტო ჩემპიონობა ფასდებოდა, მეორე და მესამე ადგილს სერიოზულად არც უყურებდნენ.

ხელბურთის შემოსვლამაც დიდი ხმაური გამოიწვია. უცბად გამოჩნდნენ მსოფლიო დონის მოთამაშეები: ჯემალ ცერცვაძე, ანზორ ექსეულიძე (კექსიკა), თამაზ ანთაძე (ფარჩო), ჯანო ბაგრატიონი და წარმატებებიც თითქოსდა უცბად მოვიდა. იმედო ფხაკაძე მათ შორის გამორჩეული იყო. საშუალო სიმაღლის, კარგად აგებული, სწრაფი, ტექნიკური და ავაზასავით მოქნილი. ის გულშემატკივარს განსაკუთრებით უყვარდა იმიტომ, რომ მათგან გაღმერთებულ ფეხბურთელებს: მიშა მესხსა და სლავა მეტრეველს აგონებდა. ისიც ის გარემარბი იყო, მოწინააღმდეგის დაცვას თავგზას რომ უბნევდა, ყველაზე საჭირო დროს შეჰქონდა გარდატეხა თამაშში და თევზივით გამსხლტარს ულამაზესი გოლები გაჰქონდა.

თვითონაც კაცურად ლამაზი იყო და გოგოები მის სანახავად დადიოდნენ ხოლმე სპორტის სასახლეში.

თავმდაბალი კაცი იყო იმედო ფხაკაძე, მომხიბლავი, მორიდებული ღიმილი ჰქონდა. დიდი სპორტსმენი იყო, კაცურად იცხოვრა და ასევე უჩუმრად წავიდა.

ლეგენდა კი დატოვა. ლეგენდა ნიჭიერ, ვაჟკაც, დახვეწილ ქართველ კაცზე.

რამაზ შენგელია

ცხოვრება ხელბურთში
(ინტერვიუ იმედო ფხაკაძესთან)

ქართველ ხელბურთელთა პირველი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმედო ფხაკაძე 75 წლის გახდა. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი თბილისის „ბურევსტნიკის“ შემადგენლობაში, მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიო ორი ჩეპიონატის მონაწილე თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი იყო, მოთამაშის კარიერის დასრულებისთანავე „ბურევესტნიკის“ მწვრთნელი გახდა და ოლიმპიური ჩემპიონი, ალექსანდრე ანპილოგოვი დააოსტატა. 2012 წლიდან იმედო ფხაკაძე საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

ბაკურიანი.
თამაზ ანთაძესთან ერთად

– ხელბურთელობამდე ვჭიდაობდი, თავისუფალი სტილით. სადღაც, 16-17 წლამდე, ასაკობრივ ტურნირებზე გარკვეული წარმატებები მქონდა. ხელბურთელი იმის წყალობით გავხდი, რომ თბილისის მეათე საშუალო სკოლაში ჩემთან ერთად საქართველოს ხელბურთელთა ჭაბუკთა ნაკრების წევრები სწავლობდნენ, ჩემი მეგობრები. მეც ვსინჯე და როდესაც 1960 წელს ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკებში, „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ მაშინათვე ამიყვანა.

ხელბურთი მაშინ ახალი სახეობა იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი პირველად 1962 წელს გაიმართა, იქამდე გაიხსნა თბილისის სპორტის სასახლე, პირველი სპორტული შეჯიბრი კი ახალ არენაზე იყო საქართველო-უნგრეთის მატჩი 1961 წლის 19 მაისს, რომელიც ჩვენ მოვიგეთ 17-15, მეორე დღეს კი იგივე მეტოქე 14-13 დავამარცხეთ. ამ ორ მატჩში, რომელსაც 10-10 ათასი მაყურებელი დაესწრო და ამისი დამადასტურებელი ვიდეოფირიც არსებობს, მე არ მითამაშია, მაგრამ უკვე ნოემბერში, როდესაც ორჯერ დავამარცხეთ დანიის ნაკრები (ორივეჯერ 20-13), უკვე „ბურევესტნიკის“ ხელბურთელი ვიყავი.

ცაცია არა ვარ, მაგრამ რატომღაც მარჯვენა კუთხიდან უფრო მეხერხებოდა შეტევა, ჩვენი ცაცია, ლერი კარტოზია კი პირიქით, მარცხენა გარემარბი იყო. ამის გამო ისიც უკითხავთ: ალბათ, მაგ დროს ეგრე იყო მიღებული ხელბურთშიო, მაგრამ არა: მაშინაც ისე, იყო, როგორც ახლაა – ცაცია მისთვის უფრო მოსახერხებელ, მარჯვენა კუთხეში იდგა და მემარჯვენე – მარცხენაში. ერთადერთი, ჩეხეთის ნაკრების

ზურაბ კაკაბაძე, იმედო ფხაკაძე.

მარჯვენა გარემარბი მახსენდება, რომელიც ცაცია არ იყო. მეც ასე უფრო მეხერხებოდა და ბოლომდე მარჯვენა კუთხიდან ვთამაშობდი.

1962 წელს გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი, რომელიც წაუგებლად ჩავამთავრეთ – ოთხი მოგება და სამი ფრე, თუმცა, ჩემპიონობა გავინაღდეთ სულ ბოლო თამაშის შემდეგ – კაუნასის „სპორტჰალეში“, მასპინძელთა გუნდთან, რომელიც მოგების შემთხვევაში თავად ხდებოდა ჩემპიონი, ჩვენ კი ფრეც გვყოფნიდა და 17-17 ვითამაშეთ. 1963 წელს მესამე ადგილი დავიკავეთ, 1964 წელს კი მეორედ გავხდით ჩემპიონები. ბოლო ტურის წინ აქაც წაუგებლები ვიყავით (9 მოგება და 1 ფრე), მაგრამ ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ ერთი ქულით ჩამოგვრჩებოდა და ბოლო მატჩიც მათთან გვქონდა – 25-17 მოვუგეთ.

ამავე წლებში, როგორც საქართველოს ნაკრებმა, თბილისის სპორტის სასახლეში ორიდან ერთი მატჩი მოვუგეთ მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონს, რუმინეთს (15-14, 13-15) და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, შვედეთის ნაკრებს (27-24, 13-13). იმ წლებში, ჩვენს მატჩებზე, სპორტის სასახლე ყოველთვის სავსე იყო.

მწვრთნელ გიორგი შარაშიძეს მართლაც უძლიერესი გუნდი ჰყავდა: ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ილია შელეგია, არტურ რატიანიძე, ალექსანდრე ხუციშვილი...

რა თქმა უნდა, ჯემალ ცერცვაძე ჩვენს შორის გამორჩეული იყო. ახალგაზრდებს რამდენჯერმე უკითხავთ ჩემთვის: მართლა ასეთი მაგარი იყო ცერცვაძეო? კი, მართლა ძალიან მაგარი იყო! და მარტო თავისი დროის კი არა, მიმაჩნია, რომ მსოფლიო ხელბურთის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია. მერე, როდესაც ცერცვაძემ კარიერა დაასრულა, რამდენჯერმე შევსწრებივარ, როგორი დიდი პატივით ხვდებოდნენ მას უცხოელები და შორს რომ არ წავიდეთ, აგერ, წლეულს, თბილისში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსულმა ჰასან მუსტაფამ, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ჩამოსვლისთანავე ჯემალ ცერცვაძე ახსენა და მასთან შეხვედრა ითხოვა. ძველი მეგობრები არიან, ჰასანი ეგვიპტის ნაკრებში თამაშობდა იმ დროს და აქაური მსოფლიო ჩემპიონატის დაჯილდოების ცერემონიალიც ერთად ჩაატარეს. დოქტორი მუსტაფა თან ახალგაზრდა მოთამაშეებს აცნობდა თავის მეგობარს – თქვენ იცით, ეს კაცი ვინაა, ვინც მედალი ჩამოგკიდათო?

გიორგი შარაშიძე იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელიც 1964 და 1967 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე. 1964 წელს მე რაღაცის გამო დისკვალიფიკაცია მქონდა, ნაკრებში ცერცვაძე, მეკარე აბაიშვილი და ექსეულიძე მოხვდნენ, 1967 წელს მე და ჯემალმა ვითამაშეთ, 1970 წლის ტურნირზე კი ქართველებიდან მარტო მე ვიყავი. 1968 წელს მეკარე ალექსანდრე ხუციშვილთან ერთად მსოფლიო სტუდენტური ჩემპიონატი მოვიგე.

1964 წლის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში კონკურენცია ძალიან გაიზარდა. რუსებმა პირველი სამი ჩემპიონატი როგორღაც გაატარეს – ორჯერ ჩვენ მოვიგეთ ტიტული და ერთხელ ლიტველებმა, მაგრამ სამოციანი წლების მეორე ნახევარში ხელბურთი უკვე შეიტანეს 1972 წლის ოლიმპიადის პროგრამაში და მოსკოვს უკვე ორი ძალიან სერიოზული კლუბი ჰყავდა – ცსკა და მაი. მათ კარგა ხანია აღარ დაუთმიათ პირველობა, ოთხმოციან წლებამდე, როცა უკვე მინსკის გუნდი გახდა ჩემპიონი, თუმცა, „ქარიშხალამ“ ამ კონკურენციაში ზედიზედ სამჯერ (1965, 66, 67) მოიპოვა ვერცხლის მედლები, შემდეგ კი, თაობათა ცვლაც დაგვეწყო.

?, ჟოზი ლეჟავა, ბიძინა ჯღარკავა, იმედო ფხაკაძე, ომარ ქორქია.

1972 წელს, მიუნჰენში, ხელბურთი პირველად იყო ოლიმპიადაზე, და, სამწუხაროდ, უქართველებოდ. ამ დროს ნაკრების მწვრთნელი უკვე იყო ანატოლი ევტუშენკო. მე სულ 30 წლის ვიყავი და მგონია, რომ ამ ოლიმპიადისთვის ნაკრებში ადგილს ვიმსახურებდი, მაგრამ მწვრთნელმა სხვაგვარად გადაწყვიტა. სსრკ ნაკრებმა მიუნჰენში მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, მე კი, განაწყენებულს, ხელბურთიდან წასვლა მინდოდა, თუმცა, „ბურევესტნიკის“ ახალი მწვრთნელი ჰყავდა, ჩემი მეგობარი ჯანო ბაგრატიონი და მისი ხათრით, კიდევ ორი სეზონი ვითამაშე.

სწორედ ამ პერიოდში გარი მაჭავარიანმა მოიყვანა გუნდში ახალგაზრდა ალექსანდრე ანპილოგოვი, რომლის საჭირო ფიზიკურ კონდიციებში მოსაყვანად, ბევრი შრომა დაიხარჯა. 1974 წლიდან უკვე „ბურევესტნიკის“ მთავარი მწვრთნელი ვიყავი, 1975 წელს მესამე ადგილი დავიკავეთ სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე, ანპილოგოვი კი, 22 წლისა, 1976 წლის ოლიმპიადაზე მოხვდა და ფინალში, რუმინეთთან ორი უმნიშვნელოვანესი გოლიც გაიტანა მეორე ტაიმში. ამის შემდეგ ის კარგა ხანი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების

ლიდერი, გახდა მსოფლიო ჩემპიონიც. ის უკვე ახალი ტიპის მოთამაშე იყო და სწორედ მისი გამოჩენის შემდეგ გაჩნდა ხელბურთში ორ მეტრზე მაღალი მოთამაშეების დაწინაურების ტენდენცია.

„ბურევესტნიკში“ ორი სეზონი ვიყავი, შემდეგ კი გუნდი გადაიბარა ჩემმა კიდევ ერთმა თანაგუნდელმა გარი მაჭავარიანმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის მედლები, მოიგო საბჭოთა კავშირის თასის პირველი გათამაშება 1978 წელს და რამდენჯერმე ახლოს იყო ჩემპიონობასთანაც.

მე, რა თქმა უნდა, ხელბურთში დავრჩი და თითქმის მთელი ცხოვრება აქ ვარ. ჯერ ვიყავი ე.წ. სახელმწიფო მწვრთნელი, 1976 წელს რამდენიმე თვით მიმავლინეს იორდანიაში, ამ ქვეყნის ნაკრებმა კი პირველად, ყველა სათამაშო სახეობაში, არაბულ თამაშებზე მესამე ადგილი დაიკავა. შემდეგ ორი წლით აფრიკაში, მალიში მიმავლინეს, მაგრამ მაინცდამაინც დიდი პერსპექტივა ვერ შევატყვე ამ ქვეყნის ხელბურთს და შევეშვი. ჩემი სპეციალობით, ეკონომისტად ვმუშაობდი სპორტის სამინისტროში, 1994 წლიდან ვიყავი განათლების სამინისტროს სპორტსკოლის დირექტორი, 2007-08 წლის იანვარში ცოტა ხნით ვიყავი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებისა, რომელმაც ჩელენჯ ტროფი მოიპოვა, 2012 წლიდან კი ზურაბ კაკაბაძემ ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობა შემომთავაზა.

ბოლოს შევეცდები, რომ ქართული ხელბურთის მომავალზე და პერსპექტივაზე ვისაუბრო. ქართველებს ზოგადად მოგვდგამს სათამაშო სახეობების ნიჭი, ეს ცნობილი ამბავია. დიდ ტრადიციებზე, ტიტულებზე და მსოფლიო ხელბურთის ქართველ ვარსკვლავებზე უკვე ვისაუბრე. რამდენიმე შესანიშნავი მოთამაშე და ძალიან რიგიანი ნაკრები გვყავდა უკვე დამოუკიდებლობის პერიოდში, 90-იან წლებში. ორიათასიან წლებში უკვე ჩავარდნა დაგვეწყო, რაც იმით იყო განპირობებული, თუ, რა ხდებოდა ქვეყანაში და, ზოგადად სპორტში, 90-იან წლებში. და იმ უმძიმესი პირობების მიუხედავად აქ მაინც გაიზარდა რამდენიმე საერთაშორისო დონის ხელბურთელი, რომლებიც უკვე ვეტერანები არიან. ფედერაციაში გადავწყვიტეთ, რომ აქცენტი მომავალზე ავიღოთ და მთელი ყურადღება გადავიტანეთ ახალგაზრდა თაობებზე. მათ არ გამოუტოვებიათ არც ერთი ოფიციალური ტურნირი, შინაურ არენაზე ითამაშეს ახალგაზრდული ოლიმპიადა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, მიიღეს უდიდესი გამოცდილება. სპორტული თვალსაზრისით, დიდი შედეგი არ გვქონია, მაგრამ ეს კი არაა ასაკობრივი ნაკრებების მთავარი ამოცანა, არამედ ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების გაზრდა. 2017 წლის ბოლოსთვის საინტერესო ვითარება შეიქმნა: ერთი ჭაბუკი მოთამაშე ფრანგულმა კლუბმა აიყვანა, ორი დანიაში წავიდა, ერთი – ესპანეთში და კიდევ გვყავს რამდენიმე ძალიან პერსპექტიული ხელბურთელი. ანუ უკვე ჩვენი მუშაობის შედეგიც გამოჩნდა, ჯერჯერობით ამ სახით. თუ ასე გაგრძელდა და ხელბურთში თუ რამე დამეჯერება, ეს ორ-სამ წელიწადში აუცილებლად აისახება ჩვენი ეროვნული ნაკრებების შედეგებზეც.

მამუკა ჩიხლაძე

ამ ქვეყნის არ იყო

იმედო ფხაკაძე, ეს უდიდესი სპორტსმენი, უკეთილშობილესი პიროვნება გახლდათ, რომელიც შემკული იყო ყველა კარგი თვისებით. თუ ვინმეს უჭირდა, ყოველთვის უწვდიდა დახმარების ხელს, მუდამ ახსოვდა გარდაცვლილი მეგობრების ოჯახები.

იმედო შესახედაობითაც ძალიან ლამაზი იყო, ყველას უყვარდა, განსაკუთრებით გოგონებს, ისინი მასში შეყვარებულები იყვნენ. ადამიანები მის სახელს ყოველთვის ღიმილით ახსენებდნენ, რადგან თვითონ იყო მუდამ მომღიმარი, ხალისიანი. მას არასოდეს არავისზე აუგი არ წამოცდებოდა. მოკლედ, საოცარი ადამიანი იყო, ხშირად მითქვამს მისთვის - იმედო, შენ მიწიერი არ ხარ-თქო.

ჯულიეტა ჩიხლაძე

P.S. როდესაც ამ უაღრესად დარბაისელ ქალბატონს ვესტუმრე ოჯახში, იმედოს დიდი ფოტო დავინახე, მასთან საუბრისას კი მივხვდი, რომ ქალბატონმა ჯულიეტამ იმედოს სახით დიდი, ერთგული მეგობარი დაკარგა.

იმედოს ვალს ვერასოდეს გადავიხდით

იმედო ქეთინო ცოტაძესთან ერთად

იმედო და მე ალალი ბიძაშვილ- მამიდაშვილები ვიყავით, ჩვენ შორის ძალიან თბილი ურთიერთობა იყო. იგი ჩემთვის მეორე მამა გახლდათ. ძალიან დიდ პატივს სცემდა ჩვენ ოჯახს - მამაჩემს, თავის ბიძას (რომელიც ინჟინერი გახლდათ), ყოველთვის რჩევას ეკითხებოდა, თუმცა დედაჩემის მიმართ ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა.

1956 წელს, დედა რომ მოუყვანიათ რძლად, მათ შორის ასაკში განსხვავება 6 წელი იყო. იმედო მას ყველაფერს უჯერებდა და ეს პატივისცემა ბოლომდე გაჰყვა.

სანათესაოს, განსაკუთრებით ჩვენი ოჯახის მიმართ ღუტიას დამოკიდებულება განსაკუთრებული გახლდათ. ძალიან გვეხმარებოდა ყველაფერში.

1987 წელს დედაჩემი დიაბეტის გამო სერიოზულად გაგვიხდა ავად. გვირჩიეს მოსკოვში წაყვანა, იქ ვიღაც ჰომეოპათი წამლებს ამზადებდა, თუმცა ფინანსური პრობლემის გამო ეს გამორიცხული იყო. როდესაც იმედომ გაიგო, იმ დღესვე მოაგვარა პრობლემა, აუღო მატარებლის ბილეთები ცოლ-ქმარს და გაამგზავრა. მოსკოვში მკურნალობა შედეგიანი აღმოჩნდა. იმედომ ისიც მოაგვარა, რომ მთელი ერთი წელი იქედან აგზავნიდნენ საჭირო წამლებს. ჩვენ ოჯახს მისი ეს საქციელი მთელი ცხოვრება გვახსოვს.

იმედოს მშობლებისათვის ფული არასოდეს უთხოვია, ბევრჯერ უთქვამს, პატარა რომ ვიყავი, თვითონ გამოვიმუშავებდიო საჭირო თანხას. თავის დედაზე, ქალბატონ თინაზე ჭკუა ეკეტებოდა. მისი სიტყვა იმედოსათვის იყო კანონი, მოსწონდა ეს მას თუ არა.

საინტერესოა, როგორ ჩუქნიდა დედამისს გარკვეულ თანხას. მაგალითად, ჩადებდა ფულს გასარეცხ პერანგში ან შარვალში. დედა კი როგორც წესი, ჯიბეებს სინჯავდა და წამოიძახებდა, უი, ეს ვიპოვე, ღუტიას პასუხი მზად ჰქონდა - შენი იყოს, დედაო.

ღუტია ბავშვობაში ჭადრაკს ბრწყინვალედ თამაშობდა, თუმცა, როდესაც გაიგეს, რომ სკოლაში ცუდად სწავლობდა, წრის მეცადინეობებიდან გამოუშვეს.

როდესაც მისი მშობლები გარდაიცვალნენ, ჩვენ არ გვაწუხებდა ხოლმე, თუმცა ხანდახან სადილზე უარს არ გვეუბნებოდა, რაც ძალიან გვახარებდა.

იმედოს ცხოვრების ბოლო პერიოდის გახსენება ჟრუანტელს მგვრის. ჩვენ ვცდილობდით ყველაფერი გაგვეკეთებინა ადამიანისათვის, რომელმაც იმდენი სიკეთე გააკეთა ნათესაობისათვის (და არა მარტო ჩვენთვის), რომ მის ვალს ვერასოდეს გადავიხდით.

ქეთევან ცოტაძე

60 წელზე მეტი ხანი ემსახურა ქართულ სპორტს

არიან გამორჩეული სპორტსმენები, რომელთა საქმიანობა ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიურობას სცილდება და თაობიდან თაობას გადაეცემა. ისინი ხალხში ლეგენდებად რჩებიან. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ქართული ხელბურთის ერთ-ერთი ლეგენდა იმედო ფხაკაძე.

მეამაყება რომ ახლოს ვიცნობდი და ძალიან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება მქონდა მასთან. ის იყო იმ სახელბურთო კლუბის, თბილისის „ბურევესტნიკის", ძირითადი შემადგენლობის წევრი, რომელმაც საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. იმ წლებში მართლაც შეუდარებელი იყო ჩვენი გუნდი. პირველ ჩემპიონობას მეორე მოჰყვა (1964 წ), შემდეგ 1965-1967 წლებში ვერცხლისა და 1963 წელს ბრინჯაოს მედლები. იმედო ფხაკაძემ სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ორ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა, ხოლო სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა. იგი სსრკ ნაკრებში 1965-1973 წლებში თამაშობდა და ოფიციალურ ტურნირებზე 68 მატჩში 193 გოლი გაიტანა.

არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი სპორტული კარიერა, რომელიც ჭიდაობით დაიწყო და ჭაბუკთა ტურნირებზე არაერთ წარმატებას მიაღწია, მაგრამ საქართველოს ჭაბუკ ხელბურთელთა ნაკრების წევრებმა, რომლებიც თბილისის მეათე საშუალო სკოლაში მასთან ერთად სწავლობდნენ, გადააწყვეტინა მას პროფილის შეცვლა. აქტიური ხელბურთიდან წასვლის შემდეგ ის თბილისის „ბურევესტნიკის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მისი ხელმძღვანელობით გუნდმა საბჭოთა კავშირის ხალხთა 1975 წლის სპარტაკიადასა და 1977 წლის საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილები დაიკავა. ავარჯიშებდა იორდანიის, მალისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს. მისი მწვრთნელობისას ჩვენმა ნაკრებმა 2008 წელს ევროპის ხელბურთის ფედერაციის გამოწვევის თასი (ჩელენჯ ტროფი) მოიგო. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 2012 წლიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მიუხედავად იმისა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1972წ), გადაწყვიტა ესწავლა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. შევეკითხე - შენ ესეთი წარმატებული მწვრთნელი ხარ და ამ „სიბერეში" რატომ გადაწყვიტე სწავლა, რაზეც მიპასუხა - „სწავლა სიბერემდეო, სპორტი ისეთი დარგია, რომ დღენიადაგ უნდა იზრუნო საკუთარი ცოდნის ამაღლებაზეო და რადგან ჩემი ცხოვრება მთლიანად დავუკავშირე ამ სფეროს, მინდა უფრო სიღრმისეულად ჩავწვდე სპორტულ-პედაგოგიური, მედიკო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მომზადების ნიუანსებსო".

იმედო ფხაკაძე 60 წელზე მეტი ხანი ემსახურა ქართულ სპორტს.

ძალზე დასანანია წარსულ დროში მასზე ლაპარაკი, მაგრამ უფალმა ასე ინება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გურამ ძაგანია

ფოტო გადაღებულია ბათუმში სამოციან წლებში. ყველანი იმედო ფხაკაძის მეგობრები და კოლეგები იყვნენ.
ალიკ ერმოლოვი, თამაზ ალადაშვილი, ნუგზარ მეფარიძე, გურამ ჯერვალიძე, ლერი შატბერაშვილი;
დგანან: კოტე ხატისკაცი, გურამ მუჩაიძე, ბიძინა ჯღარკავა, გივი ინჯია, ომარ ქორქია.

მფრინავი ტორპედო

იმედო ფხაკაძე სახელოვან წარმატებულ თბილისის ხელბურთელთა გუნდ - „ბურევესტნიკში“ ჭიდაობიდან მოვიდა. გუნდის შემადგენლობაში ხანგრძლივი (ბოლომდე) ყოფნის დროით მან წონადი წვლილი შეიტანა მის წინსვლაში. იმედოს ამპლუა მარჯვენა კუთხის საიმედო, პროდუქტიული დაცვა და ლამაზი გოლების გატანა იყო! „მფრინავი ტორპედო“ - იყო მისი შეფასების ეპითეტი ხშირად... ცენტრიდან ჩაწოდებული ცერცვაძისა და ექსეულიძის მარჯვე პასების დამაგვირგვინებელი იყო იმედო-გოლეადორი! იგი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრიც იყო.

დასანანია, რომ იმედომ მძიმე დიაგნოზის გამო სულ ახლახანს გადაინაცვლა მოგონებათა სავანეში. მისი სახელი „იმედო“ – (იმედი) იყო გამართლებული სინონიმი საქართველოს ხელბურთის ზენიტში მყოფი გუნდის ისტორიაში...

ზურაბ კაკაბაძე, ჯემალ ცერცვაძე, იმედო ფხაკაძე ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად

საბედნიეროდ გუნდთან ერთად მეც, ჩემს მეუღლე ჯემალ ცერცვაძესთან ერთად ხშირად მქონდა შანსი მათთან თანამგზავრობისა სსრკ მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებში, სადაც ტარდებოდა ხოლმე ტურნირები და პაექრობები ხელბურთში - მოსკოვი, ლენინგრადი (სანკტ-პეტერბურგი), კიევი, ბაქო, ერევანი, ვილნიუსი, კაუნასი თუ კიდევ სხვა. ზაფხულობით კი ჩვენს მშვენიერ - ნანატრ აფხაზეთში შავიზღვისპირა დაბა ლესელიძეში კეთილმოწყობილ (მაშინდელი პარამეტრებით) სპორტულ-დასასვენებელ საკავშირო ბაზაში ოჯახებით ვისვენებდით ხოლმე!..

სანდრო გლურჯიძე, ჯემალ ცერცვაძე.

მინდა იმედოსთან ერთად კეთილი მოგონებებით, მადლიერებით მოვიხსენიო დღეს ჩვენს გვერდით არმყოფი ვარსკვლავური გუნდის საყოველთაო სახალხო სიყვარულით მადლმოსილი ხელბურთელები - სახელოვანი მწვრთნელის გალანტური ინტელიგენტის ბატონ გიორგი (გოგა) შარაშიძის თავკაცობით, ჩემი მეუღლე ჯემალ ცერცვაძე - ხელბურთის „მეფედ“ წოდებული „ხელბურთის ჯადოქარი“; ცენტრალური ხაზის უბადლო დაცვა - ანზორ (კექსიკა) ექსეულიძე; ჯემალ აბაიშვილი - ლეგენდა გოლკიპერი; მარცხენა კუთხის დამცველი და შემტევი - ლერი კარტოზია; ღირსეული ერუდიტი პიროვნება გუნდის კაპიტანი თამაზ (ფარჩო) ანთაძე...

P.S. ბოლოს გამახსენდა საინტერესო-სალაღობო ერთი დეტალი იმედოსთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა ჩვენი ოსტატ-ხელბურთელთა გუნდი წარმატებების ზენიტში იყო არა მხოლოდ სსრკ მასშტაბით, არამედ ევროპულ მერიდიანებზეც, გუნდის ლეგენდარულმა მეკარე ჯემალ აბაიშვილმა არა ერთი მეგობრული შარჟი მიუძღვნა გუნდის პირად შემადგენლობას. მათ შორის, რასაკვირველია, - იმედოსაც - და იგი (შარჟი) მოიცავს შემდეგ შინაარს: (მაშინ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ შემოჭრილი ე.წ. „ანგლომანია“) - ავტორი მახვილგონივრულად და მიზნებულად გამოხატავს იმედოს გატაცებებს - მარჯვენა ხელში უჭირავს განუყრელი ხელბურთის ბურთი და მარცხნივ ინგლისურ-ქართული ლექსიკონებისა და სასაუბროების გარემოცვაშია ჩვენი იმედო.

გუგული ხვიტია-ცერცვაძე

ღრსეული კაცი

იმედო ფხაკაძე ამ 60 წლის წინ შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში. იმდროინდელი ნახალოვკელი ყმაწვილების ცხოვრებაში სპორტს გამორჩეული ადგილი ჰქონდა. ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. ერთი ის, რომ მეათე სკოლის გადმოღმა „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსი იყო და შეგვეძლო, სხვადასხვა სახეობაში გამართული ასპარეზობებისთვის უსასრულოდ გვედევნებინა თვალი. მეორეც, 1960 წლიდან, ქართულ სპორტში აღმავლობის ახალი ტალღა წამოვიდა: რომის ოლიმპიურ თამაშებზე რობერტ შავლაყაძემ ოქროს მედალი მოიპოვა და უშანსოდ დატოვა სიმაღლეზე მხტომელი ამერიკელი ფავორიტები. ავთანდილ ქორიძემ კლასიკურ ჭიდაობაში მოპოვებული ოლიმპიური ოქროთი გაგვახარა. იმავე წელს, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის პირველი ჩემპიონატი მოიგო და ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმა. 1962 წელს კი საგულშემატკივრო ხელბურთი და ამ თამაშის პიონერი თბილისის „ბურევესტნიკი“ გახდა. აკი გაგვახარეს კიდეც ჩვენმა ბიჭებმა - საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი მოიგეს და უშანსოდ დატოვეს ამბიციური მოსკოველი ხელბურთელები. ჩვენებმა ამის შემდეგ ზედიზედ მოიპოვეს ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის მედლები. ამ დიდ წარმატებას, ამ დიდ სიხარულს გულშემატკივრისთვის ქმნიდა ერთმუშტად შეკრული გუნდი და გუნდის გამორჩეული ლიდერი იმედო ფხაკაძე.

ამ ღირსეული კაცის წარმატებებზე ბევრი თქმულა და კვლავაც ითქმება. მასთან დაკავშირებული სტატისტიკაც იოლი მოსაძიებელია. აი, იმედოს ადამიანურ თვისებებს რაც შეეხება, აქ უკვე მეგობრების მოსმენა იქნება საჭირო. მე კი ვიტყვი, რომ იმედოს უბნელი, მომდევნო თაობის ახალგაზრდებისთვის ის იყო კუმირი, ღირსებისა და ვაჟკაცობის განსახიერება. ღვთისაგან საოცრად ლამაზად შენივთებული ფიზიკური და სულიერი სილამაზე, რომლითაც შემკული იყო იმედო, გულგრილს ვერ დაგტოვებდა. ყოველთვის გქონდა სურვილი, ყოფილიყავი მის წრეში, მოგესმინა მისგან მოყოლილი საინტერესო ისტორიები და გაგეხარა იმით, რომ თვით დიდი იმედო ფხაკაძის, ძალიან დიდი და საამაყო კაცის გვერდით იყავი. სამწუხარო იყო მისი გარდაცვალება. სანუგეშო კი ის არის, რომ იმედოს უკვდავმა სულმა მართალთა შორის დაივანა და საქართველოსთვის მლოცველთა დიდ დასს შეუერთდა...

2018 წლის 21 დეკემბერი. ბესიკ ლიპარტელიანი, იმედო ფხაკაძე, კახა ჭუმბურიძე.

იმედოს გარდაცვალების დღეს სპორტულმა ჟურნალისტმა **ილია ბაბუნაშვილმა** მას მიუძღვნა ბლოგი, რომელსაც წარმოგიდგენთ ...

დიდი ვარსკვლავის გარდაცვალება

ნაძალადევი ნაძალადევი სიტყვაა. მე მაინც ნახალოვკა მგონია მართალი, რადგან უბანი ასეთი სახელით ოდესღაც რუსეთის იმპერიის ბევრ ქალაქში ერთდროულად გაჩნდა. ჰოდა, იდგა ნახალოვკაში, თავის ქუჩაზე, ბოივასო – უბნის კოლორიტი. ორმა გამოიარა, ბირჟამ თვალი გააყოლა ჩამვლელებს. ბიჭებმა ჰკითხეს, ვასო, ხომ არ იცი, ესენი ვინ იყვნენო. ერთი არ ვიცი და მეორე ვერ ვიცანიო, უპასუხა ვასომ.

ქართული ხელბურთის ლეგენდა, იმედო ფხაკაძე 78 წლისა გარდაიცვალა. უკურნებელ სენს არ ეპუებოდა. ბოლომდე იმ ეზოში ცხოვრობდა სადაც დაიბადა, ნახალოვკაში. თავიდან, თავისუფალ ჭიდაობაზე დადიოდა და მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა ის დღე, როდესაც უფროსმა ბიჭებმა, ბოივასოს დოსტებმა უთხრეს, დღეს ავჭალაში ჩხუბი გვაქვს, ხომ არ წამოხვალო. ესე იგი, ენდობოდნენ. თან, ძალა ერჩოდა.

მას მერე, მთელი ცხოვრება ასე გაიარა — ენდობოდნენ. მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე იყო. იმხელა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ერთმა ჩინოვნიკმა რომ იკითხა, ფხაკაძე რად გვინდა, რუსი ბიჭები რა, არ გვყავსო, მეორემ უპასუხა, ეგ აუცილებლად უნდა იყოს, იმიტომ, რომ „ბაეციაო“.

1964 წ. თბილისის „ბურევესტნიკის“ ტურნე ჩეხოსლოვაკიაში. ერთ-ერთი საერთაშორისო შეხვედრის დაწყების წინ.

თავისებურება ჰქონდა ერთი: მარჯვენა „კუთხე“ იყო, მაგრამ მარჯვენა ხელით თამაშობდა. წარმოიდგინეთ, ხომ? მარჯვენა გარემარბი რომ ხარ და მახვილი კუთხიდან უტევ, კარში დარტყმა მარცხენა ხელით უფრო ლოგიკურია, იმედო ფხაკაძე კი მემარჯვენე იყო. ამიტომ, ნაკრებში თამაშს სხვას აწყებინებდნენ, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ ის შეჰყავდათ და მორჩა, მერე ბოლომდე ტოვებდნენ მოედანზე.

ღონე ერჩოდა-მეთქი. ყოფილა, მოწინააღმდეგე ზურგზე შეხტომია, ის კი თან კაცს მიათრევდა და თან კარისკენ მიიწევდა. ბურთს ხელიდან მარტო ჯემალ ცერცვაძე მგლეჯდა, სხვას არავის გამოუგლეჯიაო. ცერცვაძე ფენომენალური იყო.

იმედო ფხაკაძე და თბილისის „ბურევესტნიკი“ ორჯერ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. სამჯერ მეორეზე გავიდნენ, ერთხელ მესამეზე.

მაშინ, მართლა სხვა დრო იყო. ხალხს თავი ტელეფონებში არ ჰქონდა ჩარგული; საღამოობით ან თეატრში მიდიოდა, ან კინოში, ანაც ფეხბურთზე, კალათბურთსა თუ ხელბურთზე. იმ წლებში, ხელბურთი თბილისში უზომოდ პოპულარული გახდა. თან, გუნდში სულ თბილისელები თამაშობდნენ: ნახალოვკელი, პლეხანოველი, ვერელი... საგულშემატკივროდ ხალხი უბნებიდან მოდიოდა. მაგრამ, ზუსტად მაშინ გრძნობდა იმედო ფხაკაძე, რომ თუ ხელბურთის ბურთის ხმა მთელ საქართველოში არ გავრცელდებოდა, პრობლემების

წინაშე დადგებოდნენ. მარტო თბილისი ვერ გაქაჩავდა. საქართველოს პირველობებზე განზრახ, მთელი ძალით ეთამაშებოდა რაიონების გუნდებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ გამოცდილება მიეღოთ და მეორეც იმიტომ, რომ ანგარიშში დიდ სხვაობას სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები ჩაეფიქრებინა; მიმხვდარიყვნენ, რომ საქმეს მარტო „ბურევესტნიკი“არ ეყოფოდა.

იმედო მწვრთნელი გახდა. 67-ში თამაშს თავი რომ დაანება, ნახა, რომ დიდი ჩავარდნა დაიწყო, რასაც ვერ შეეგუა. მივიდა და განათლებით ეკონომისტი, ფიზკულტურის ინსტიტუტში ფსიქოლოგიისა და ანატომიის სწავლას შეუდგა. ხედავდა, ფსიქოლოგები მარტო არსებულის ანალიზს ახერხებდნენ, გამოსწორების გზებს კი ვერ ამბობდნენ. ეს მანდრაჟისტია, ის ფსიხია, მესამე კიდევ რაღაცა... კარგი, ბატონო, მაგრამ როგორ გამოვასწოროთ? და თვითონ დაიწყო ძიება.

1975 წელს, იმედო ფხაკაძის გაწვრთნილი გუნდი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მესამე ადგილზე გავიდა. ეს უკვე ძალიან კარგი შედეგი იყო!

იმხანად, ხელბურთში გუნდს შეტევისთვის 45 წამი ეძლეოდა. ჰოდა, ახალგაზრდა მწვრთნელმა ასეთი რაღაც მოიფიქრა: ყველა მეტოქის თამაში რომ შეისწავლა, თავის ბიჭებს უთხრა —ივანოვი მარჯვენა ხელით აქეთ არტყამს, პეტროვი – იქით, სიდოროვი – დაბლა, ვიღაცა – მაღლა; თქვენ მათ „საყვარელ მხარეებს“თავი დაანებეთ, მეორე კუთხე დაუკეტეთ, „საყვარელი მხარე“კი მეკარეს დაუტოვეთო. გაამართლა. ბევრ ეპიზოდში, მეკარე ალექსანდრე ხუციშვილი იმდენად მომზადებული შეხვდა დარტყმას, რომ ბურთი პირდაპირ ხელში დაიჭირა და მეტოქეები სწრაფ კონტრშეტევებზე გამოვიჭირეთ.

77-ში იმედო ფხაკაძემ „ბურევესტნიკი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც მესამე ადგილზე გაიყვანა.

მის გუნდში ზოგი თბილისელი იყო, ზოგი ლაგოდეხელი, ზოგი ოზურგეთელი, სამტრედიელი თუ ლანჩხუთელი...

ის როგორ იყო? ქობელ, ფეხები დაუბაკუნეო...

ეს უკვე 2007 წელს, ნორვეგიაში, ჩელენჯ ტროფიზე მოხდა, როდესაც ხელბურთსა და ცხოვრებაში უკვე ყველაფრის მნახველი იმედო ფხაკაძე საქართველოს ნაკრებს ედგა სათავეში.

ფინალია, ლუქსემბურგთან ვთამაშობთ. შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე 6 ბურთს ვიგებთ, მაგრამ უცებ... გუნდში რაღაცა ირია.

3 წუთი რჩება, უპირატესობა კი 3 ბურთამდე შემცირდა. თან, ლუქსემბურგელებიდან ვიღაცამ აიწყვიტა, გოლი გოლზე გააქვს. ჩვენებიც უკვე ქანცგაწყვეტილები ჩანან. იმედო ფხაკაძემ წუთშესვენება ითხოვა და გიორგი ქობელაშვილს უთხრა, ის კაცი თუ გასწრებს და ვეღარ ეწევი, არა უშავს, უკნიდან ფეხები დაუბაკუნე, ეგონოს, რომ მოსდევო.

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამანაც გაამართლა. საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა.

იმედო ფხაკაძე კი იყო, არის და იქნება ქართული სპორტის ლეგენდა!

ვახტანგ-გოჩა ხუნდაძე

იმედო ფხაკაძე ჩვენი ოჯახის უახლოესი ადამიანი გახლდათ. მუდამ გაღიმებული შემოდიოდა, სიხარული შემოჰქონდა, არადა, როგორც სპორტსმენმა რამდენი სიხარული მიანიჭა გულშემატკივრებს

ამერიკაში ყოფნისას გვესტუმრა თბილისის ,, ბურევესტნიკის " გუნდის კაპიტანი თამაზ ანთაძე, რომლის ღვაწლი ხელბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციაში ფასდაუდებელია. მან მოიგონა მეგობრები, თანაკლუბელები. იმედოზე საუბრისას გაიხსენა ერთი ეპიზოდი. სადღაც სტუმრად ყოფნისას მანდილოსნების თავის მოსაწყობად ლამის ყირაზე დავდექიო- ინტელექტით იგი ნამდვილად გამოირჩეოდა. მოკლედ, რა არ გავაკეთე გოგოების გულის მოსაგებად. შენც არ მომიკვდე, არაფერი გამოვიდა ამ საქმიდანო. ყველანი იქვე მჯდომ იმედოს შესცქეროდნენ და თვალს ვერ აშორებდნენ, მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი.

ასეთი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე, მუდამ მხიარული, ხალხის მოსიყვარულე -ეს ცნობილი ხელბურთელი, რომლის გარდაცვალებამ ბევრ ადამიანს დამწყვიტა გული. ჩვენმა ოჯახმა კი ერთგული მეგობარი დაკარგა.

თამარ ჯაფარიძე

2001 წლის 22 სექტემბერი.
გურამ პეტრიაშვილი,
ჯემალ ზამბახიძე,
ოთარ მიმინოშვილი,
ვლადიმერ ბარქაია,
ნუგზარ ფოფხაძე,
სერგო კოტრიკაძე,
იმედო ფხაკაძე.

გიორგი ბერიაშვილი, ზაურ ბუნაძე, ზაზა დოლიძე, იმედო ფხაკაძე, ვახტანგ ბერიაშვილი, ვლადიმერ ჭყონია, ამირან კომახიძე, ჯემალ ცერცვაძე; მეორე რიგი: ალექსანდრე ხუციშვილი, მამუკა სხიერელი, გია ნარიმანიძე, ჯიმშერ დვალიშვილი, ანზორ ექსეულიძე.

ასეთი გახლდათ ჩვენი იმედო

უაღრესად მოსიყვარულე, თბილი, მაგრამ ჯიუტი, პრინციპების ტიპი: „სპორშჩიკი“, გამარჯვების ჟინით აღსავსე, იყო ეს სპორტი თუ კამათი პოლიტიკაზე, ყოფით თემებზე; თუმცა თუ რწმუნდებოდა სიმართლესა და სისწორეში, გეთანხმებოდა.

ჰქონდა უნარი ეგრევე ურთიერთობების დამყარების. მაგალითად, უაღრესად თბილი ურთიერთობები ჰქონდა ბებიაჩემთან, რომელიც ასევე გიჟდებოდა მასზე. საათობით ესაუბრებოდა, რაღაც „საიდუმლოებებს“ ანდობდა. მეგობრობდა მამაჩემთან. საერთოდ, ჯიმშერ ენუქიძის და მისი ურთიერთობა, რომელშიც ფარჩოც (თამაზ ანთაძე, ჯიმშერის ნათესავი) იყო გარეული, კომიკური ეპოსია! თუმცა იყო რაღაც გაუგებრობებიო, მეუბნებოდა ფხაკაძე, რომლებსაც აგვარებდა თუ გვარდებოდა თავისით და ეს ახარებდა.

საოცარი მეგობრობა იცოდა, გვერდში დგომა, დახმარება; ძალიან გულუხვი იყო. წუხდა, როდესაც ამას ბოლო პერიოდში ვერ აკეთებდა.

არავის პატიობდა ვინმეს დაჩაგვრას, უმწეოს და ღარიბს ეხმარებოდა - სახლში დაასახლა ვიღაც უცნობი ხეიბარი კაცი ქუჩიდან.

ნახალოვკაში დაბადებული კაცი არისტოკრატივით გამოიყურებოდა და იქცეოდა კიდევაც. ლამაზად, გემოვნებით იცვამდა.

თედო ჯაფარიძე,
იმედო ფხაკაძე.

1975 წ. სსრკ ხალხთა სპარტაკიადა. ჯიმშერ დვალიშვილი, ამბერკი ტაბიძე, ამირან კომახიძე, ალექსანდრე ხუციშვილი, გოგა ბერიაშვილი, ვახტანგ ბერიაშვილი, გიორგი კარტოზია, ზაურ ბუნაძე, ვოვა ჭყონია, გია ნარიმანიძე; დგანან: გარსევან მაჭავარიანი, ზაზა დოლიძე, ალექსანდრე ანპილოგოვი, ჯემალ ბარამიძე, იმედო ფხაკაძე, ლერი კარტოზია, ჯანო ბაგრატიონი, ანზორ ლელაშვილი, ზურაბ კეკელიძე.

რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი პრობლემები - ოჯახური. ეგეთ ტიპს ოჯახური სითბო და ყურადღება აკლდა, თუმცა ამაზე იშვიათად ლაპარაკობდა. საერთოდ წუწუნი არ სჩვეოდა.

ძალიან უხაროდა სხვისი წარმატებები. გასაგებია, განსაკუთრებით ახლობლების.

სპორტი უყვარდა და ესმოდა. დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი ხელბურთის განვითარებაში, საერთოდ, გუნდური ტიპი იყო, თუმცა ერთ მომენტში სწორედ მის მიერ შეკრულმა გუნდმა უღალატა, გვერდში არ დაუდგა, როდესაც ეს მას სჭირდებოდა და ამას ელოდა კიდევაც. საერთოდ, ღალატს ვერ იტანდა, ვერც მის მიმართ (ეს გასაგებია) და ვერც თუ გაიგებდა ამას ვინმესთან დაკავშირებით.

მისი მწვრთნელობა ჯერ მალიში და მერე იორდანიაში ძალიან წარმატებული იყო. იქაც, ბევრი სასაცილო ამბები ხდებოდაო, ამბობდა. ძალიან უნდოდა იორდანიაში ჩასვლა და თავის ყოფილ გუნდელებთან და იქაურ ფედერაციასთან შეხვედრა. შევეცადე დავხმარებოდი, ჩვენს ელჩსაც კი ვთხოვე. ვერ მოხერხდა, მატერიალურად... იქაურ ფედერაციას უნდა დაეპატიჟა თითქოს, იმათ ვერ „გაიხსენეს რუსი მწვრთნელი“.

სსრკ იყო და მაშინ ყველაფერი „რუსი“ იყო. აქაური „სპონსორიც“ არ გამოჩნდა... მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე. ძალიან კი უნდოდა.

გავიცანი 1968 წელს, ცუგომ გამაცნო, მახსოვს ის დღე, როდესაც ჯგუფში (უნივერსიტეტში ვსწავლობდი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე) შემოვიდა „პოლ ნიუმანი“... მისი ღიმილი მახსოვს, თუმცა მახსოვს ისიც, რომ ცხვირზე ოფლი წამოუვიდა... ეტყობა თავადაც ღელავდა და „კრასავიცებთან“ შეხვედრამ ააღელვა კიდევაც... თუმცა ჩემი ჯგუფის „კრასავიცებზეც“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დავმეგობრდით, ვხვდებოდით, ვსაუბრობდით ამაზე და იმაზე. 1968 წლიდან სიკვდილამდე...

არ ყოფილა რომელიმე მისი „პაეზდკა“, რომ იქედან მე რამე საჩუქარი არ მიმეღო. თურმე ასე ევლებოდა თავს თავის უამრავ ნათესაობას და მეგობრებს. ძალიან გულუხვი ტიპი იყო. მერე, როდესაც გულუხვობის რესურსები ამოეწურა, ამას ძალიან განიცდიდა, წუხდა.

სულ ჩართული იყო და თვალყურს ადევნებდა პოლიტიკას. სულ გეკითხებოდა, აინტერესებდა შიდა ამბები, თუმცა მაყოლებდა საგარეო რაღაც-რაღაცებსაც - მეკითხებოდა, ჩამეკითხებოდა ხოლმე... ძალიან „მბალელშჩიკობდა“ - უხაროდა რაღაც წარმატებები (უნივერსიტეტული, ასპირანტობის პერიოდი, მერე ჩემი აქ დაბრუნება და სახელმწიფო სამსახურში ჩართვა) და ბრაზდებოდა წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, წუხდა, შფოთავდა, „ამათი დედა და მამაო“, იტყოდა ხოლმე.

ძალიან განიცდიდა ავადმყოფობას, თუმცა არ ლაპარაკობდა ამაზე. თუ რამე წამოცდებოდა ხოლმე, ისიც იშვიათად - ეტყობა როდესაც ძალიან ასტკივდებოდა. განსაკუთრებით განიცდიდა მხედველობის დაკარგვას, მაგრამ ტელევიზორი სულ ჩართული ჰქონდა და „უყურებდა“ - პოლიტიკურ გადაცემებს (თავისი სიმპათიები ჰყავდა), რა თქმა უნდა, უყურებდა სპორტულს და მერე ერთად ვარჩევდით ხოლმე, ხან ტელეფონით და ხან კიდევ სტუმრობისას - ჩოგბურთი (ნადალი უყვარდა), ძიუდოს, საერთოდ ჭიდაობას (ხელბურთელობამდე მაგრად ჭიდაობდა თურმე, ნაკრებშიც იყო); ჭადრაკი უყვარდა და მაგრადაც თამაშობდა! საერთოდ ნებისმიერ სპორტის სახეობას, რასაც ხელს კიდებდა, მაგრად თამაშობდა, ცდილობდა დონის მიღწევას და აღწევდა

კიდევაც. მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთი. მახსოვს ერთად რამდენიმე ადამიანმა დავიწყეთ მარჯანიშვილზე ჩოგბურთის ჯერ სწავლა და მერე თამაში. ის კი მართლა მაგრად ათამაშდა „მოყვარულის“ დონეზე; ვერ იტანდა წაგებას: ფარჩოს და მისი საჩოგბურთო „ბატალიები“ დაუვიწყარია. თამაშის გარდა, სულ ჩხუბობდნენ და ექილიკებოდნენ ერთმანეთს. ფარჩო უკეთ თამაშობდა, ამიტომ ფხაკაძემ „ჩუმად“ დაიწყო ვარჯიში პროფესიონალ მოთამაშესთან და მაგრად დახვეწა თამაში. მთელი ისტორიებია ამასთან დაკავშირებით.

ხელბურთის ჩემპიონატები, სპარტაკიადები, უკვე მწვრთნელის რანგში ჩატარებული თამაშები, „გათვლები და გამოთვლები“, მაგარი სპორტული ჯახები და ა.შ.

მეგობრობა საოცარი იცოდა: ფოფხაძე, თამაზ ფხაკაძე, ჯანო, გუნდის წევრები (მათთან ურთიერთობები - იშვიათად თუ რამეს იტყოდა წყენით მათზე) მისი უბნელები (მეზობლები - ჯინო, ჟოზი, ცქვიტო, და კიდევ უამრავი ვინმე. იყვნენ უბნის კოლორიტები, მამამისის ნაცნობები - ბოი და ვასო და ა.შ. განსაკუთრებული მეგობრობა ცუგოსთან - ნარდი, კარტი და გაუთავებელი „სპორები“ ყველაფერზე. ცუგოს აგიჟებდა - „ეჰ, ნეტავ სსრკ არ დანგრეულიყო!“ რა თქმა უნდა, ხუმრობდა, თუმცა იმ სისტემას (რაც მას სჭირდებოდა იმ სისტემაში, გასაგებია) მორგებული იყო - იცოდა „ხოდები“ და ა.შ. რა თქმა უნდა, უხაროდა, საქართველოს დამოუკიდებლობაც, მაგრამ „ახალ ცხოვრებას“ ბოლომდე ვერ მოერგო და ეს „ახალი ცხოვრებაც“ სათანადოდ ვერ მიეხმარა ან თუნდაც მიეფერა, ყურადღება მიაქცია, რასაც იმსახურებდა.

მაგარი ბიჭი იყო! ძალიან მაკლია !!!!

თედო ჯაფარიძე

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

80 წელი შესრულდა იმედო ფხაკაძის დაბადებიდან. ამ დიდებული ხელბურთელის გახსენებისას, ჩვენდა უნებურად, შესანიშნავი პოეტის მიხეილ ქვლივიძის უკვდავი ლექსი წამოტივტივდება ხოლმე გონებაში:

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც -
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.
ჩვენ მას შორიდან ვიცნობდით მხოლოდ,
ვნატრობდით მასთან ქუჩაში გავლას,
მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს-
კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს.
მისი დაკარგვის მწარეა განცდა
(ვერ ამოვავსებთ ცარიელ ალაგს),
რადგან ვერც ერთი ვერ მივალთ მასთან-
კაცთან, რომელიც დააკლდა ქალაქს.
და ახლა, როცა სუფრაზე, სადმე,
თვალს მოვკრავთ ღიმილს - ნაცნობს და ალალს,
წარმოგვიდგება ძვირფასი სახე
კაცის, რომელიც დააკლდა ქალაქს...
და თითქოს ვითვლით-ისევ და ისევ
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს
და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო, გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!“

მართალია, ეს გულწრფელი სტრიქონები, პოეტმა, ყველასთვის საყვარელ მსახიობს გიორგი შავგულიძეს მიუძღვნა, მაგრამ ჩვენგან წასული ღირსეული კაცის არდავიწყების სურვილითა და განცდის სიმძაფრით, იგი იმედო ფხაკაძესაც მიესადაგება.

შეუძლებელია, ქართული სპორტის ჭეშმარიტ გულშემატკივარს ოდესმე დაავიწყდეს მე-20 საუკუნის 60-იანი წლები, როცა ხელბურთმა საქართველოში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა და თვით ფეხბურთსა და კალათბურთსაც კი უწევდა კონკურენციას. ამის დასტური ის გახლდათ, რომ 1961 წელს, თბილისის სპორტის სასახლის გახსნის პატივი სწორედ ქართველ ხელბურთელებს ხვდათ წილად და აქაც ისახელეს თავი - საქართველოს ნაკრებმა უნგრეთი დაამარცხა და სასახელო ფურცელი ჩაწერა ქართული ხელბურთის ისტორიაში. ამ ლეგენდარულ გუნდში, ჯემალ ცერცვაძის, ჯემალ აბაიშვილის, თამაზ ანთაძის („ფარჩო“), ლერი კარტოზიას, ანზორ ექსეულიძის, ჯანო ბაგრატიონის, გარი მაჭავარიანისა და სხვათა გვერდით ბრწყინავდა დახვეწილი გარეგნობით გამორჩეული და საკუთარი ხელწერის მქონე შეუჩერებელი გარემარბი

იმედო ფხაკაძე. მის ლამაზ თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი, რომელთა შორის მრავლად იყვნენ მასზე შეყვარებული ქალიშვილები.

იმედო ფხაკაძე, თბილისის „ბურევესტნიკისა“(1962-1974) და საკავშირო ნაკრების (1963-1971) წევრი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (1962, 1964), სამგზის ვერცხლისა (1965-1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963), მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე (1967, 1970) და მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი (1968) გახლდათ. მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება. სხვადასხვა დროს წვრთნიდა საქართველოსა და იორდანიის ნაკრებ გუნდებს. 2012 წლიდან იყო საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

1963-71 წლებში, იმედო ფხაკაძემ, ნაკრების უცვლელმა წევრმა, 68 მატჩი ჩაატარა და თავისი ამპლუასათვის უჩვეულოდ ბევრი-193 გოლი გაიტანა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მშობლიური გუნდის უფროსი მწვრთნელის რანგში, მან დიდ ხელბურთში გზა გაუკვალა მომავალ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვს. სწორედ იმედო ფხაკაძის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მწვრთნელებმა ანპილოგოვი. იმედომ, წინასაოლიმპიადო ტურნირებისთვის მოსამზადებლად ლესელიძეში წაიყვანა ალექსანდრე ანპილოგოვი და თავდაუზოგავი შრომით, ნიჭიერი ჭოწაფის ოსტატობა საერთაშორისო სტანდარტების დონემდე აიყვანა. ამ თავდაუზოგავი ვარჯიშების შემსწრე ლეგენდარულ მოჭიდავეს, გივი კარტოზიას, იმედოსათვის უთქვამს: - შენ ამ ბიჭს ან მოკლავ, ან დიდ სპორტსმენად აქცევო.

გამართლდა გივი კარტოზიას წინასწარმეტყველება, იმედო ფხაკაძის ძალისხმევამ სასიკეთო შედეგი გამოიღო და ალექსანდრე ანპილოგოვმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, იგი მსოფლიო ხელბურთის საუკეთესო მეკარეების რისხვა გახდა.

თბილისის ძველ უბანში დაბადებული და გაზრდილი იმედო ფხაკაძე, არა მარტო ხელბურთით იყო პოპულარული, არამედ თავისი განუმეორებელი ხიბლით, ადამიანური თვისებებითა და მეგობრული ურთიერთობით იყო მიმზიდველი.

ექვსი ათეული წლის განმავლობაში, იგი, უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ ხელბურთს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის განვითარებაღმავლობაში.

2021 წელს, ქართული ხელბურთის მშვენება იმედო ფხაკაძე ვალმოხდილი განერიდა ამ წუთისოფელს. მან მთელი ცხოვრება რაინდული ღირსებით განვლო და თავის გულშემატკივრებს, სამუდამო სახსოვრად,დიდი სიყვარული და სიხარულით აღსავსე მოგონებები დაუტოვა.

ყველა ქართველი დაამწუხრა ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალებამ. ქვეყნისა და ოჯახის მიმართ კი განსაკუთრებული თანაგრძნობა გამოხატა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა: „გარდაიცვალა კარგი და ნათელი კაცი, ქართული ხელბურთის ლეგენდა იმედო ფხაკაძე! მადლიერი ვარ, რომ მიმეგობრა ჯერ კიდევ იმ დღეებიდან, როცა „ნახალოვკაში“ მძიმე 2012 წლის აგვისტო-სექტემბერი იდგა. მას შემდეგაც, წლები გადიოდა და ის არ იღლებოდა ჩემი გამხნევებით. მადლობა ამ ურთიერთობისათვის! ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ბატონო იმედო”.

ივანე ჯაფარიძე

ჩვენი თაობის ბიჭები, ვინც იმედოს ვიცნობდით, ყველანი მის მიმართ პატივისცემით ვიყავით განმსჭვალულნი, რადგან იყო ძალიან რბილი, მოსიყვარულე ადამიანი. ჩვენი ურთიერთობა ისე წარიმართა, რომ შვილი მოგვინათლა. ძმებივით ვიყავით. ერთი დღე არ გავიდოდა, რომ არ მოსულიყო ან არ დაერეკა. ხშირად გამომივლიდა და თავის მეგობრებთან ერთად დროს ვკლავდით. ეს ყველაფერი ახლა უფრო მახსოვს, როდესაც იგი ჩვენს შორის აღარაა.

დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის იმედოს გარდაცვალება. უდიდესი სპორტსმენი, მუდამ მომღიმარი პიროვნება დაკარგა ქვეყანამ.

ბაკულ ჯიბლაძე

საოჯახო ალბომებიდან

1943 წლის 20 ივლისი
იმედო ფხაკაძე

1944 წ.
იმედო ბიძასთან
შოთა ცოტაძესთან
ერთად

იმედო დედასთან
თინა ცოტაძესთან
ერთად

იმედო ფხაკაძე

იმედო ფხაკაძე თანაკლასელებთან ერთად

გურამ ჯერვალიძე,
იმედო ფხაკაძე.

გია და იმედო ფხაკაძეები

იმედო ფხაკაძე სტუმრებთან ერთად

ჟორა ფხაკაძე, გიორგი პაპუნაშვილი, თინა ცოტაძე.

1996 წლის 27 ოქტომბერი. შოთა ცოტაძე, ჟორა ფხაკაძე.

თამაზ დაუშვილი, იმედო ფხაკაძე.

დედასთან თინა ცოტაძესთან ერთად

ნუგზარ ფოფხაძე, იმედო ფხაკაძე.

იმედო სტუმართან ერთად

ბაკურიანი. ბიძინა ჯღარკავა, იმედო ფხაკაძე.

გია ჯავახიშვილი,
ზეიკო ანჯაფარიძე,
იმედო ფხაკაძე,
მაია დოქსოპულო.

თანაკლასელებთან ერთად

1997 წლის 10 ნოემბერი. იმედო და ჟორა ფხაკაძეები სტუმართან ერთად

დათო სანაძე, იმედო ფხაკაძე.

იმედო ფხაკაძე, ვახტანგ სამარღანიშვილი.

იმედო ფხაკაძე შვილიშვილებთან ერთად



თინა მგალობლიშვილი, იმედო ფხაკაძე, მარინა კოპალიანი.

იმედო ფხაკაძე, ნუგზარ ფოფხაძე სტუმრად ისრაელში.

ლეგენდარული ხელბურთელი იმედო ფხაკაძე ერთადერთი ქართველი მოთამაშე გახლდათ, რომელიც თორმეტი წლის მანძილზე უცვლელად შედიოდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

იმედო არა მარტო სპორტის, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისი ცხოვრების წესით იყო რაინდი! ჩვენს იმედოს გაუმარჯოს ზეციურ საქართველოში.

ნუგზარ ფოფხაძე

1977 წელს სსრკ პირველობაზე თბილისის „ბურევესტნიკმა" იმედო ფხაკაძის ხელმძღვანელობით მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

დგანან: ალექსანდრე ანპილოგოვი, ვახტანგ ბერიაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, იმედო ფხაკაძე, ზურაბ კეკელიძე, ოთარ სტეფანოვი, ამირან კომახიძე. ბოლო რიგში: გიორგი ნარიმანიძე, ანზორ ლელაშვილი, ჯემალ ბარამიძე, ამბერკი ტაბიძე, თამაზ საჯაია.

2008 წლის 21 იანვარი. თამაზ თევზაძე, ჯემალ ცერცვაძე, იმედო ფხაკაძე.



ნაწყვეტები წიგნიდან „ალექსანდრე ანპილოგოვი“

იმედო ფხაკაძე: „გუნდში რომ მოვიდა, სიმაღლის გარდა არაფერი მომწონებია. წარმოიდგინეთ ასანთის ფეხებზე მდგარი ადამიანი, რომელიც ძლივს მოძრაობს. ზოგმა ისიც კი იფიქრა, მშობლებმა სპორტში იმიტომ მოიყვანეს, რომ ჯანმრთელობა გაეუმჯობესებინა და არა დიდი სპორტსმენი დამდგარიყო. თავიდან არც მე მჯეროდა მისი. მოთამაშის არაფერი ჰქონდა. იმან უშველა, რომ ჩვენს გვერდით იყო. მონდომება რომ შევატყვე, მერე დავიწყე რჩევების მიცემა. პირველი ამოცანა მისი ჯანზე მოყვანა იყო. მოგვიანებით, ზაგრების „მედვეშჩაკთან“ რომ წავაგეთ ევროპის ჩემპიონთა თასზე, იმათი მოთამაშე ჟაკ ნესტანი ვნახე პირველად, ზუსტად ანპილოგოვის აღნაგობის იყო, ცენტრში თამაშობდა. ორი წლის შემდეგ შევხვდი და ვეღარ ვიცანი - დიდი მხრებით უფრო ძალოსანს ჰგავდა. ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი და ამიხსნეს: იგი რომელიღაც გერმანულ კლუბში გადასულიყო და იქ ადგილობრივ სპეციალისტს ემუშავა მის მომზადებაზე.

იმ წუთშივე გავიფიქრე: ანპილოგოვი ასეთი უნდა გავხადო-მეთქი. მისთვის ცალკე პროგრამა არ შემიდგენია, მაგრამ კონკრეტული მიზანი დავისახე. გამაჯანსაღებელ შეკრებას რომ ეძახიან და უფრო გასართობი ხასიათისაა... ანპილოგოვი ერთი დღითაც არ დამისვენებია... მაგრამ 1977 წელს, როცა თბილისის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელის პოსტი დავტოვე, ალექსანდრე დიდ მოთამაშედ მაინც არ ითვლებოდა. ერთი დარტყმა ჰქონდა დაყენებული. უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო, მაგრამ გუნდისთვის მხოლოდ ოლიმპიადის შემდეგ გახდა რეალური ძალა. თვით 1977 წლის ჩემპიონატშიც, როცა ბრინჯაოს მედლები ავიღეთ, დიდად არ დაგვხმარებია. მას დრო სჭირდებოდა. ხომ ვთქვი, თავიდან მისი ვარჯიში ავადმყოფი მოწაფის მეცადინეობას ჰგავდა სასკოლო ფიზკულტურის გაკვეთილებზე, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. 22 წლისა გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ხელბურთი კი ძალისმიერი თამაშია. დიდი ხელბურთი, ჩემი საზომით, სპორტსმენებისთვის 23-24 წლის ასაკიდან იწყება. 1958 წელს რომ ხელბურთი დაიწყეს თამაზ ანთაძემ, ჯანომ, ექსეულიძემ, კოპალეიშვილმა, მაჭავარიანმა... ეს ჯერ არ იყო ნამდვილი ხელბურთი. ოთხი- ხუთი წელი რომ ითამაშეს, მერე გამოჩნდა მათი კლასი. მანამდე კალათბურთში

ვახტანგ მეიფარიანი, გივი შარანგია, იმედო ფხაკაძე, ჯამლეტ ხუხაშვილი, ტარიელ ხეჩიკაშვილი, ალექსანდრე ანპილოგოვი, ჰასან მუსტაფა, ზურაბ კაკაბაძე, ამირან კომახიძე, ზურაბ კეკელიძე, ჯემალ ბარამიძე, თამაზ საჯაია.

მეცადინეობა ხელბურთში ფიზიკურ მომზადებად ვერ ჩაეთვლებოდათ...ანპილოგოვმაც გუნდიდან ჩემი წასვლის შემდეგ, ანუ 23 წლიდან მოუმატა. საოცარი წინსვლა ჰქონდა...“

გამოცდილი მწვრთნელის ნათქვამს დავამატებთ: ერთხელ, როცა ხელბურთის რამდენიმე გამოჩენილ სპეციალისტს ერთადერთი კითხვა დაუსვეს - როგორ მოექცეოდნენ მოთამაშეს, რომელსაც შესანიშნავი ტექნიკა და ტყორცნა აქვს და ასეთივე აზროვნება, მაგრამ მოედანზე ძალისმიერ ორთაბრძოლებში არ მონაწილეობსო, ყველამ ერთხმად უპასუხა: ასეთ ხელბურთელს უყოყმანოდ გავაძევებთ გუნდიდანო.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „სპორტის სასახლეში ვვარჯიშობდით. ნახტომი კარგი მქონდა - ადგილიდან მეტრზე უფრო მაღლა ვხტებოდი, თავით კალათბურთის რგოლს ვწვდებოდი. კარგია ხნის წინ ჰქონდათ დაწყებული ჩემზე ნადირობა კალათბურთის მწვრთნელებს - ყველა პარამეტრით გამოვადგებოდი. ერთხელ შემთხვევით მოვისმინე მათი საუბარი ჩვენს მეორე მწვრთნელ ანზორ ლელაშვილთან. ისინი ფიქრობდნენ, რომ გავეცვალე ორ ტანდაბალ კალათბურთელზე. ძალიან მეწყინა - მე, რა, რაღაც ნივთი ვარ, რომ ჩემი თანხმობის გარეშე ვიღაცებზე გამცვალონ?!

ბიძაშვილთან წავედი და ყველაფერი ვუამბე. ის ჩემზე ცოტა უფროსი და კარგი სპორტსმენი იყო - სსრკ ჩემპიონატის პრიზიორი კრივში. მომისმინა და მითხრა: მიაფურთხე ყველაფერს, წამოდი ჩემთან, ივარჯიშებ და კაცი გახდებიო. ზღვაზე წავედით - მადლობა ღმერთს, მშობლებმა საჭირო თანხა გამონახეს და ჩვენ 35 დღე გავატარეთ პლაჟზე, ვითომ დასასვენებლად ვიყავი, მაგრამ მე იქ დასვენება არ მღირსებია. ბიძაშვილი სიქას მაცლიდა, სულ რაღაც გარბენებსა და კროსებს იგონებდა და კიდევ, მაიძულებდა ქვები მესროლა ზღვაში. ყველა ქვა, რაც პლაჟზე იყო, ალბათ მე მოვისროლე ზღვაში.

1980 წ. მოსკოვი. ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი შვეიცარელებთან შეხვედრისას.

ზღვაზე „დასვენების“ შემდეგ უგუნებოდ მივდიოდი პირველ ვარჯიშზე. ფიქრი მაწვალებდა, როგორ გამცვლიდნენ ორ კალათბურთელში. ვარჯიში ისევ სპორტის სასახლეში იყო. ბიჭები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. მე კი ბურთი ავიღე, მოედანზე გავედი და ათი მეტრის მანძილიდან კარში ვტყორცნე... ბურთი შუაგულ კარში შევარდა და.არა კუთხეში, როგორც მინდოდა. გაბრაზებულმა ისევ ვტყორცნე - ისევ ძველი გამეორდა. მესამე ცდაზე ზუსტად კუთხეში დავარტყი... უცებ ვგრძნობ, რომ დარბაზში რაღაც შეიცვალა, სიჩუმე ჩამოვარდა. ლელაშვილი ბურთს მაწვდის და მეუბნება: „ისროლე!“ ისევ სროლა და იგი აღტაცებულია: „რამდენს გელოდით... ბოლოს და ბოლოს, შენი ტყორცნა იპოვე!“

მთავარმა მწვრთნელმა იმედო ფხაკაძემ ცვლილება უცებ შენიშნა, ხოლო მოგვიანებით, როცა ჩემი ხასიათი გაიგო, კიდევ ერთხელ შემეხო თავმოყვარეობის სიმებზე. მაშინ თითქოს აგროვებდნენ მოთამაშეებს ოლიმპიური ნაკრებისთვის. ხელბურთელებს ერთი საერთო ტური გვქონდა. შეიკრიბა ყველა გუნდი და

თითოეული მწვრთნელი წარადგენდა მისი აზრით საუკეთესო კანდიდატებს. ჩემმა მწვრთნელმა მე დამასახელა. დარბაზი სიცილით მოკვდა - 205 სანტიმეტრი ვიყავი. ასეთები მაშინ ხელბურთში თითქმის არ იყვნენ, და, საერთოდაც, ჩათვალეს, რომ ჩემთვის „იქ“ თამაში ნაადრევია.

მწვრთნელმა მკითხა: „გინდა სხვანაირად იყოს? მაშინ დავამტკიცოთ, რომ ღირსეული ხარ!“ მინდოდა, აბა რა, ყველაზე ცუდი ის არის, როცა მასხრად გიგდებენ. მოკლედ, ფხაკაძესთან კატორღაში მოვხვდი. გავემგზავრეთ ლესელიძეში, შეკრებაზე. იქ, ვისაც კი მოსწყურდებოდა, ყველასთვის მე უნდა მომეტანა ლიმონათი. ფულს თვითონ მწვრთნელი აგროვებდა. ჯიხურამდე მისასვლელად პლაჟზე 900 მეტრი უნდა გამერბინა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, დამცხებოდა ხოლმე და ზღვაში შევდიოდი. იქიდან გამოსული 50-ჯერ უნდა ავზიდულიყავი ხელებზე. შემდეგ მწვრთნელი კისერზე შემაჯდებოდა და პლაჟზე დამარბენინებდა. ამის გარდა, დღეში ორი ვარჯიში მქონდა მოედანზე, საღამოს კი შტანგით ვმეცადინეობდი.



ძალიან ძნელი იყო. იმედო ფხაკაძემ მითხრა: „არ დაგავიწყდეს და ამ ქვიშით ქილა გაავსე. შემდეგ იტყვი - სწორედ ამ ქვიშამ მაქცია კაცად!“ იმ ვარჯიშებმა მართლაც ბევრი რამ შემმატა - გავძლიერდი, მოვმაგრდი... თვითონ ამას ვერ ვამჩნევდი, სხვები ამჩნევდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი „ბურევესტნიკი“ ევროპის საუკეთესო გუნდებთან თამაშობდა. ტურნირის შემდეგ შედეგიანობით მეორე ვიყავი. პრიზიც მივიღე. ძალიან გამიხარდა. ახალი წლისთვის ლენინგრადში მივფრინავდით სათამაშოდ. მივედი აეროპორტში და მწვრთნელი მეუბნება: „შენ აღარ მიფრინავ“. რატომ? - ვიკითხე შეშფოთებულმა. „იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოგიძახეს“. სულ რაღაც ექვსი - შვიდი თვის შემდეგ, როცა მე სასაცილოდ ამიგდეს, სსრკ ნაკრებში მოვხვდი...

მართლაც დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, რომ ყველაფერ ამას გაუძლოს. არადა, ამ სკეპტიციზმის სისხლს კიდევ კარგა ხანს გრძნობდა. თავმოყვარეობა საკმარისზე მეტი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ითმენდა - ითმენდა ლესელიძეში ლიმონათზე სირბილს, მძიმე ასკინკილას, როცა მწვრთნელი

ანდა კისერზე და ხან ერთ ფეხზე დახტოდა, ხან მეორეზე, ორმეტრიანი ბიჭი დღეში 10 - 12 ტონა სიმძიმის აწევას უძლებდა. ლესელიძეში მის საცოდაობას გივი კარტოზიამ უცქირა და მწვრთნელს უთხრა: „მაგას ან მიასიკვდილებ, ან მართლაც რაღაცა გამოგივა.“

იმედო ფხაკაძე: „როცა გუნდში გრძელი სკამით არ ხარ განებივრებული, მოთამაშეებს სხვანაირი მწყემსვმა სჭირდებათ. თუ ისეთი მარქაფი გყავს, როგორც საკავშირო ნაკრებში იყო, იმას დიდი სპეციალისტი არ სჭირდება. ჩემს დროს ანპილოგოვი „ბურევესტნიკში“ მთავარი დამრტყმელი ძალა არ იყო, მაგრამ ხანდახან სიჯიუტეს იჩენდა, დასარტყმელი პოზიცია არ ჰქონდა და მაინც ცდილობდა ბურთის გატანას. გასაგებია, რომ 22 წლის ბიჭს, რომელიც ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი იყო საქართველოში ხელბურთელთა შორის, სხვა ამბიცია გაუჩნდებოდა, მისთვის ყველა კარი ღია უნდა ყოფილიყო. უკვე გვქონდა მცირე დაპირისპირება. მე ვერაფერს მიბედავდა, მაგრამ ამას ისედაც ვგრძნობდი. იმასაც აშკარად ვხედავდი, რომ მისთვის ვარსკვლავური ამბიცია ჯერ ადრე იყო. გუნდისთვის მთავარი საქმეები ჩემი წამოსვლის შემდეგ, უფრო 1979 წლიდან გააკეთა... რაში გამოიხატებოდა ჩვენი უთანხმოება? ერთ-ერთ ტურში დავინახე, რომ გუნდი აღარ მემორჩილებოდა, წყალი იმღვრეოდა და წასვლა გადავწყვიტე. ვთქვი კიდეც - ამ გუნდს დიდი ხნის მანძილზე ვქმნიდი და ისევ გუნდის გამო მივდივარ- მეთქი. თუმცა არც მაშინ და არც მერე საშასთან პირადი კონფლიქტი არ მქონია. მოგვიანებით მომწერა კიდეც, დაბრუნდიო. დაღვინდა, დაფიქრდა და სწორად შეაფასა სიტუაცია. აფრიკაში, მალიში რომ ვმუშაობდი მწვრთნელად, 1980- 82 წლებში, წერილიც კი გამომიგზავნა - შენს წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავსო, მაგრამ იმ შემადგენლობასთან აღარ მინდოდა მუშაობა. ანპილოგოვმა კი, როგორც აღვნიშნე, მკვეთრად მოუმატა თამაშს 24 წლის ასაკიდან. რა თქმა უნდა, მე ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიყავი - გუნდშიც და იქედან ჩემი წასვლის შემდეგაც...“

გიორგი ჩოჩიშვილი „ალექსანდრე ანპილოგოვი“, 2012 წ.

იმედო ფხაკაძის უკანასკნელი ფოტოები

ტექრედაქტორი
ნუნუშკა ლოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირინკა აბაშიძე

გამოყენებულია
ფოტოსურათები იმედო ფხაკაძის, ჯემალ ცერცვაძის,
თეიმურაზ ზარდალიშვილის, ზურაბ კაკაბაძის, თედო ჯაფარიძის,
მაია დოქსოპულოს, ქეთი თომაძის, ჯულიეტა ჩიხლაძის,
დათო დანელიას, გოჩა კაჭარავას, ქეთი კობერიძის,
რუსუდან ფანცულაიას, მარინა აბულაძის, ზაურ ფხალაძის,
დემიკო ლოლაძის საოჯახო ალბომებიდან.

ფოტოების ნაწილი მოგვაწოდა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ციფრულმა ბიბლიოთეკა „ივერიელმა“

გამომცემლობა „პოლარის პრინტი“

ვანა ბახტაძის ნახატი